# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №167 (2540) შაბათი, 19 ივლისი, 1997 წელი. ფასი 40 თეთრი. თბილისს გარეთ – 45 თეთრი.


# „მხოლოდ იმ სამხედრო თანამშრომლობას აქვს მომავალი, რომელიც მშვიდობის, დემოკრატიისა და თავისუფლების დაცვას ითვალისწინებს“

*ვაშინგტონი, 18 ივლისი (საქინფორმის სპეც. კორესპონდენტები მაია ალუდაური, გიორგი აბაშიძე).*

„აშშ აღიარებს საქართველოს მნიშვნელოვან წარმატებებს და აცხადებს, რომ მზად არის გააფართოოს მხარდაჭერა საქართველოს ეკონომიკური რეფორმებისადმი მთელ რიგ მნიშვნელოვან სფეროებში“, ნათქვამია აშშ-ში საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სამუშაო ვიზიტის დროს მიღებულ აშშ-საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ ერთობლივ დეკლარაციაში. დეკლარაცია ჩვენს რეპორტაჟს თან ახლავს და მასში დეტალურად არის ასახული ამ თანამშრომლობის კონკრეტული ფორმები და პრიორიტეტები. აქვე ვიტყვით, რომ წმინდა პრაგმატული მოსაზრებით, იგი ვიზიტის უკვე მიღწეულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან შედეგად შეიძლება ჩაითვალოს. მაგრამ არის მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც, ალბათ, უფრო მორალური კრიტერიუმების სფეროს მიეკუთვნება და აქედან მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ქვეყნის გადასახედიდან ძალზე დამაჯერებლად ამტკიცებს და ადასტურებს „პატარა ქვეყნის“ გავრცელებული ფორმულის მნიშვნელობის უმნიშვნელობას.

ურთიერთობა, რომლის განსამტკიცებლად და გასაღრმავებლად ერთმანეთისაკენ თანაბრად მტკიცე და გამიზნული შემხვედრი ნაბიჯებით მიდიან საქართველო და ამერიკა, შესაძლოა, არც თუ შორეულ მომავალში სწორედ დიდ და პატარა ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ნიმუშად შეფასდეს. და ეს არ არის მხოლოდ ემოციებზე დაფუძნებული დასკვნა. საქართველოს კარგად აქვს გაცნობიერებული დღევანდელ ურთიერთდაკავშირებულ მსოფლიოში თავის პასუხისმგებლობის წილი, რომელსაც, უწინარესად, მისი განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მდებარეობა განაპირობებს. ამერიკა ამას ხედავს და ჯეროვნადაც აფასებს...

იხ. მე-2 გვ.



საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტ ალბერტ გორთან.

სერგო ედიშერაშვილისა და ვლადიმერ ვალიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 15 ივლისი ქ. თბილისი

**მ. ზოდელავას ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საქართველოში მშენებლობისა და სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეურნეო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, საინჟინრო კადრების თანამედროვე დონეზე მომზადებაში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს დამსახურებული ინჟინერი მამია ზოდელავა დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 15 ივლისი ქ. თბილისი

**გ. ბოლქვაძის ღირსების მედლით დაჯილდოების შესახებ**

ქართული მედიცინის განვითარებაში შეტანილი წვლილისა და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ქ. თბილისის კარდიოლოგიური საავადმყოფოს კარდიოლოგ-კონსულტანტი გივი ბოლქვაძე დაჯილდოვდეს ღირსების მედლით.

ე. შევარდნაძე.

## დოკუმენტი

### ერთობლივი დეკლარაცია აშშ-საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ

ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო მჭიდროდ თანამშრომლობენ ეკონომიკური რეფორმების საკითხებში. საქართველომ მტკიცედ დაუჭირა მხარი ეკონომიკურ რეფორმებს და ეკონომიკურ სტაბილიზაციისა და განვითარების საქმეში დიდ პროგრესს მიაღწია. გასული ორი წლის განმავლობაში საქართველომ წარმატებით შეამცირა ინფლაცია. შემოიღო ახალი სტაბილური ვალუტა, და პრივატიზაცია ჩაუტარა ბევრ მცირე და საშუალო ზომის საწარმოს, რამაც განაპირობა მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდა.

ამერიკის შეერთებული შტატები მიესალმება საქართველოს გადაწყვეტილებას გააქტიუროს მუშაობა ეკონომიკური რეფორმების დარგში, რასაც მოწმობს საქართველოს განცხადებანი საშუალო და მსხვილი საწარმოების პრივატიზების დასრულების, ენერგეტიკისა და ტრანსპორტის ინფრასტრუქტურების პრივატიზების დაწყების, უცხოური ინვესტიციებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნის და კაპიტალის ბაზრების განვითარების შესახებ.

იხ. მე-2 გვ.

## „საქართველოს მაგალითი ადასტურებს, რომ დღეს ყველა ქვეყანას, დიდსა თუ პატარას, შეუძლია განახორციელოს შეუქცევადი დემოკრატიული ტრანსფორმაცია, თუკი აქვს ამის მტკიცე ნება“

საქართველოს პრეზიდენტის **ედუარდ შევარდნაძის** გამოსვლა სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევითი ცენტრის მიერ გამართულ შეხვედრაზე ვაშინგტონში, 1997 წლის 17 ივლისს

ქალბატონებო და ბატონებო,

ნება მიბოძეთ, გულითადად მოგესალმოთ ამ დარბაზში შეკრებილ გამორჩეულ საზოგადოებას და მადლობა მოგახსენოთ მობრძანებისთვის.

ნებისმიერი პოლიტიკური მოღვაწისათვის დიდი პატივია ასეთი საზოგადოების წინაშე გამოსვლა. მსურს განსაკუთრებით მივესალმო ბატონ ზბიგნევ ბჟეზინსკის, რომელიც უკანასკნელად ოთხი წლის წინათ ენახე. მაშინ იგი ესტუმრა საქართველოს და ორი დღით გაიზიარა ჩვენს თავს დატეხილი უზარმაზარი პრობლემები. იმ დროს ქვეყანაში გამეფებული ქაოსის მიუხედავად, მე სიამოვნებით ვიხსენებ ჩვენს საუბრებს და მინდა მადლობა მოვახსენო იმ, როგორც ყოველთვის, საინტერესო და ორიგინალური აზრებისთვის, რომლებიც მან მაშინ უხვად შემოგვთავაზა. მე მასთან წინათაც არაერთხელ მისაუბრია — მოსკოვში და ვაშინგტონში, მაგრამ ჩვენი საუბარი თბილისში განსაკუთრებული იყო. ჩვენ ვკამათობდით იმაზე, თუ როგორ განვითარდება მსოფლიო და როგორი იქნება ის მომავალი საუკუნის შუა წლებისათვის. დიახ, ეს ხდებოდა პატარა, და როგორც უკვე ვთქვი, იმ დროს საკმაოდ

იხ. მე-3 გვ.

## შეეწიეთ

### სამების ტაძარი – საუკუნის მშენებლობა



**სრულიად საქართველო და მშენებლობის ფონდი გულწრფელ მადლობას უხდის მათ, ვინც სამების ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ.**

**მათ, ვისაც სურვილი და საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ამ საშვილიშვილო საქმეში, ვაცნობებთ საბანკო რეკვიზიტებს:**

საქართველოს ბანკი:

ეროვნული ვალუტის ანგარიშსწორებები № 003700076, მფო 521017 საერთაშორისო ვალუტის ანგარიში № 501070635.

დანიშნულება: წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდში. ბანკის მისამართია: პუშკინის ქ. № 3.

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ ტელ: 99-54-51; 99-06-43; 99-63-03; 99-70-14; 93-31-69; 99-80-26; 99-81-91.

მისამართი: რუსთაველის 29.

| | |
|---|---|
| რ. სანდრომვილი | – 50 ლარი. |
| ნ. ჭიღლაძე | – 5 ლარი. |
| ყულაბიდან | – 313 ლარი |
| ნ. აბამიშვილი | – 35 ლარი. |
| ა. მელნოშვილი | – 30 ლარი. |
| ე.ი. ამყოლაძე | – 30 ლარი |
| „საქართველოს ბანკის“ ქუთაისის განყოფილება | – 1290 ლარი. |
| სოხუმის ც. დადიანის სახელობის ჰუმანიტარული ინსტიტუტი | – 100 ლარი. |
| „საქართველოს ბანკის“ თელავის განყოფილება | – 5 ლარი. |
| შპს „ელრავაკო“ | – 500 ლარი |
| საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი | – 12 ლარი. |
| გ. გიგინეიშვილი | – 10 ლარი. |
| გ. კინტერია | – 21 ლარი. |
| ნ. ვ. მანაგაძე, ნოტარიუსი | – 100 ლარი |
| ოჯახი, რომელმაც არ ისურვა გვარის გამოცხადება | – 325 ლარი. |
| შპს „აისი“ | – 180 ლარი. |
| „საქართველოს ბანკი“ თერჯოლის ფილიალი | – 10 ლარი. |
| ა. მარგალიტაშვილი | – 5 ლარი. |
| საპატრიარქოს ყულაბებიდან | – 22 დოლარი. |
| გივი მორგოშიძე | – 100 დოლარი. |
| გაერთიანება „ოთხმოცდაათიანელები“ | – 50 დოლარი. |
| ბადრი პატარკაციშვილი | – 10 000 დოლარი. |

## აფხაზეთი – ტკივილი ჩვენი

### ჭუბურხინჯში შეხვედრის წინააღმდეგნი არიან

„იბერიის“ კორესპონდენტს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოდან აცნობეს, რომ აფხაზური მხარე ჭუბურხინჯში ტრადიციულ, ოთხმხრივ შეხვედრაში მონაწილეობის კატეგორიული წინააღმდეგია. ბოლო დროს საერთოდ გაძნელდა აფხაზურ მხარესთან რაიმე კონტაქტებზე გასვლა, რაც უეჭველად იმის მაჩვენებელია, რომ აფხაზური მხარე 31 ივლისის მოახლოების კვალობაზე ომისთვის ემზადება.

### პროტესტს აცხადებენ ოჩამჩირიდან სამხედრო-საზღვაო ბაზის გადატანის გამო

17 ივლისს რუსეთის სასაზღვრო ჯარების ოჩამჩირის სამხედრო-საზღვაო ბაზისა და გემთმშენებელი ქარხნის რუსეთში გადატანის გამო, ამ ქალაქში მიტინგი გაიმართა. ბრძანება ქარხნისა და სამხედრო ბაზის რუსეთში გადატანის შესახებ რუსეთის სასაზღვრო ჯარების სარდალმა, გენერალმა ნიკოლაევმა გასცა. მისი თქმით, ის მოქმედებს არა აფხაზეთის, არამედ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით. მიტინგზე გამომსვლელები, აღნიშნავდნენ, რომ აფხაზების ქონება უნდა დარჩეს აფხაზეთში და არავის აქვს მისი ხელყოფის უფლება. ითქვა, აგრეთვე, რომ რუსეთი, დახმარების მაგივრად აფხაზეთს ეკონომიკურ ბლოკადაში ამყოფებს.

## ინფორმაცია

### გეგმაზომიერად გამოვიყენოთ ტურისტული და საკურორტო პოტენციალი

18 ივლისს სახელმწიფო მინისტრთან ნიკო ლეკიშვილთან გაიმართა თათბირი, რომელიც ტურიზმისა და კურორტების განვითარების პრობლემებს მიეძღვნა.

მიიღეს გადაწყვეტილება: საკითხი ტურიზმისა და კურორტების განვითარების შესახებ განსახილველად გამოიტანონ ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე, ხოლო შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების მნიშვნელობისა და წინადადებების გათვალისწინების შემდეგ პროგრამა დასამტკიცებლად წარედგინება მთავრობის სხდომას.

### ნოე ჟორდანიას შვილი საქართველოს საპატიო მოქალაქე იქნება

ამის შესახებ 18 ივლისს განაცხადა პარლამენტის მიგრაციისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეების კომიტეტის თავმჯდომარე გურამ შარაძემ.

ამ დღეს საპარლამენტო კომიტეტში შეხვედრა გაუმართეს ნოე ჟორდანიას შვილს პროფესორს ამერიკის შეერთებული შტატებიდან რეჯებ ჟორდანიას, მის მეუღლეს და დისშვილს ირენ ოდიშელიძე-ციციშვილს.

როგორც გურამ შარაძემ აღნიშნა, რეჯიბ ჟორდანიას, პრეზიდენტის თანხმობით, დეპუტატთა ჯგუფი წარადგენს საქართველოს საპატიო მოქალაქეობის მისანიჭებლად.

რეჯებ ჟორდანიამ გულთბილი მადლობა მოახსენა კომიტეტის წევრებს მიღებისათვის და განაცხადა: „ჩემთვის დიდი პატივია მივიღო საქართველოს საპატიო მოქალაქის წოდება, რომელიც დღემდე ძალიან ცოტას ხვდა წილად. ვიცი, დღეს საქართველო დიდი სიძნელეების წინაშეა, მაგრამ, იმედი მაქვს, დროსთან ერთად მეზობლებთან ურთიერთობა გაუმჯობესდება და პრობლემებიც გადაიჭრება. დადგება დრო, როცა საქართველო შესძლებს განაცხადოს, რომ ყველა ქართველი, მიუხედავად მისი საცხოვრებელი ადგილისა, შესძლებს გახდეს საქართველოს მოქალაქე“.

გურამ შარაძემ აღნიშნა, რომ კომიტეტმა ქალაქის მერიას მიმართა შუამდგომლობით და უახლოეს მომავალში თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩას ნოე ჟორდანიას სახელი დაერქმევა.

### ევროსაბჭო კანონის ექსპერტიზას ჩაატარებს

„იბერიას“ კორესპონდენტს საქართველოს პარლამენტის აპარატიდან აცნობეს, რომ საქართველოს პარლამენტის ადგილობრივი თვითმმართველობის კომიტეტმა ევროსაბჭოს მიმართა თხოვნით, – ჩაატაროს ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონის ექსპერტიზა. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემა, შესაძლოა, ევროპაში საქართველოს გაწევრიანების ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი გახდეს.

### გუშინ თბილისში მიწისძვრა მოხდა

გუშინ, თბილისში 12 საათსა და 34 წუთზე მოხდა 2-დან 3 ბალამდე მიწისძვრა. სეისმოლოგიური ობსერვატორიის ცნობით მიწისძვრის ეპიცენტრი თბილისიდან სამხრეთ აღმოსავლეთით 55-60 კილომეტრზე მდებარეობს. ეპიცენტრის კერაში ბიძგები 5 ბალს არ აღემატებოდა. მიწისძვრას მსხვერპლი და ნგრევა არ მოჰყოლია.

### ურეკში დაისვენებენ

18 ივლისს კურორტ ურეკში საქართველოს პრეზიდენტის პროგრამის „საქართველოს მომავალის“ IV ნაკადი დაიწყო. იგი იმითაცაა გამორჩეული, რომ 15 დღის მანძილზე აქ 60-მდე ჩეჩენი ბავშვი დაისვენებს, მათ გულთბილი შეხვედრა მოუწყო გურიის მხარის და ოზურგეთის რაიონის ხელმძღვანელობამ. დაგეგმილია შემოქმედებით-გასართობი, სპორტული ღონისძიებების პროგრამა.

### „2000 წელი – უტუბერკულოზოდ“

ამ პროგრამით წლეულს პირველად 100 ბავშვი დაისვენებს კურორტ ბახმაროს სანატორიუმში. ეს ღონისძიება, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციის „საქართველოს ქალები სიცოცხლისა და მშვიდობისათვის“ ინიციატივით მიმდინარეობს, 4 აგვისტომდე გასტანს.

### სოხუმი „გააძლიერეს“

სეპარატისტული აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელების განცხადებით, გუდაუთიდან ქ.სოხუმში, შუქურას რაიონში 11 ივლისს შეყვანილი 100 მილიციელი მზადაა აღკვეთოს ტერორისტული ჯგუფების მოქმედება სოხუმისა და სოხუმის რაიონის ტერიტორიაზე.

გუდაუთიდან სოხუმში ჩაყვანილი მილიციელები მოათავსეს შუქურას ტერიტორიაზე „სოხუმ ხელსაწყოს“ უწყებრივ ტურბაზაში. მილიციელთა განკარგულებაში ავტომატური იარაღის გარდა 1 ტანკი და 2 ჯავშანტრანსპორტიორია.

### თურქეთის ინვესტიციები – საქართველოს 100 საწარმოში

„იბერიას“ კორესპონდენტს საქართველოს ეკონომიკის სამინისტროდან აცნობეს, რომ ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე არსებობს დაახლოებით 100 ობიექტი, რომელშიც მნიშვნელოვანი თანხის ინვესტირება მოახდინა თურქეთმა. ინვესტორები არიან თურქეთის როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიები.

### შეხვედრა ჟენევაში 23 ივლისს გაიმართება

„იბერიას“ კორესპონდენტს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, რომ ჟენევის შეხვედრა ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების მიზნით, გაიმართება 23-25 ივლისს. მათში მონაწილეობას მიიღებენ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაცია, საქართველოს მეგობარი ქვეყნების ჯგუფების წარმომადგენლები და გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ლივიუ ბოტა. ქართული და აფხაზური მხარეები წარმოდგენილნი იქნებიან საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრეზიდენტის პრესსამსახურმა, საქინფორმმა, „იბერიამ“.

## უკანასკნელ საათს

სამარა. რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი, რომელიც კარელიაში ისვენებდა, ახლა აქ ჩამოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ ელცინი შვებულებაშია, იგი განაგრძობს მუშაობას. მან კმაყოფილებით აღნიშნა კარელიაში გატარებული დღეები და თქვა: „რუსეთის მეფეებიდან პეტრე I-ის შემდეგ კარელიაში მხოლოდ მე, ბორის I-ლი ვისვენებდიო“.

ფრენის მართვის ცენტრი (რუსეთი). რუსეთ-ამერიკის კოსმოსური ეკიპაჟი სერიოზულ პრობლემებს აწყდება. ორიენტაციის მოწყობილობის გამორთვას დაერთო ისიც, რომ კოსმონავტები მეტისმეტად დაიქანცნენ და „სპექტრ“ მოდულში ველარ გადავლენ. 5 აგვისტოსათვის დანიშნული სტარტი გადაიკეტა და ფრანგი ასტრონავტი ვერ გაფრინდება. როგორც ფრენის მართვის ცენტრის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, „მდგომარეობა ფრიად სერიოზულია, და ახლა ტურისტების დრო არ არისო“.

ბრიუსელი. რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ჩერნომირდინი გუშინ მიიღო ბელგიის მეფემ ალბერტ II-მ. როგორც აქ გამოცხადდა, ევროკავშირის ხელმძღვანელებმა უარი თქვეს გააუქმონ ანტიდემპინგური კანონები რუსეთის მიმართ, რასაც ჩერნომირდინი მოითხოვდა.



## გადავარჩინოთ პურეული!

პრესასა და სხვა საინფორმაციო საშუალებებში გავრცელდა აზრი, თითქოს მიწათმოსარგებლეებს თავთავიანი კულტურების აღების საქმეში არ ეხმარებიან, ამიტომ სამინისტროს პრესსამსახური უფლებამოსილია განაცხადოს, რომ ეს ფაქტი არ შეეფერება სინამდვილეს.

სინამდვილე კი ასეთია:

თავთავიანი მარცვლეული კულტურების ასეთი მოსავალი თითქმის არ ახსოვს საქართველოს, წლეულს ეს კულტურები 200 ათას ჰექტარზე თესია. მოსავლის აღება დაიწყო. დღეისათვის აღებულია 36 ათასი ჰექტარი და მიღებულია 70 ათასი ტონა მარცვალი, ანუ საშუალოდ ერთი ჰექტარიდან 19,3 ცენტნერი.

შარშანდელთან შედარებით მოსავლის აღების ტემპი დაბალია, რაც მთელი თვის განმავლობაში გამუდმებული წვიმებით არის გამოწვეული. ნათესები დატბორილია და მარცვლის დანაკარგები დღითი დღე იზრდება. მდგომარეობა საგანგაშოა იმითაც, რომ ყანები გადამწიფებულია, ინტენსიურად ვითარდება სარეველები და კომბაინებს უჭირს მოსავლის აღება. წლეულს, ვარაუდით, უნდა მოგვეწია 400 ათას ტონაზე მეტი მარცვალი. სამწუხაროდ, მოსალოდნელია მნიშვნელოვანი დანაკარგები. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ კახეთის რეგიონში დასახმარებლად სხვა რაიონებიდან ჩასულ კომბაინებს უახლოეს დღეებში შინ საკუთარი ასაღები ყანები ელოდებათ.

მდგომარეობა ძალზე მძიმეა. წყალში იყრება გლეხის გარჯა, ამიტომ არ უნდა დაიკარგოს არც ერთი წუთი, ყველგან უნდა შემოვიღოთ დღე-ღამური მუშაობა. ყველაფერი უნდა მოვახმაროთ ალოობას. კახეთის, ქვემო და შიდა ქართლის რეგიონების მეწარმეებმა, მეწისქვილეებმა, მეპურეებმა, შემსყიდველებმა, სამხარეო და ადგილობრივი მართვის ორგანოებმა მაქსიმალურად უნდა შეუწყონ ხელი მწარმოებლებს მოსავლის აღებაში.

თუ ყველანი ერთად დავდგებით, დანაკარგები უთუოდ შემცირდება და გადავარჩენთ პურს ჩვენს არსობისას!

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს პრესცენტრი.

# „მხოლოდ იმ სამხედრო თანამშრომლობას აქვს მომავალი, რომელიც მშვიდობის, დემოკრატიისა და თავისუფლების დაცვას ითვალისწინებს“



საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების კომიტეტის თავმჯდომარესთან ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილთან.

გუშინდელ რეპორტაჟში ვწერდით, რომ საზღვარგარეთ კერძო ინვესტიციების კორპორაცია OPIK-ში გამართულ შეხვედრაზე ამერიკის 50-ზე მეტმა უდიდესმა კომპანიამ და ფირმამ, მათი სახით კი არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, მთელმა საქმიანმა ამერიკამ უდიდესი ნდობა გამოხატა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისადმი, რომელსაც როგორც იქ ითქვა, ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების სიმბოლოდ აღიარებენ.

„ამერიკამ ედუარდ შევარდნაძე „პერესტროიკის“ დროს გაიცნო. მისი სახელი პირველ პოზიციაზეა იმ ადამიანთა სიაში, რომლებმაც მსოფლიოს უახლესი ისტორია შექმნეს“; „ედუარდ შევარდნაძემ, როგორც ლიდერმა, უმოკლეს დროში შეძლო თავის ქვეყანაში ცენტრალიზებული ეკონომიკის სრული ტრანსფორმირება და მიაღწია იმას, რომ საქართველო დღეს თავისი ეკონომიკური განვითარებით პირველ ადგილზეა მთელი პოსტსაბჭოთა სივრცის სახელმწიფოთა შორის“; „საქართველოში საუკეთესო შესაძლებლობებია ინვესტიციების დაბანდებისათვის, რასაც მისი საუკეთესო გეოპოლიტიკური მდებარეობის გარდა ქვეყნის მიერ აღებული ჯანსაღი რეფორმისტული კურსი განაპირობებს“; „აშშ-ის კერძო სექტორის ინვესტირება არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ამერიკის ეკონომიკის ინტერესებშიც შედის“... ეს გამონათქვამები ფრაგმენტებია OPIK-ში გამართული შეხვედრის მონაწილეთა გამოსვლებიდან. მეტი დეტალიზებისა და ციტატების გარეშე დაგვიჯერებს, ალბათ, მკითხველი: ამერიკის საქმიანი ელიტა აღფრთოვანებით უკრავდა ტაშს საქართველოს პრეზიდენტს, „წარსულის, აწმყოსა და მომავლის ლიდერს“ (ამ სიტყვებით მიიწვია OPIK-ის ტრიბუნაზე ედუარდ შევარდნაძე OPIK-ის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა მილდრედ კალერმა).

რაც შეეხება შეხვედრის პრაქტიკულ მხარეს მარტივად რომ ვთქვათ, იგი წარმატებულია. OPIK-ი პოტენციური რისკისაგან დააზღვევს ამერიკელ ინვესტორთა 17 პროცენტს სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, ტელესაკომუნიკაციო, ტრანსპორტის, ფარმაკოლოგიის, ნავთობისა და გაზის სფეროებში. ეს პროექტები ითვალისწინებს ერთ მილიარდ დოლარზე მეტ პოტენციურ ინვესტიციებს საქართველოში.

ამერიკის ადმინისტრაციისა და კონგრესის თანხმობით, OPIK-ი ქმნის საინვესტიციო ფონდს კავკასიის რეგიონისათვის. ფონდი ხელს შეუწყობს კავკასიაში რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას.

სარატიფიკაციო ინსტრუმენტების გაცვლით მალე ძალაში შევა ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფს ამერიკული ინვესტიციების ადგილობრივ და სხვა ინვესტიციებთან თანაბარ პირობებში ჩაყენებას.

„არ ვიტყვი, რომ ეს სასწაულია, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველო, რომელიც ჯერ კიდევ 2-3 წლის წინათ ნგრევის, სამოქალაქო ომისა და სისხლიანი კონფლიქტების ფაზაში იყო, დღეს სრულიად სხვა ქვეყანაა და მინდა დაგარწმუნოთ, რომ იგი თავის წილ ვალდებულებებს აშშ-ის, თითოეული თქვენგანის წინაშე აუცილებლად შეასრულებს,“ — შეხვედრის დასასრულს ედუარდ შევარდნაძის მიერ ნათქვამი ეს სიტყვები OPIK-ის აუდიტორიამ აღიქვა არა როგორც მხოლოდ მადლიერების ჟესტი უმწვავესი კრიზისის დროს გაწეული მართლაც ფასდაუდებელი დახმარებისათვის, არამედ სწორედ იმ პასუხისმგებლობის კიდევ ერთგულოვანი კონსტატაცია, რომელსაც საქართველო კისრულობს საერთო გლობალურ პასუხისმგებლობაში და რომელზეც ზემოთ მოგახსენებდით.

* * *

„მხოლოდ იმ სამხედრო თანამშრომლობას აქვს მომავალი,რომელიც მშვიდობის, დემოკრატიისა და თავისუფლების დაცვას ითვალისწინებს“, განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა პენტაგონში, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების თავიდან აცილების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, საქართველო-ამერიკის სამხედრო თანამშრომლობას მომავალი გარანტირებული აქვს, რადგან „რა მასშტაბითაც უნდა განვითარდეს იგი არასოდეს არ იქნება მიმართული სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ“ (ე. შევარდნაძე).

ასევე აფასებს ამ ფაქტს ამერიკის მხარე, რომლის პოზიციაც შეერთებული შტატების სამხედრო უწყების ხელმძღვანელმა უილიამ კოენმა ამ სიტყვებით გამოხატა: „ჩვენ დღეს ისტორიული ნაბიჯი გადავდგით. ეს პროგრამა ბევრ სახელმწიფოს დაეხმარა შეემცირებინა მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების რისკი. მასთან საქართველოს შეერთება ნიშნავს იმას, რომ თქვენი ქვეყანა კიდევ ერთი საიმედო ქვეყანა იქნება ამ პროცესში. ამერიკა კვლავაც გააგრძელებს საქართველოსთან სამხედრო სფეროში „ორმხრივი თანამშრომლობის მშენებლობას“.

ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონიამდე გამართულ შეხვედრაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ ედუარდ შევარდნაძე, უილიამ კოენი და ჯონ შალიკაშვილი, ამერიკის თავდაცვის მინისტრმა კმაყოფილებით აღნიშნა საქართველოს აქტიური მონაწილეობა ნატოს პროგრამაში „პარტნიორობა მშვიდობისათვის და ნატოსთან საქართველოს თანამშრომლობის დინამიკური განვითარება. კოენის შეფასებით ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა აქვს არაერთი თვალსაზრისით. კერძოდ, ნატოსთან თანამშრომლობის აქტიურობა მოამზადებს საფუძველს ალიანსის სხვა პროგრამებში საქართველოს ჩართვისათვის. იგი ხელს უწყობს ალიანსის ფარგლებში საქართველოს აქტიური ორმხრივი კონტაქტების განვითარებას. სულ უფრო მკაფიოდ იკვეთება ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს, როგორც პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და მათი განხორციელების რეალური, ქმედითი მექანიზმის როლი. ნატოს გაფართოების პროცესი დაწყებულია და მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს უშიშროების საერთო სისტემის შექმნისა და ამ პროცესში სხვა ქვეყნების ჩართვის თვალსაზრისით.

ამერიკა-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობა საზღვრების დაცვასაც ითვალისწინებს. შეხვედრაზე ითქვა, რომ საქართველოს გეოპოლიტიკური განლაგებიდან გამომდინარე, აქტუალურია მისი საზღვაო საზღვრის დაცვის საკითხიც. ამჯერად ამ მიზნით ამერიკამ საქართველოს ორი კატარღა გადასცა, რაც, როგორც უილამ კოენმა აღნიშნა, პირველი ნაბიჯია საქართველოს მიერ თავისი საზღვაო საზღვრის კონტროლის განხორციელებაში დახმარების თვალსაზრისით. თანამშრომლობის შემდგომ ეტაპზე ეს დახმარება უფრო ქმედითი გახდება და, როგორც ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, საქართველო მალე დამოუკიდებლად შეძლებს თავისი საზღვაო აკვატორიის დაცვას.

და ბოლოს — დღევანდელი ქართული პოლიტიკის უმწვავესი პრობლემა-კონფლიქტი აფხაზეთში. საქართველოს პრეზიდენტი აპირებს ნიუ-იორკში, გაეროს შტაბბინაში პრინციპულად დააყენოს საკითხი აფხაზეთში სამშვიდობო ძალების ჩანაცვლების თაობაზე. მან აშშ-ის თავდაცვის მინისტრს გაუზიარა თავისი მოსაზრებები იმის თაობაზე, თუ რა მექანიზმები შეიძლება შემუშავდეს სამშვიდობო მოლაპარაკებათა ფორმულის გაფართოების მიზნით. ამასთან, აცნობა რომ უკვე პრაქტიკულად მომზადებულია ბაზა კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში საერთაშორისო სამშვიდობო ძალების ჩანაცვლებისათვის, თუ გაეროს უშიშროების საბჭო მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

საქართველოს პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ თუ აქამდე არც დასავლეთი და არც გაერო არ იყო მზად ამგვარი გადაწყვეტილებისათვის, დღეს კონფლიქტების პრობლემა ერთ-ერთი პირველხარისხოვანია მსოფლიოსათვის და მის გადასაწყვეტად კონკრეტული მოქმედებაა აუცილებელი. და, რაც მთავარია, ამ საქმეში გადამწყვეტი როლი აკისრია აშშ-ს, რომელიც, როგორც უილიამ კოენმა განაცხადა, არ გამორიცხავს საქართველოსთან სამხედრო თანამშრომლობის სხვა ფორმებსაც.

* * *

მთელ ამერიკასა და მსოფლიოში ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეები, პოლიტოლოგები, მეცნიერები, ერთი სიტყვით ამერიკის პოლიტიკური აზროვნების ელიტა შეიკრიბა გუშინ სასტუმრო „ვილარდ ინტერკონტინენტალში“ სტრატეგიული და საერთაშორისო CSIS-ის მიერ ორგანიზებულ ფორუმზე საქართველოს პრეზიდენტთან შესახვედრად.

„დღეს ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს შევხვდეთ ისტორიულ პიროვნებას, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ახალი მსოფლიო ისტორიის შექმნაში. ერთმა ქართველმა გახლიჩა გერმანია, მეორემ კი გააერთიანა. მისი სახით ჩვენ ვხვდებით ისტორიულ პიროვნებას უდიდესი ისტორიული ქვეყნიდან“, ამ სიტყვებით გახსნა სახელმწიფო მოღვაწეთა ფორუმი თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკური აზროვნების მეტრმა, ცნობილმა პოლიტოლოგმა ზბიგნევ ბჟეზინსკიმ.

საქართველო ანვითარებს ეკონომიკურ რეფორმებს, აყალიბებს ახალ, თანასწორუფლებიან ურთიერთობებს თავის მეზობლებთან განაცხადა შემდეგ ზბიგნევ ბჟეზინსკიმ. მან ხაზგასმით აღნიშნა კავკასიაში საქართველოს განსაკუთრებული როლი და განაცხადა, რომ იგი რეგიონის ერთ-ერთი საკვანძო ქვეყანა და მისი სტაბილურობის განმსაზღვრელი ფაქტორია.

ფორუმის მონაწილეებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს ედუარდ შევარდნაძის სიტყვა (საქართველოს პრეზიდენტის სიტყვა ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში ქვეყნდება), რის შემდეგაც გაიმართა საუბარი. ამერიკელი მოღვაწეები დაინტერესდნენ რეგიონში არსებული კონფლიქტების, მათ შორის, აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების მიმდინარეობით, რეგიონული თანამშრომლობის პერსპექტივით, ნავთობსადენების საკითხი, საქართველოში მიმდინარე პროცესებით.

* * *

„აკეთებს კი ამერიკის შეერთებული შტატები ყველაფერს იმისათვის, რომ მოწესრიგდეს კონფლიქტები აფხაზეთსა და ყარაბაღში?“ — ეს კითხვა, რომელიც აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის წევრებმა დასვეს საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრაზე, პასუხსაც გულისხმობს და, შეიძლება ითქვას მათს პოზიციასაც გამოხატავს. უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით კომიტეტს მიაჩნია, რომ ამერიკამ უნდა გააქტიუროს თავისი მონაწილეობა კავკასიის რეგიონში მიმდინარე პროცესებში, მათ შორის, კონფლიქტების მოწესრიგების პროცესში. ასეთივე მოსაზრების არიან სენატის უმრავლესობის ლიდერი ტრენტ ლოტი, სენატის უმცირესობის ლიდერი თომას დეშლი, სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ჯესი ჰელმსი. ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრაზე სენატის ლიდერებმა მხარი დაუჭირეს აფხაზეთში სამშვიდობო ძალების მრავალეროვნული მისიით შეცვლის წინადადებას და პირდაპირი ანალოგია გააკეთეს ბოსნიის მაგალითთან: „ბოსნიამ გვიჩვენა, რომ როდესაც დიდი სახელმწიფოები ერთიანდებიან, მათ ურთულესი პრობლემების დაძლევა შეუძლიათ“. ტრენტ ლოტმა კი განაცხადა, რომ ჯერ კიდევ არ მომხდარა საქართველოს ისეთი აღიარება, როგორსაც იგი იმსახურებს და მაგალითებად დაასახელა უნგრეთი, რუმინეთი, პოლონეთი, სლოვენია და ჩეხეთი.

ასევე მკვეთრად და ერთმნიშვნელოვნად დააფიქსირა თავისი პოზიცია კავკასიის მიმართ ამერიკის პოლიტიკისადმი სენატის საგარეო ასიგნებათა ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ მიჩ მაკკონელმა: „მე და ჩემს კოლეგებს გვსურს დავინახოთ, რომ ამერიკის ადმინისტრაცია ისევე აქტიურია კავკასიაში, როგორც ბოსნიაში,“ განუცხადა მან საქართველოს პრეზიდენტს.

რაც შეეხება სხვა საკითხებს, რომლებიც ამერიკის კონგრესში საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრების დროს განიხილებოდა:

აშშ-ს შეუძლია და, ალბათ, დაიკავებს კიდეც ერთ-ერთ წამყვან ადგილს აფხაზეთთან დაკავშირებით დაგეგმილ შეხვედრაში, რომელიც ივლისის ბოლოს გაიმართება ჟენევაში გაეროს ეგიდით.

გაეროს უშიშროების საბჭომ უნდა მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც აფხაზეთში შექმნილ სიტუაციას მიესადაგება.

აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის შესაბამისი კომიტეტები უფრო აქტიურად განიხილავენ კავკასიის რეგიონში მიმდინარე პროცესებს, მათ შორის, კონფლიქტების მოწესრიგების გზებსა და მექანიზმებს.

და — ერთიც: 17 ივლისს ამერიკის სენატმა მიიღო გადაწყვეტილება გაისად საქართველოსთვის 100 (ასი) მილიონი დოლარის დახმარების გამოყოფის შესახებ. მიჩ მაკკონელმა,რომელმაც აცნობა ამ გადაწყვეტილების შესახებ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს, ასეთი კომენტარი გაუკეთა ამ ფაქტს: „ეს ჩვენი თქვენდამი დამოკიდებულების გამოხატულებაა. მე და ჩემი კოლეგები იმიტომ ვართ ასე განწყობილი, რომ თქვენ უმოკლეს დროში მიაღწიეთ უაღრესად შთამბეჭდავ პროგრესს“.

* * *

დღეს დილით საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე შეხვდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველი დირექტორის პირველ მოადგილეს სტენლი ფიშერს და მსოფლიო ბანკის პრეზიდენტს ჯეიმს ვოლფენსონს.

საღამოს გაიმართება საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბილ კლინტონის შეხვედრა.



საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის წევრებთან.

დასასრული. დასაწყისი იხ. I გვერდზე.

# ერთობლივი დეკლარაცია

## აშშ-საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ

აღიარებს რა საქართველოს ამ მნიშვნელოვან წარმატებებს, შეერთებული შტატები აცხადებს, რომ მზად არის გააფართოოს მხარდაჭერა საქართველოს ეკონომიკური რეფორმებისადმი მთელ რიგ მნიშვნელოვან სფეროებში. ამ სფეროებში შედის:

პრივატიზაცია: ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოს გადაწყვეტილებას პრივატიზაციის დაჩქარების შესახებ, მათ შორის ფულადი აუქციონის გზით, რომელიც აუქმებს მინიმალურ ფასს, შეერთებული შტატები მიესალმება საქართველოს მთავრობის ბოლოდროინდელ გადაწყვეტილებას ნულოვანი აუქციონის საშუალებით 273 საშუალო და დიდი საწარმოს პრივატიზების თაობაზე. საქართველო გაყიდის საწარმოთა აქციების ნაწილს ბირჟაზე, რათა ხელი შეუწყოს გამჭვირვალობასა და კაპიტალის ბაზრების განვითარებას. ამერიკის შეერთებული შტატები აგრეთვე დაეხმარება პრივატიზებული საწარმოების კუთვნილი მიწის პრივატიზების საკითხში, რაც გახდება არასასოფლო დანიშნულების მიწების ბაზრის შექმნაში გადადგმული პირველი ნაბიჯი.

ენერგეტიკის სექტორის რეფორმა და პრივატიზაცია: ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო აღიარებენ, რომ აუცილებელია უცხოელი ინვესტორების მოზიდვა ენერგეტიკის სექტორში. არც მრავალმხრივ საფინანსო დაწესებულებებს, და არც ადგილობრივი კაპიტალის ბაზრებს არ შეუძლიათ საკმარისი რაოდენობით თანხების ინვესტირება. ამერიკის შეერთებული შტატები დაეხმარება საქართველოს უცხოური ინვესტიციებისა და ნოუ-ჰაუ-ს მოზიდვაში ელექტროენერგიის, ნავთობისა და გაზის სექტორებში. საქართველო თანახმაა უფლება მისცეს უცხოურ კომპანიებს შეისყიდონ ენერგეტიკის სექტორის საწარმოების საკონტროლო პაკეტები და მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო ენერგეტიკული კომპანიების მმართველობაში. როგორც ქართველ, ისე უცხოელ ინვესტორებსა და კომპანიებს ექნებათ უფლება მონაწილეობა მიიღონ ამ პროცესში.

საქართველო შემდგომშიც გააგრძელებს ენერგეტიკის სექტორის რესტრუქტურიზაციას ენერგეტიკის სექტორის საწარმოების აქციონირებისა და პრივატიზების გზით. ამერიკის შეერთებული შტატები თანახმაა დახმარება გაუწიოს პრივატიზაციის გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში, საწარმოთა რესტრუქტურიზებას ძირითადად განახორციელებენ ამ საწარმოების ახალი კერძო მფლობელები.

ფოთის პორტის პრივატიზაცია: შავი ზღვის ფოთის პორტი არის ევროაზიური სატრანსპორტო დერეფნის განვითარების შესახებ საქართველოს გეგმის ძირითადი ელემენტი. პორტის მიერ ტვირთების გამტარუნარიანობის გასაზრდელად საჭიროა ახალი ინვესტიციები. ამჟამად საქართველო განიხილავს მოახდინოს თუ არა ფოთის პორტის პრივატიზება. თუ საქართველო გადაწყვეტს ფოთის პორტის აქციათა სულ მცირე 51 პროცენტის პრივატიზებას, მაშინ შეერთებული შტატები დახმარებას გაუწევს პრივატიზების გეგმის დამუშავებასა და განხორციელებაში.

კაპიტალის ბაზრის განვითარება: შეერთებული შტატები და საქართველო შეთანხმდნენ, რომ კაპიტალის ბაზრის შექმნა აუცილებელია, რათა სტიმული მიეცეს პრივატიზებული საწარმოების მართვისა და ეფექტურობის გაუმჯობესებას, ასევე აქციონერთა ფართო ჯგუფის ჩამოყალიბებასა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. ამერიკის შეერთებული შტატები დაეხმარება საქართველოს თავის მისწრაფებაში განავითაროს კაპიტალის ბაზრისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზა და ინფრასტრუქტურა, მათ შორის დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს კაპიტალის ბაზარს. საქართველო შეერთებული შტატების დახმარებით თავის თავზე იღებს ვალდებულებას, შექმნას ერთიანი, დამოუკიდებელი და საჯაროდ ხელმისაწვდომ აქციათა რეესტრები.

საბუღალტრო აღრიცხვის რეფორმა: ბანკებისა და საწარმოების მიერ საერთაშორისო საბუღალტრო აღრიცხვის სტანდარტებზე (LAS) სწრაფი გადასვლა შესაძლებლობას მისცემს ინვესტორებსა და მენეჯერებს მიიღონ ამ ინფორმაციაზე დაფუძნებული დასკვნები საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის შესახებ. შეერთებული შტატები დაეხმარება პროფესიონალ ბუღალტრებსა და აუდიტორებს LAS სტანდარტების განხორციელებაში კვალიფიკაციის ამაღლების ტესტირებისა და სასერტიფიკაციო პროგრამების საშუალებით.

საკანონმდებლო და მარეგულირებელი სტრუქტურა: შეერთებული შტატები დაეხმარება საქართველოს იმ ინსტიტუტების განვითარებაში, რომლებიც უზრუნველყოფენ კერძო ქონების სრულ იურიდიულ დაცვას და ხელს შეუწყობენ კონკურენციას. შეერთებული შტატები მხარს დაუჭერს საკანონმდებლო სისტემის სრულყოფას, რომელიც მიუკერძოებლად განიხილავს კომერციულ დავებს. შეერთებული შტატები დაეხმარება საქართველოს კომერციულ სფეროსთან დაკავშირებული კანონპროექტების მომზადებასა და განხორციელებაში, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულ ნორმებს.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO): შეერთებული შტატები აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს განცხადებას WTO-ში მიღებასთან დაკავშირებით. საქართველომ შემოიღო ღია სავაჭრო რეჟიმი ერთიანი და შედარებით დაბალი საგარეო ტარიფებით. ღია რეჟიმი არის საუკეთესო გზა კონკურენტუნარიანი და ეფექტური წარმოების მხარდასაჭერად, და ეკონომიკის ექსპორტზე საორიენტაციოდ. შეერთებული შტატები გააგრძელებს საქართველოსათვის საკანონმდებლო და ტექნიკური დახმარების აღმოჩენას საქართველოს WTO-ში გასაწევრიანებლად.

ფისკალური პოლიტიკა და დაბეგვრა: შეერთებული შტატები აღიარებს, რომ ბოლო წლებში საქართველომ დიდ პროგრესს მიაღწია სახელმწიფო ხარჯების გონივრულად ხარჯვასა და პასუხისმგებლურად მართვაში, ბიუჯეტის მიღების პროცესის საპარლამენტო და საჯაროდ განხილვის საგნად გადაქცევაში. შეერთებული შტატები მიესალმება ახალ ყოვლისმომცველ საგადასახადო კოდექსს. შეერთებული შტატები საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებით გააგრძელებს დახმარების აღმოჩენასა და კონსულტაციას ახალ საგადასახადო კოდექსის სამართლიანი და ეფექტური გზით ცხოვრებაში გასატარებლად. შეერთებული შტატები გააგრძელებს კონსულტაციების მიცემას ბიუჯეტის ფორმირებისა და შესრულების, სამთავრობო ფასიანი ქაღალდების მიმოქცევაში გამოშვებისა და მათ ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებში.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვა: შეერთებული შტატები და საქართველო თანახმანი არიან, რომ აუცილებელია მნიშვნელოვანი ახალი ინვესტიციები, რათა შეიცვალოს და განახლდეს ქარხნები, მოწყობილობები და ინფრასტრუქტურა საქართველოში. უცხოური ინვესტიციები შეიძლება დიდად წაადგეს მიზნის მიღწევას. ასეთი ინვესტიციების ჩადება შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამონაგები კონკურენტუნარიანი იქნება მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ჩადებულ ინვესტიციებთან მიმართებაში. ახალი ინვესტიციების განხორციელება დამოკიდებულია აგრეთვე კონკურენტუნარიანი, მათ შორის უცხოური კაპიტალის მონაწილეობით, სადაზღვევო და საბანკო დაწესებულებების განვითარებაზე საქართველოში. უცხოურ ინვესტიციათა კანონს, რომელიც 1997 წლის იანვრიდანაა ძალაში, ამერიკის შეერთებული შტატები აფასებს როგორც პოზიტიურ ნაბიჯს უცხოური ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად. პრეზიდენტ შევარდნაძის ბოლოდროინდელი გადაწყვეტილება უცხოური ინვესტიციების საკონსულტაციო საბჭოს ჩამოყალიბების შესახებ ხელს შეუწყობს და დააჩქარებს ინვესტიციების მოზიდვას.

შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოს ძალისხმევას მოიზიდოს უცხოური ინვესტიციები რამდენიმე მნიშვნელოვანი გზით:

კასპიის ნავთობის სატრანსპორტო გზები: შეერთებულმა შტატებმა ურჩიეს კასპიის ზღვის რეგიონში მომუშავე ნავთობის და გაზის მწარმოებლებს, გამოიყენონ კომერციული თვალსაზრისით უფრო გამართლებული რამდენიმე საექსპორტო გზის ვარიანტის სტრატეგია. შეერთებული შტატები მიესალმება „დასავლეთის მარშრუტის“ ადრეული ნავთობის მილსადენის მშენებლობის დაწყებას ბაქოდან ნავთობის საექსპორტო ახალ ტერმინალამდე, რომელიც შენდება სუფსაში საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე. სუფსასთან დაკავშირებული გეგმების რეალიზაციის მიზნით, შეერთებული შტატები გაგზავნის საქართველოში სპეციალურ მისიას რათა განსაზღვროს თუ რა დახმარების გაწევა შეიძლება რეგიონის განვითარების ყოვლის-მომცველი გეგმის მომზადების მიზნით. სუფსის რეგიონის განვითარების გენერალური გეგმა დაეხმარება საქართველოს, ევროაზიური დერეფნის ფუნქციონირებას და ხელს შეუწყობს სამხრეთ კავკასიის რეგიონში პოზიტიური პოლიტიკური და სოციალური დინამიკის შექმნას.

საქართველოს, რომელსაც გასასვლელი აქვს შავ ზღვაზე, გააჩნია პოტენციალი გახდეს რეგიონში ევროაზიური დერეფნის ცენტრი და თავის პორტებში გაატაროს საერთაშორისო ბაზრებზე მიმავალი სავაჭრო ტვირთები. საქართველო იმედოვნებს, რომ აზერბაიჯანიდან მომავალი ძირითადი ნავთობის საექსპორტო მილსადენი გაივლის საქართველოს ტერიტორიაზე, და ასევე იმედოვნებს, რომ მონაწილეობას მიიღებს მომავალში კასპიის რეგიონის და გაზის ტრანსპორტირების პროექტებში. საქართველოს როლი ნავთობის ტრანსპორტირებაში წინგადადგმული ნაბიჯია მისი ფართო და ეფექტური მონაწილეობისკენ ევრაზიულ სატრანსპორტო დერეფანში, რომელიც გადის, როგორც ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ, ისე აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ.

საინვესტიციო ფონდები: შეერთებული შტატები მოხარულია გამოაცხადოს ორი კავკასიური სამეწარმეო ფონდის დაფუძნების შესახებ. მასში შევა 15 მილიონი აშშ დოლარის საინვესტიციო ფონდი მცირე და მიკრო საწარმოებისთვის. ამასთან ერთად, OPIC-ი კერძო ინვესტორებთან და ინვესტიციების საკითხებში პროფესიონალ მენეჯერებთან ერთად მუშაობს კავკასიის 45 მილიონ დოლარიანი საინვესტიციო ფონდის ჩამოყალიბებაზე. ფონდს ექნება საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის საწარმოების აქციები და განსაკუთრებით სასარგებლო იქნება კავკასიაში რეგიონალური ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეწყობისთვის. გარდა ამისა ამერიკელმა ინვესტორებმა პოტენციური პოლიტიკური რისკისგან OPIC-ში დააზღვიეს 17 პროექტი სხვადასხვა სფეროში, რომელთა შორისაა ტელეკომუნიკაციები, ტრანსპორტი, ფარმაკოლოგია, უძრავი ქონება, ნავთობი და გაზი. მთლიანობაში ეს პროექტი წარმოადგენს 1 მილიარდ დოლარზე მეტ პოტენციურ ინვესტიციასა და ექსპორტს საქართველოში.

ექსპორტ-იმპორტის ბანკი და ვაჭრობის განვითარების სააგენტო: შეერთებული შტატების ექსპორტ-იმპორტის ბანკმა დაასრულა მოლაპარაკება, პროექტების ხელშემწყობ შეთანხმებაზე მუშაობა, რომელიც საშუალებას მისცემს ექსიმბანკს განიხილოს ისეთი პროექტები საქართველოში, რომლებსაც ექნებათ მყარი ვალუტის შემოსავლის საშუალება. ეს შემოსავლები შეიძლება განთავსდეს ოფშორულ სარეზერვო ანგარიშებზე და გამოყენებულ იქნეს ვალის მომსახურებისთვის. შეერთებული შტატების ვაჭრობის და განვითარების სააგენტო აფინანსებს რამდენიმე ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათების პროექტს, რომლებსაც სავარაუდოდ უკავშირდება შეერთებული შტატების ინვესტიციებსა და ექსპორტს საქართველოში.

ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება: სარატიფიკაციო ინსტრუმენტების გაცვლით ამ კვირაში ძალაში შევა ინვესტიციების დაცვის ორმხრივი ხელშეკრულება. ეს უზრუნველყოფს ამერიკული ინვესტიციების თანაბარ პირობებს საქართველოში ადგილობრივი და სხვა ინვესტიციების გვერდით. ამასთან ერთად შეერთებული შტატები მზადაა აწარმოოს საქართველოსთან მოლაპარაკება ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების მომზადების მიზნით.

დასასრული. დასაწყისი იხ. I გვერდზე.

ვაშინგტონი. 17 ივლისი, 1997 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „საქართველოს მაგალითი ადასტურებს, რომ დღეს ყველა ქვეყანას, დიდსა თუ პატარას, შეუძლია განახორციელოს შეუქცევადი დემოკრატიული ტრანსფორმაცია, თუკი აქვს ამის მტკიცე ნება“

## საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევითი ცენტრის მიერ გამართულ შეხვედრაზე ვაშინგტონში, 1997 წლის 17 ივლისს

აწწოლ და გაჭირვებულ ქვეყანაში, მაგრამ, დღეს ხომ ყველანი, დიდიც და პატარაც, პასუხს ვაგებთ პლანეტის მომავლისათვის, ყველანი ვმონაწილეობთ მისი გადარჩენის პროცესში. მართალია, ბირთვული იარაღის საფრთხე მეტ-ნაკლებად დაძლეულია, მაგრამ კაცობრიობას არაერთი სხვა საფრთხეც ემუქრება – ეკოლოგიური და დემოგრაფიული კატასტროფები, მრავალი სახის ფანატიკური ექსტრემიზმი და, ღმერთმა ნუ ქნას, იქნებ ცივილიზაციათა დაპირისპირებაც კი. ყოველივე ამის დასაძლევად კაცთა მოდგმას მხოლოდ ერთი საშუალება აქვს – ერთიანობა.

რა თემაზეც უნდა ლაპარაკობდეს დღეს ევროპელი პოლიტიკოსი, იგი გვერდს ვერ აუვლის „ცივი ომის“ შემდგომ რეალიებს – ახალ მსოფლიო წყობასა და მასში აღმოსავლეთი ევროპისა და ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ადგილს. მით უმეტეს ვერ ავცდები ამაზე საუბარს მე და ალბათ ცოტა ვინმე თუ ელის ჩემგან დღეს განყენებულ თეორიულ მსჯელობას.

მაგრამ, ვიდრე დღევანდელობის და მომავლის პრობლემებზე ვისაუბრებდე, მინდა გაგიზიაროთ ჩემი, როგორც მაშინდელი მოვლენების შუაგულში მყოფი ადამიანის მოსაზრებანი იმის თაობაზე, თუ რაში მდგომარეობდა „ცივი ომის“ დასასრული და როდის მოხდა ეს სინამდვილეში.

ვფიქრობ, ამ კითხვაზე პასუხი თავისთავად ცხადი გახდება, თუკი შევთანხმდებით, რომ თვით „ცივი ომი“ იყო არა უბრალოდ ბირთვული დაპირისპირება და გავლენის სფეროებისათვის ბრძოლა დედამიწის ნებისმიერ კუთხეში, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ორი ზესახელმწიფოს მიერ მსოფლიოსა და მისი მამოძრავებელი ფასეულობების სრულიად საპირისპიროდ განსხვავებული აღქმა.

ამიტომაც, მე ვიტყოდი, რომ მეოცე საუკუნის ეს ყველაზე ხანგრძლივი ომი დასრულდა მაშინ, როცა ამ ორი მთავარი მოთამაშიდან ერთ-ერთმა უკუაგდო მსოფლმხედველობრივი დოგმები. ვფიქრობ, ყველაზე მკაფიოდ ეს გაცხადდა სპარსეთის ყურის ომის წინ. სწორედ მაშინ პირველად გადაიდგა ამგვარი ისტორიული ცვლილებებით ნაკარნახევი პრაქტიკული ნაბიჯი. მინდა კიდევ ერთხელ საჯაროდ დავეთანხმო ჩემს მეგობარს ჯიმ ბეიკერს, რომელიც სწორედ ამერიკის სახელმწიფო მდივნისა და საბჭოთა საგარეო მინისტრს შორის მოსკოვის აეროპორტში გაკეთებულ განცხადებას მიიჩნევს შემობრუნების წერტილად. მაშინ პირველად ჩამოყალიბდა მსოფლმხედველობრივად გაერთიანებული ერების ერთობა საყოველთაოდ მიღებული თამაშის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ.

შემთხვევითი როდია, რომ ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინათ კაცობრიობას ახალი აზროვნების საფუძველზე ამგვარი გაერთიანებისათვის მოუწოდეს ჩვენი საუკუნის უდიდესმა მოაზროვნეებმა – ალბერტ აინშტაინმა და ბერტრან რასელმა. მათ სხვებზე ადრე განჭვრიტეს, რომ ბირთვული იარაღის არსებობის პირობებში ძველი ანტაგონიზმისა და იდეოლოგიური ქიმერების ინერცია მსოფლიო ცივილიზაციას განადგურებას უქადდა. 80-იანი წლების მსოფლმხედველობითმა რევოლუციამ კაცობრიობას შესთავაზა ცივილიზაციის გადარჩენის ამ ერთადერთი გზის პრაქტიკული განხორციელების უნიკალური შესაძლებლობა.

დამერწმუნეთ, როგორც პიროვნებას, რომელიც წლების მანძილზე საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობაში შედიოდა, იმ ქვეყანას შესწევდა ძალა, ყოველგვარი შინაგანი თუ გარე წინააღმდეგობის მიუხედავად, რამდენიმე ათწლეულს, ავად თუ კარგად, კიდევ ეარსება, და შემდეგ, თუკი მის არსებობას სერიოზული საფრთხე დაემუქრებოდა, ისეთი ხმამაღალი კარის ჯახუნით წასულიყო ისტორიის არენიდან, რომ მთელი პლანეტისათვის აუნაზღაურებლად ძვირად დაესვა თავისი წასვლა. მით უმეტეს, რომ ბოლშევიკური მსოფლმხედველობის დამფუძნებელი მამების მოძღვრება ამისთვის ნოყიერ იდეოლოგიურ და მსოფლმხედველობრივ საფუძველს ქმნიდა.

იმპერიის, საბჭოთა კავშირის ნგრევის მთავარი ფაქტორი, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს ეს, თვით რუსეთი გახდა. გაიხსენეთ ბორის ელცინის, მისთვის დამახასიათებელი შეუპოვრობით, განხორციელებული აქციები რუსეთის დამოუკიდებლობის აღიარებისთვის. მიაღწია რა დამოუკიდებლობას, რუსეთმა ნებსით თუ უნებლიეთ განაპირობა სხვა რესპუბლიკების, დღეს უკვე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა სუვერენიტეტის ფაქტობრივი აღიარება. სხვათა შორის, დღეს ძალიან ცოტას, ან სავსებით არ წერენ რუსეთის მიერ განხორციელებულ ამ ისტორიულ მისიაზე.

სწორედ ამ მოვლენამ განაპირობა უზარმაზარი საბჭოთა სივრცის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გარდაქმნა გლობალური სამოქალაქო ომებისა და მასობრივი ხოცვა-ჟლეტის გარეშე, რასაც, სავსებით მოსალოდნელია, მსოფლიო მასშტაბის კატასტროფა მოჰყოლოდა.

მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. თუმცა განვლილ გზას ხავერდოვანს ვერ ვუწოდებ, ერთი შეხედვით მონოლითური საბჭოთა იმპერია, მთელი თავისი ბიუროკრატიული პარტიული აპარატითა და იდეოლოგიური ინსტიტუტებით, შედარებით უმტკივნეულოდ დაიშალა. და ვინ იცის, იქნებ პირველად მსოფლიო ისტორიაში გაჩნდა შესაძლებლობა, რომ სამი კონტინენტის უკიდეგანო სივრცეზე ძალთა ბალანსის მიზნით „ორგანიზებული ქიშპობის“ ნაცვლად „დემოკრატიული პარტნიორობის“ საფუძველზე განხორციელებულიყო უილსონისეული „ორგანიზებული საყოველთაო მშვიდობა“. აღმოცენებული რეალობა იმდენად მოულოდნელი და არაორდინარული რამ გახლდათ, რომ მას „ისტორიის დასასრულიც“ კი უწოდეს.

მაგრამ, მკითხავს ჩემი ოპონენტი, თუკი „ცივი ომის“ დამთავრებამ მსოფლიოს ჰარმონიული განვითარებისათვის ესოდენ ხელსაყრელი პირობები შექმნა, როგორ მოხდა, რომ უზარმაზარი სივრცე, რომელსაც ტოტალიტარიზმიდან დემოკრატიისაკენ ძლევამოსილი ტრანსფორმაცია უნდა განეცადა, აგერ უკვე მერვე წელიწადია კონფლიქტებითა და პოლიტიკური დაპირისპირებით არის მოცული. ისე არ გამიგოთ, თითქოს გარდაქმნის ინიციატორები რაღაც ილუზიების ტყვეობაში ვიმყოფებოდით და იმდენად მიამიტები ვიყავით, რომ გვჯეროდა, თითქოს 40-წლიანი „ცივი ომის“ მკვეთრი დასრულებით გამოწვეული ისტორიული ცვლილებები უმტკივნეულოდ ჩაივლიდა, კარგად გვესმოდა, თუ რა ძნელია ბავშვობიდან შეძენილი ღირებულებებისა და თაობების მიერ გამომუშავებული მენტალიტეტის მკვეთრი შეცვლა.

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, აღინიშნოს ის გარემოება, რომ გარდაქმნები, რომლებიც გასულ ათწლეულში დაიწყო საბჭოთა ბანაკში, უმთავრესად ცენტრალურ ხელმძღვანელობაში მომხდარი მსოფლმხედველობრივი გარდატეხის შედეგი იყო. ამიტომაც, კლასობრივ პრინციპებზე დაფუძნებული იდეოლოგიის უეცარმა გაუქმებამ შექმნა ვაკუუმი, რომლის ახალი კონფრონტაციული იდეოლოგიით ამოვსება ადამიანთა ცნობიერებაში არცთუ წარუმატებლად დაიწყეს ძველი სისტემის წინააღმდეგ ბრძოლის ტალღაზე აღზრდილმა პოლიტიკურმა დილეტანტებმა, ცნობიერებაში ჯერ კიდევ რჩებოდა მტრის აჩრდილი, რომლის ახლებურად განსახიერება, როგორც იტყვიან, ტექნიკის საქმე იყო. ამას დაერთო ისიც, რომ ტოტალური კონტროლისაგან დაღლილი ადამიანები დემოკრატიას ანარქიასთან აიგივებდნენ. ასე იქცა ქაოსი – თავისუფლებად, რომანტიზმით შეზავებული მითები – ერისა და ქვეყნის წარსულად და აწმყოდ, უკიდურესი ნაციონალიზმი – სახელმწიფოს ინტერესების დაცვად, ხოლო ქსენოფობია – ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებად. ერების ქვეცნობიერებაში მანამდე დათრგუნული სურვილების ამოფრქვევამ ამავე იდეოლოგიურ საფუძველზე შვა აგრესიული სეპარატიზმის მძლავრი ტალღა. შეიარაღებული გზით თვითგამორკვევის უფლება არათუ სახელმწიფოს საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიული მთლიანობის, არამედ ასი ათასობით სხვა ერის ადამიანის ბუნებრივ უფლებაზე, მათ შორის, სიცოცხლის უფლებაზე უზენაესად იქცა. როგორც ჩანს, სულ ცოტა ხნის წინათ გადატანილმა გლობალურმა დაპირისპირებამ მსოფლიო თანამეგობრობის ისეთი გონებრივი და სულიერი დაძაბვა მოითხოვა, რომ ამ ახალი სამიში მოვლენისათვის დაუყოვნებლივი ადეკვატური წინააღმდეგობის გაწევა ვეღარავინ შეძლო.

სრულიად ბუნებრივია, რომ პოსტტოტალიტარული რეალობის ხასიათს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს რუსეთის სახელმწიფოებრივი განვითარება და მისი თანმხლები პროცესები. არც ერთ საღად მოაზროვნე პოლიტიკოსს აზრადაც კი არ მოუვა, რომ დღევანდელი რუსეთი თავისი დემოკრატიული კონსტიტუციით, თავისუფლად და სამართლიანად არჩეული პარლამენტითა და პრეზიდენტით, დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლებით, თავისუფალი მასობრივი საინფორმაციო საშუალებებითა და საბაზრო რეფორმებით შეადაროს საბჭოთა კავშირს მისი ერთპარტიული დიქტატით, ამ დიქტატს დაქვემდებარებული პრესითა და ტელევიზიით და მკაცრად ცენტრალიზებული მბრძანებლური ეკონომიკით. ყოველივე ეს მისასალმებელი და იმედისმომცემია, განსაკუთრებით იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც ამ გიგანტური სახელმწიფოს მეზობლად მდებარეობენ და იქ მიმდინარე პროცესებს განიხილავენ, როგორც ყოფნა-არყოფნის საკითხს. ამიტომაც, როცა ცალკეული პოლიტიკური ძალების გამონათქვამებსა და მოქმედებაში მჟღავნდება ძველი, იმპერიული აზროვნების რეციდივები, ეს ქვეყნები განსაკუთრებით მტკივნეულად რეაგირებენ. მაგრამ, დამერწმუნეთ, რომ ამგვარი რეციდივები ყველაზე უფრო საშიშია თავად რუსეთისათვის, რადგან იმპერიულმა განწყობილებამ სხვების მიმართ შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს დღევანდელ პირობებში ახალი აზროვნების ჯერაც ნორჩ ყლორტებს სამინაო რეფორმებში. თავს უფლებას მივცემ შეგახსენოთ, რომ როდესაც არაერთხელ მოვუწოდებდით დასავლეთის განვითარებულ სახელმწიფოებს არ დაეშვათ მკვეთრი დისპროპორცია რუსეთისათვის დახმარების მოცულობასა და ყველა სხვა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის გაწეული დახმარების მოცულობას შორის როგორც პოლიტიკის, ასევე ეკონომიკის სფეროში, არა მხოლოდ ახალი დემოკრატიების იმწუთიერ გასაჭირს ვგულისხმობდით, არამედ იმ სერიოზულ საფრთხესაც, რომელსაც რუსეთში დაწყებულ გარდაქმნებს სუსტი და დაუცველი სახელმწიფოების მეზობლობით გამოწვეული ცდუნება უქადდა. მაშინ ეს მოწოდებები ცოტა ვინმემ თუ შეისმინა. შედეგს მხოლოდ ერთი მაგალითის მოშველიებით განვმარტავ: აფხაზეთის სეპარატისტები რუსეთის გარკვეულმა ძალებმა შეაიარაღეს და დააფინანსეს, იქვე იგეგმებოდა სამხედრო ოპერაციები, მათ შორის დედაქალაქ სოხუმის „წარმატებული“ იერიშიც. დღეს უკვე არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ ეს კონფლიქტი ბუმერანგად დაუბრუნდა თვით რუსეთს ჩეჩნეთის ომის სახით. ამ უკანასკნელმა უდიდესი საფრთხე შეუქმნა დემოკრატიის განვითარებას ამ ქვეყანაში. შეგახსენებთ რაოდენ სათუო გახადა ჩეჩნეთის ომმა პრეზიდენტის არჩევნებში დემოკრატიული რუსეთის უდავო ლიდერის – ბორის ელცინის გამარჯვება, რომ აღარაფერი ვთქვათ დემოკრატიული რუსეთის იმიჯისათვის საერთაშორისო ასპარეზზე მიყენებულ ზარალზე.

საზოგადოდ, იმასაც ვიტყვი, რომ მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებები მნიშვნელოვნად უსწრებს წინ წარმოდგენათა შეცვლას. მათი ინერცია იმდენად მდგრადი აღმოჩნდა, რომ დღეს იდეოლოგიათა დაპირისპირება წარმოდგენათა დაპირისპირებამ შეცვალა. ეს მკაფიოდ გამოჩნდა ნატოს გაფართოების პროცესში, როდესაც არც ნატოს და არც რუსეთის მიზნები ის აღარ არის, რაც სისტემათა დაპირისპირების დროს იყო. მაგრამ, ზოგიერთ ქვეყანაში ურჩ ბავშვებს ჯერ კიდევ ნატოთი აშინებენ, ხოლო ნატოში შესვლის ზოგიერთ კანდიდატთა შორის რუსეთის ხსენება დღეს უკვე აუხსნელ შიშს იწვევს.

ჩვენ ყველას ჯერ კიდევ ბევრი ხიფათი გველის ურთულესი ტრანსფორმაციის გრძელ და ეკლიან გზაზე. ბევრი მათგანი ზედაპირზე ძევს და ამიტომაც ნაკლებ მუქარას გვიქადის. ამ აუდიტორიაში მსურდა ერთ ისეთ საკითხზე მესაუბრა, რომელიც ერთი შეხედვით უწყინარ აზრთა გაცვლა-გამოცვლის ფარგლებს არ სცილდება, მაგრამ შეიძლება ჩვენს საერთო პრობლემად იქცეს.

მხედველობაში მაქვს გაუთავებელი დისკუსიები იმის გამო, თუ როგორ მსოფლიოში ვცხოვრობთ – ერთ პოლუსიანში, ორ პოლუსიანში თუ მრავალპოლუსიანში. მე ამაში სხვას არაფერს ვხედავ, თუ არა ახალ მცდელობას წინასწარ გამზადებულ თეორიულ პროკრუსტეს სარეცელში მოაქციონ დღევანდელი მსოფლიო.

ნუთუ ეს დრო ჯერაც არ დამთავრდა? ძველი მენტალიტეტის გადმონაშთია, როცა ჯიუტად სურთ ამა თუ იმ სახელმწიფოს პოლიტიკაში რომელიმე ბანაკზე ორიენტაცია აღმოაჩინონ და ამით, თავისდაუნებურად, მსოფლიოს კვლავ ბანაკებად დაპირიპირებულს ხედავენ.

თითქოს იალტის აჩრდილი ისე ძლიერ ჩაგვებლაუჭა, რომ ვერა და ვერ განვთავისუფლდით მისგან. თითქოს, ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე გაშლილი ერთიანი მსოფლმხედველობრივი სივცე იმდენად უმნიშვნელო რამაა, რომ ვერ აკმაყოფილებს ყველას ამბიციებს.

თუ ჩვენ გვსურს სულ ახლო წარსულის ტვირთი ამ საუკუნეში დავტოვოთ და ჩვენც შთამომავლობას იმაზე უკეთესი მსოფლიო შევუქმნათ, ვიდრე ის, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, მთელი ძალისხმევა უნდა მოვახმაროთ უპოლუსო მსოფლიოს შექმნას, რომელშიც მხოლოდ უნივერსალური ზოგადსაკაცობრიო იდეალები იქნება მიზიდულობის ცენტრი და რომელშიც მხოლოდ ამ იდეალების ერთგული სახელმწიფოები იქნებიან სხვებისთვის მიმზიდველნი და მიბაძვის ღირსნი.

მჯერა, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მსოფლიო თანდათანობით სწორედ ასეთი სისტემისაკენ ვითარდება. „ცივი ომის“ შემდგომ მძიმე გაკვეთილებს უკვალოდ არ ჩაუვლიათ. „ცივი ომის“ შემდგომი მსოფლიოს უმთავრესი საკითხი პოსტტოტალიტარული სივრცის შეუქცევადი ტრანსფორმაცია გახლავთ, რომელიც, თუმცა მძიმედ, მაინც მიმდინარეობს.

ამ ტრანსფორმაციის პროცესის მხარდასაჭერად და იმისათვის, რომ რუსეთი – მსოფლიოს ეს უდიდესი სახელმწიფო – დემოკრატიული და განვითარებული სამყაროს ღირსეულ და თანასწორ პარტნიორად იქცეს, ერთადერთ სწორ გზად მიაჩნია მისი ჩართვა მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური და სამხედრო სისტემების სტრუქტურებში. ეს, ნაწილობრივ უკვე ხორციელდება. ერთის მხრივ „დიდ რვეულში“ წევრობა და მეორე მხრივ – ნატოსთან განსაკუთრებული ურთიერთობის გაფორმება, რუსეთს აძლევს უნიკალურ ასპარეზს ყველას დაუმტკიცოს, რომ ის მსოფლიოში მიღებული თამაშის წესების ერთგულია, როგორც შინ, ისე გარეთ. მიმაჩნია, რომ მსოფლიო პოლიტიკის ეს ახლახან შექმნილი ფაქტორი ყოფილი სოციალისტური ბანაკისა და ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა უშიშროების გარანტიის ერთ-ერთი ქვაკუთხედია. ისევე, როგორც განვითარებული მსოფლიოს განსაკუთრებული დამოკიდებულება ევროპის საკვანძო სახელმწიფოს – უკრაინის მიმართ. თუმცა, აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ევრო-ატლანტიკური უშიშროების ახალი სისტემის ყველაზე არაკონფრონტაციული მოდელი, რა თქმა უნდა, უწინარესად ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოება იქნებოდა. ახლა ძნელია იმის წინასწარმეტყველება, ეს გაერთიანება როდის მოადგება შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებს და მისი სტანდარტების შესაბამისი იქნებიან თუ არა რეგიონის სახელმწიფოები. პესიმისტები აცხადებენ – ეს ალბათ არ მოხდებაო. ვინც ოდნავ მაინც მიცნობს, იცის, რომ მე ოპტიმისტთა რიგებს მივეკუთვნები. თუ გლობალური პროცესების ტენდენციებსა და დინამიკაზე მსოფლიოში უკანასკნელ ათწლეულში მომხდარის მიხედვით ვიმსჯელებთ, პესიმისტებს მორიგი იმედგაცრუება უნდა ელოდეთ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მტკიცედ გვაქვს განზრახული ჩვენი გასავლელი გზა რაც შეიძლება სწრაფად განვვლოთ და იმედით აღსავსენი ველოდოთ იმ ისტორიულ წუთს, როცა კარზე გაისმება სანუკვარი კაკუნი.

ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ნაწილობრივ ამ ოპტიმიზმის საფუძველს ჩემი სამშობლო საქართველოც მაძლევს. ვფიქრობ, საქართველოს მაგალითი ადასტურებს, რომ დღეს ყველა ქვეყანას, დიდსა თუ პატარას შეუძლია განახორციელოს შეუქცევადი დემოკრატიული ტრანსფორმაცია, თუკი აქვს ამის მტკიცე ნება. დღევანდელ მსოფლიოში არსებობს ამისათვის აუცილებელი პირობები.

უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ამერიკის შეერთებული შტატების, ევროკავშირისა და მისი წევრი ქვეყნების, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გადამწყვეტი დახმარება რომ არა შესაძლოა, საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფო, საერთოდ გამქრალიყო პოლიტიკური რუკიდან. არ მინდა ამ აუდიტორიაში თავი შეგაწყინოთ ციფრებითა და ეკონომიკური მაჩვენებლებით. ვიტყვი მხოლოდ, რომ ბოლო წელიწადნახევრის მანძილზე შიდაეროვნული პროდუქტის წლიურმა ზრდამ საშუალოდ 10-12 პროცენტი შეადგინა, ინფლაციის საშუალო თვიური დონე ერთ პროცენტს არ აღემატებოდა, ხოლო საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოში მიმდინარე რეფორმები შეაფასა, როგორც იმის მაგალითი, თუ როგორ შეიძლება განახორციელოს ესოდენ მძიმე პირობებში მყოფმა ქვეყანამ ასეთ მოკლე დროში სერიოზული ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნები. ჩვენმა თავმდაბალმა პარტნიორებმა საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან მხოლოდ ის არ აღნიშნეს, რომ ამაში უდიდესი წვლილი თვით მათ მიუძღვით. თუკი ამ აუდიტორიაში არიან ადამიანები, ვისაც ახსოვთ ჩემი წინა ვიზიტი ამერიკაში 1994 წლის გაზაფხულზე, ისიც ემახსოვრებათ თუ რა ნანგრევებად ქცეულ ქვეყანას წარმოვადგენდი მაშინ. ხოლო, თუკი ასეთები აქ არ არიან, მაშინ ბატონ ბჟეზინსკის მოვიყვან ამის მოწმედ.

რადგან მაგალითად საქართველოს მოყვანა დაიწყეს, მე გავაგრძელებ ამ ტრადიციას. საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ბოლოდროინდელი ურთიერთობაც მაგალითია, კერძოდ იმისა, თუ როგორი უნდა იყოს დიდი და მცირე ქვეყნის დამოკიდებულება. ბოლო წლების საქართველო მაგალითია აგრეთვე იმისა, თუ რა შედეგები მოაქვს დანაწევრების პირას მისული, დანგრეული და გაპარტახებული, მაგრამ დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის, ადამიანის უფლებებისა და პიროვნების თავისუფლების ერთგული ქვეყნისათვის უდიდესი სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ზნეობრივ თანადგომას. მაგალითია იმისა, რომ საბოლოო ანგარიშით განვითარების ამ გზას გონივრული ალტერნატივა არ გააჩნია.

დღეს უკვე ცხადია, ინვესტორები არ შემცდარან. საქართველოში ინვესტირებული პოლიტიკური, ფინანსური თუ სულიერი კაპიტალი არა თუ არ დაიკარგა, არამედ მოგებაც მოაქვს და არა მხოლოდ მატერიალური. ჩვენი მეგობარი სახელმწიფოების გადამწყვეტ დახმარებას დაემატა საქართველოში საუკუნეების მანძილზე გამომუშავებული ტრადიციები – ტოლერანტობა, თანამედროვე პროცესების სწრაფად აღქმის უნარი, განათლებისა და მეცნიერულ-ტექნიკური კვალიფიკაციის მაღალი დონე, რაც გეოგრაფიულ მდებარეობასთან ერთად საქართველოს რეგიონში გამორჩეულ ადგილს დაუმკვიდრებს. საქართველოში გაიმართა პარლამენტისა და პრეზიდენტის თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები, რომელიც ევროპის საბჭოს, ევროკავშირის, ეუთოს მეთვალყურეებმა დაადასტურეს, როგორც ობიექტური. შეიქმნა საკონსტიტუციო სასამართლო, შარშან საქართველომ და ევროკავშირმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ და ამით იურიდიულად გააფორმეს ურთიერთობა. საქართველოს მინიჭებული აქვს სპეციალური სტუმრის სტატუსი ევროპის საბჭოში და მეთვალყურის სტატუსი მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში. მალე ამ ორგანიზაციების წევრი გავხდებით.

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე სახელმწიფოს წინაშე მდგომ პრობლემათაგან ყოველთვის ყველაზე რთული იყო მეზობლებთან ურთიერთობის პრობლემა. მის მოუგვარებლობასთან არის დაკავშირებული ქვეყნის ისტორიის ყველაზე შავბნელი ეპიზოდები – სახელმწიფოს დანაწევრება, სახელმწიფოებრიობის ნგრევა, ასიათასობით ქართველის განადგურება და სხვა ქვეყნებში ყმებად გარეკვა. ამდენად შესანიშნავი ურთიერთობა მეზობლებთან დღევანდელი საქართველოსათვის უდიდესი მონაპოვარია. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ, ვცხოვრობთ რა მსოფლიოს ერთ-ერთ ურთულეს რეგიონში, სამაგალითო ურთიერთობა გვაქვს უკლებლივ ყველა მეზობელთან – აზერბაიჯანთან, სომხეთთან, რუსეთთან, თურქეთთან, ირანთან, უკრაინასთან, ბალკანეთის ქვეყნებთან. ეს განსაკუთრებული კაპიტალია და ჩვენ მას თვალისჩინივით ვუფრთხილდებით.

ვისაც საქართველოს თავზე გადაუფრენია, შეამჩნევდა, რომ ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მიუვალ მთებს შორის მოქცეული ბარი ორ ნაპირს შორის გამდინარე სრუტეს გავს. ამასწინათ, ჩემთან საუბარში ერთმა მსხვილმა ამერიკელმა ბიზნესმენმა ის გიბრალტარის სრუტესაც კი შეადარა. ჩანს, თვით ბუნებამ მიანიჭა საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია. ამით სარგებლობდნენ ძველი სოვდაგრები, რომლებიც მშვიდობიანობის დროს ამ ბუნებრივ დერეფანს შუა საუკუნეების აბრეშუმის გზის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაკვეთად იყენებდნენ.

სტაბილიზაციის მიღწევის შემდეგ საქართველოზე გამავალი სატრანსპორტო საკომუნიკაციო გზები და მილსადენები, მათ შორის ნავთობის მილსადენები, ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომს ხდიან კასპიის ცენტრალური და აღმოსავლეთი აზიის ბუნებრივ და ადამიანურ რესურსებს, ახლაც და მომავალშიც გამორიცხავენ მათზე ერთი რომელიმე ქვეყნისა თუ ალიანსის მონოპოლიურ უფლებებს. ეს მარშრუტები უკვე მოქმედებენ: ეს არის განახლებული „დიდი აბრეშუმის გზა“ – ევროკავშირის საუკუნის პროექტი ტრასეკა – სატრანსპორტო საკომუნიკაციო დერეფანი ევროპა-ამიერკავკასია-აზია, კასპიისა და ცენტრალური აზიის ენერგომატარებლების ტრანსპორტირების ალტერნატიული მარშრუტები საქართველოს გავლით, რომლებსაც ჩვენთან ერთად ამუშავებენ დასავლეთის, მათ შორის, ამერიკისა და იაპონიის უდიდესი კომპანიები.

ამ პროექტებში საქართველო მარტო როდი მონაწილეობს. ყოველთვის მიმაჩნდა და ახლაც ასე ვფიქრობ, რომ ასეთი პროექტები მხოლოდ მაშინ შეასრულებენ სტაბილურობისა და რეგიონულ თანამშრომლობაში ინტერესთა გამაერთიანებლის როლს, თუკი მათი სიკეთით ისარგებლებს, როგორც კავკასიისა და ცენტრალური აზიის უკლებლივ ყველა სახელმწიფო, მათ შორის ის სახელმწიფოებიც, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზის გამო დღეს ამ პროექტების მიღმა აღმოჩნდნენ, ასევე მსოფლიოს უდიდესი ქვეყნები – ამერიკის შეერთებული შტატები, რუსეთი, თურქეთი, გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, იაპონია. ცხადია, ყველამ თანაბრად უნდა იგრძნოს პასუხისმგებლობა რეგიონისათვის, მათ შორის კონფლიქტების მოწესრიგებისათვის, რათა ის გახდეს არა კონფრონტაციის, არამედ მშვიდობის ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის არენა. რეგიონის არცერთმა სახელმწიფომ არ უნდა იგრძნოს თავი გარიყულად. თორემ ვინ იცის, კავკასიის ფეთქებადსაშიშ რეგიონში რომელ გარეშე ძალას როდის მოუვა აზრად, განაწყენებული მხარე თავისი მიზნებისათვის გამოიყენოს.

სწორედ ამიტომ, რეგიონული პრობლემების, მათ შორის კონფლიქტების მოგვარება საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავია. საქართველოს მოუშუშებელ ჭრილობად კვლავ რჩება კონფლიქტი აფხაზეთში, დანაშაულებრივი სეპარატისტული რეჟიმის მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის, უპირატესად ქართველთა მასობრივი განადგურება და მათ წინააღმდეგ მიმართული ეთნიკური წმენდა დაგმეს ეუთოს ბუდაპეშტისა და ლისაბონის უმაღლესი დონის შეხვედრებმა. გაეროს უშიშროების თხუთმეტზე მეტმა რეზოლუციამ და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს სხდომებმა მკაფიოდ დაადასტურეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და უკლებლივ ყველა იძულებით ადგილნაცვალი პირისა და ლტოლვილის უპირობო უფლება დაუბრუნდნენ მუდმივ საცხოვრებელ ადგილს. მიუხედავად ამისა, სეპარატისტთა დესტრუქციული პოზიციის გამო, კონფლიქტის მოწესრიგების პროცესი ადგილიდან არ იძვრის. გარდა იმისა, რომ ამას აუტანელი ტანჯვა მოაქვს 300 ათასი ლტოლვილისა და კონფლიქტის ზონაში დარჩენილი მოსახლეობისათვის, ეს სერიოზულად აფერხებს აღმავლობის გზაზე დამდგარ საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას და ძალზე სერიოზულ სოციალურ პრობლემებს გვიქმნის. მიუხედავად ამისა, საქართველოს ხელისუფლებას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ეძიოს კონფლიქტის პოლიტიკური გადაჭრის გზები ნებისმიერი ფორმატით, იქნება ეს მოსკოვში მიმდინარე კონსულტაციები, თუ გაეროს ეგიდითა და ეუთოსა და „საქართველოს მეგობრების ჯგუფის“ (ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, რუსეთი) მონაწილეობით გამართული მოლაპარაკება. აფხაზეთს ჩვენ ვთავაზობთ მსოფლიოში მიღებულ ყველაზე მაღალ ავტონომიას, რომლის პირობებშიც მას ექნება თავისი კონსტიტუცია, პარლამენტი, მთავრობა, დროშა, გერბი, ჰიმნი და ასე შემდეგ.

კავკასიური ფაქტორის ყოველმხრივ გათვალისწინების გარეშე ერთიან ევრაზიულ მსოფლმხედველობრივ სივრცეზე ოცნებაც კი ზედმეტია. ერთის მხრივ, ევრო-ატლანტიკურ არეალში უკანასკნელ ხანს მომხდარ ისტორიულ ძვრებს, ბალკანეთში მდგომარეობის შედარებით სტაბილიზაციას და მეორე მხრივ, კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, ამ რეგიონის ბუნებრივი რესურსებით სიმდიდრესა და მის უნიკალურ სატრანსპორტო-საკომუნიკაციო შესაძლებლობებს თუ გავითვალისწინებთ, უახლოეს ხანში კავკასიაში მსოფლიო თანამეგობრობის ინტერესების მკვეთრ ზრდას უნდა ველოდეთ. ამ ინტერესების პირველი გამოვლინება გახლდათ ევროპის საბჭოს მიერ ამიერკავკასიის სამივე სახელმწიფოსათვის სპეციალური სტუმრის სტატუსის მინიჭება და ევროკავშირის მიერ ამ სამ ქვეყანასთან ცალ-ცალკე პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებაზე ხელის მოწერა. ამდენად, ევროპის ამ ორმა უაღრესად ავტორიტეტულმა გაერთიანებამ ამიერკავკასია ერთიანი ევრო-ატლანტიკური სივრცის განუყოფელ ნაწილად აღიარა.

დღეს უდიდესი ევროპული, ამერიკული, იაპონური კომპანიების კავკასიით დაინტერესებას თუ გავითვალისწინებთ, მომავალ საუკუნეში ეს რეგიონი, ცენტრალურ აზიასთან ერთად, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დინამიკურად განვითარებადი იქნება. მაგრამ, ჩვენი გამოცდილებიდან ვიცით, რომ ეს თავისთავად არ მოხდება, ამას რეგიონის ქვეყნების და ხალხების უდიდესი ძალისხმევა დასჭირდება. ამ ძალისხმევის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს, ჩვენს ყველა კეთილისმყოფელთან ერთად, კავკასიის ხალხების მიერ თავიანთი პასუხისმგებლობის გააზრება. ბევრი დიდი და ძლიერი სახელმწიფო მზად არის დაეხმაროს კავკასიას, ბევრი უკვე ეხმარება კიდეც, მაგრამ ყველაფერი ეს წყალში გადაყრილი აღმოჩნდება, თუკი თვით კავკასიელებმა უფრო აქტიურად არ ეძებეს ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის გზები.

საქართველო არათუ მზად არის ასეთი ინტეგრაციისათვის, გასულ წელს იგი თვითონ გამოვიდა „მშვიდობიანი კავკასიის“ ინიციატივით, რომლის უპირველესი მიზანი იყო ადამიანთა ცნობიერებაში, და მამასადამე, სახელმწიფოთა პოლიტიკაშიც კავკასიური ფაქტორისა და რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერება, რათა კავკასიაში საერთაშორისო სამართლის ნორმებზე დამყარებულმა ხანგრძლივმა და სამართლიანმა მშვიდობამ დაისადგუროს.

სამი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, ბოლოს რომ ვესტუმრე ამერიკას. პატარა ქვეყნისაგან განსხვავებით, დიდი ქვეყნის გადასახედიდან დროის ამ უმნიშვნელო მონაკვეთში მსოფლიოში მომხდარი მოვლენები, შესაძლოა, სხვაგვარად ჩანს და განსხვავებულადაც აღიქმება, მაგრამ მე პატარა ქვეყნიდან ჩამოვედი და ასე ვხედავ დღევანდელ მსოფლიოს თავისი პრობლემებითა და საზრუნავით. ვხედავ იმასაც, რომ მასში მიღწევები მეტია, ვიდრე დანაკარგები, რომ ოპტიმიზმის საფუძველი მეტია, ვიდრე პესიმიზმის, რომ, „მუდმივი ინტერესების“ გარდა, არსებობენ „მუდმივი მეგობრებიც“ და რომ ყოველივე ეს უკეთესი მომავლის რწმენით უნდა აღვავსებდეს პატარა ქვეყანასაც და დიდსაც, მეც და თქვენც.

გმადლობთ ყურადღებისათვის.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

საქართველოს რესპუბლიკა
№167. შაბათი, 19 ივლისი, 1997 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნახევარწლეული

***ქვეყნის ლონიერება, ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა ბევრად არის დამოკიდებული საგადასახადო სამსახურის გამართულ, მოქნილ საქმიანობაზე. ამაზე მეტყველებს წლის განვლილი პერიოდი, განსაკუთრებით ივლისის პირველი დეკადა, როცა საგადასახადო ინსპექციის ხაზით სახელმწიფო ხაზინაში 10 მილიონი ლარი ჩაირიცხა. ეს 2 მილიონი ლარით ანუ 25 პროცენტით აღემატება ივნისის შესაბამის მაჩვენებელს. საერთოდ, ივლისში მიღებული შემოსავლის ჩათვლით წლის დასაწყისიდან ბიუჯეტმა მიიღო 150 მილიონი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ შედეგზე 33 მილიონი ლარით მეტია. ამ წარმატებაში ლომის წილი მიუძღვის საგადასახადო სამსახურის ოპერატიულ სამმართველოს (უფროსი გრიგოლ შონია), რომელსაც ამას წინათ დაარსებიდან 3 წლისთავი შეუსრულდა. ქვემოთ მოთხრობილია იმ საქმიანობის შესახებ, რასაც ამ სამმართველოს მუშაკები ეწევიან.***

### წლის პირველ ნახევარში

მიზანმიმართულ, შეუნელებელ გარჯაში განვლო წლის პირველმა ნახევარმა. არა ერთი და ორი ოპერატიული ღონისძიება განხორციელდა, არა ერთი და ორი ფიზიკური თუ იურიდიული პირის საქმიანობის შესწავლა-შემოწმება დასჭირდათ იმისათვის, რომ გაერკვიათ — ირღვეოდა თუ არა საგადასახადო კანონმდებლობა, გადამხდელები სწორად იხდიდნენ თუ არა მიღებული შემოსავლებიდან გადასახადს, ზარალდებოდა თუ მოგებაში რჩებოდა სახელმწიფო ბიუჯეტი?

ამ კითხვებზე სრულ და ნათელ პასუხს იძლევა ოპერატიული სამმართველოს სტატისტიკა. თუ ამ სტატისტიკას ვენდობით (ეჭვი არ მეპარება, რომ სანდოა), განვლილ 6 თვეში ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხებზე შემოწმებულია 308 იურიდიული და 40 ფიზიკური პირის საქმიანობა. გამოვლენილია უამრავი დარღვევა, ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით დარიცხულია 4 მილიონი ლარი, საიდანაც ფინანსური სანქციებისა და საურავების თანხა 2,3 მილიონ ლარს შეადგენს.

კერძოდ, რა ზომებს მიმართავენ?

როგორც სამმართველოში მითხრეს, 472 პასუხისმგებელ პირს დაედო ადმინისტრაციული სახდელი, 195 შემოწმების მასალა გადაეცა სასამართლო ორგანოებს, გამოვლენილია ურეგისტრაციო და ულიცენზიო სამეწარმეო საქმიანობის 133, მეურნე სუბიექტების მხრივ ვაჭრობისა და მომსახურების წესების შეუსრულებლობის 26, ეროვნული ვალუტის გამოყენების წესების დარღვევის 11 ფაქტი, საფინანსო დისციპლინისა და საგადასახადო კანონმდებლობის სხვა უხეში დარღვევები. 35 მოკვლეული მასალა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებით გადაეცა შინაგან საქმეთა, უშიშროების სამინისტროებსა და პროკურატურის საგამოძიებო ორგანოებს. აღძრულია 19 სისხლის სამართლის საქმე, ბიუჯეტში დამატებით შესულია 10,5 მილიონი ლარი.



### ამან ბიუჯეტი აზარალა

ლაპარაკია მიმნობრივი არგადახდების პრობლემაზე, რომელიც სისტემის წინაშე კვლავ მწვავედ დგას. მით უფრო უკანასკნელ პერიოდში, როცა ამ პროცესებმა კიდევ უფრო არასასურველი მასშტაბები მიიღო. ამას მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი „საქართველოს საგადასახადო სისტემის მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ 1996 წლის 27 დეკემბრის კანონის ამოქმედებამ, რომელმაც გადასახადების დაგვიანებით გადახდაზე ჯარიმა 0,5-დან 0,1 პროცენტამდე შეამცირა. აღნიშნული სანქცია იმდენად უმნიშვნელოა (თვიური 3 პროცენტი), რომ საგადასახადო ორგანოები მას ვერც ზემოქმედების საშუალებად იყენებენ და ვერც სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის დასაფარავად.

ამან ის გამოიწვია, რომ გადამხდელთა საკმაოდ დიდმა კატეგორიამ „თავი აიშვა“, გართულდა გადასახადებისგან თავის ამრიდებელთა წინააღმდეგ ბრძოლა, შეფერხდა ბიუჯეტის კუთვნილი თანხების დროული და უდანაკარგო მობილიზება. მენარჩენე ორგანიზაციების დიდი ნაწილი „ვირეშმაკობს“ — ხელოვნურად ქმნის გადახდისუუნარობის პირობებს, ეწევა ფარულ სამეწარმეო საქმიანობას, ამზადებს აღურიცხავ პროდუქციას. ასეთებს, როგორც წესი, საბანკო ანგარიშზე თანხები არა აქვთ და ბიუჯეტიც პრაქტიკულად მათგან ვერაფერს იღებს.

ოპერატიულმა სამმართველომ ასეთ სიტუაციაშიც იპოვა გამოსავალი — საკუთარი შესაძლებლობების, აგრეთვე ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების მაქსიმალური ძალისხმევით შეძლო 198 ორგანიზაციაზე რიცხული ბიუჯეტის ვადაგადაცილებული დავალიანებები 4,7 მილიონი ლარით შეემცირებინა. მნიშვნელოვანი თანხებია აკრეფილი რუსთავის მეტალურგიული კომბინატიდან (150 ათასი ლარი), საწარმოო გაერთიანება „აზოტიდან“ (250 ათასი ლარი), სს „თბილნავთობპროდუქტიდან“ (54 ათასი ლარი), ბორჯომის ჩამოსასხმელი ქარხნებიდან და სხვა საწარმოებიდან.

წლის პირველ ნახევარში დაწყებული მუშაობა არც მეორე ნახევარში შენელებულა.

### გაყალბებული საქონელი

საბაზრო ეკონომიკა, რომელიც ახლა მკვიდრდება საქართველოში, ხალიჩაგადაფენილი გზით როდი შემოვიდა, დადამბლავებულია ქვეყნის მრეწველობა, რომლის პროდუქციამ (თუკი რამე იქმნება) უცხოური ბაზარიც დაკარგა და საკუთარიც. სამაგიეროდ, მოზღვავდა იმპორტული აქციზური საქონელი (სიგარეტი, ლუდი, სპირტიანი სასმელები და სხვ.), რომელმაც ბაზრობები ერთიანად გაძეძგა.

ამას კიდევ აიტანდა კაცი, რომ იმპორტული საქონლის შემომტანნი ნამუსიანად იქცეოდნენ, იცავდნენ ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს, თვითონაც სარგებლობდნენ და ბიუჯეტსაც თავის კუთვნილ თანხას აძლევდნენ. არა, ასე არ ხდება. ამ პროდუქციის დიდი ნაწილი საქართველოში შემოდის ფიქციური სატრანზიტო და საექსპორტო ოპერაციების წყალობით, იყიდება ბაზრობებზე გავრცელებულ ჯიხურებსა და დახლებზე, სადაც აღრიცხვა ისეა აბურდულ-დაბურდული, რომ კონტროლის განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელია.

სერიოზულ პრობლემებს ქმნის ქვემო ქართლის, სარფისა და სხვა საბაჟო პუნქტებში შექმნილი ვითარება, საიდანაც ქვეყანაში უკონტროლებადი, ფაქტობრივად გაყალბებული აქციზური საქონლის დიდი პარტიები შემოდის.

შეიძლება შეგვედაონ, რას ბრძანებთ, ტყუილუბრალოდ გვდებთ ბრალსო, მაგრამ ოპერატიული სამმართველოს მიერ გამოვლენილ ფაქტებს სად გაექცევიან? რით გაიმართლებს თავს, მაგალითად, საბურთალოს რაიონის მპს „ოაზისის“ დირექტორი ლილი სულაძე, რომელსაც გასაყიდად გამზადებული 71,4 ათასი ლარის ღირებულების აღურიცხავი, კონტრაბანდის გზით შემოტანილი საქონელი აღმოაჩნდა? ვერაფრით. მით უფრო, რომ მოკვლეული მასალები გადაეცა ამავე რაიონის პროკურატურას.

საბაჟო დოკუმენტებში გაყალბებული მონაცემების შეტანის ფაქტზე მხილებულია თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე მცხოვრები კახაბერ საბაშვილი, რომელმაც იეშმაკა, იტალიიდან შემოტანილი 60 ათასი ბოთლი შამპანური „სპუმანტე“ ღვინოდ გააფორმა (ამით გადასახდელი თანხა ხელოვნურად შეამცირა) და ბიუჯეტს თავის ჭკუით 30,7 ათასი ლარი „მოუტეხა“. რა თქმა უნდა, არ შერჩა, მის საქმეს სასამართლო გაარჩევს.

# მატულობს ბიუჯეტის შემოსავლები, ამაღლდება კეთილდღეობაც

სისხლ[illegible] [illegible] ცხვაზე კი არსად არ იყო აყვანილი. ამას ისიც დაუმატა, რომ საბაჟო რეჟიმის უხეში დარღვევით შეიძინა დიდი რაოდენობის ბულგარული ლუდი „ასტიკა“, აგრეთვე არაყი „სტალინი“ და მათი რეალიზაციით მიღებული ბიუჯეტის კუთვნილი 64,3 ათასი ლარი დანაშაულებრივად დამალა. ჰოდა, ახლა ამ დანაშაულისთვის პასუხსაც აგებინებენ და თანხასაც გადაახდევინებენ.

### ლიცენზია რა საჭიროა?!

„ასე ფიქრობს დღესაც ზოგი მეწარმე. და ეს მაშინ, როცა ულიცენზიო და ფალსიფიცირებული პროდუქციის გამოსავლენად და აღსაკვეთად საგადასახადო, სამართალდამცავი, მაკონტროლებელი ორგანოები არაერთ ღონისძიებას მიმართავენ. ფაქტები კი მაინც არის, თანაც უამრავი. ზოგ-ზოგები ვერა და ვერ მოეშვნენ მაქარწყლის „შამპანურად“, ხოლო სპირტნარევი სითხის — არყად გასაღებას. მუშტარიც რომ ყავთ? რამდენი მოიწამლა, რამდენიც „მუცელს გადაყვა“, მაგრამ ბევრმა ჭკუა მაინც ვერ ისწავლა.

ოპერატიული სამმართველოს მუშაკებმა ამას წინათ აღმოაჩინეს ულიცენზიო საწარმო „სამაია“ (გლდანის რაიონი, ულიანოვის ქუჩის პირველი შესახვევი, № 49), რომლის „კონვეიერიდანაც“ უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა „სალალოს“, „ჯორჯიან-სექტის“, „საამოს“ მარკის მუშხუნა ღვინოები.

ვერ გეტყვით, როგორი ხარისხის „სალალოს“ უშვებდა ულიცენზიო საწარმოს დირექტორი ნუკრი დობაძიშვილი, მაგრამ საბაზრო ეკონომიკის პირობებში თვითონ რომ ლაღად გრძნობდა თავს, ეს ფაქტია. სამეწარმეო საქმიანობიდან გამომდინარე, მას უნდა გადაეხადა აქციზის, დღგ-ს, ხელფასიდან საშემოსავლო, ხოლო წლეულს პირველი კვარტალიდან მოგების გადასახადი. იგი ამ გადასახადს არა თუ არ იხდიდა, რაიონულ საგადასახადო ინსპექციაში რაიმე გაანგარიშებებიც კი არ ჰქონდა წარდგენილი. არადა, მეწარმის მიერ ჩამოსხმული ღვინოები იყიდებოდა როგორც თბილისში, ისე ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში. მარტო ერთი დღის განმავლობაში სამმართველოს ინსპექტორებმა დედაქალაქში დაადგინეს 19 სავაჭრო ობიექტი, სადაც 6000 ბოთლზე მეტი მუშხუნა იყიდებოდა. აქედან გამომდინარე, მას ბიუჯეტის სასარგებლოდ 3500 ლარის გადახდა დაეკისრა. მაგრამ მანამდე რამდენი გაიყიდა ან ბიუჯეტმა რამდენი იზარალა, რომ არავინ იცის? ნუთუ ამას ვერავინ ხედავდა?

### ესენიც სცოდავენ

კიდევ ვინ სცოდავს ბიუჯეტთან? თურმე ისინიც, ვინც დღენიადაგ ბაზარში დგას, ვაჭრობს, შემოსავალს იღებს, სახელმწიფო ხაზინისთვის კი ერთ თეთრსაც არ იმეტებს. ზოგი იტყვის: იმათ თავიანთთვის რა აქვთ, სახელმწიფოს რა უნდა მისცენო. არც ასეა საქმე, საგადასახადო კანონი მათგან იმდენის გადახდას ითხოვს, რამდენიც შემოსავლის მიხედვით ეკუთვნით. ამას რომ იხდიდნენ, მაშინ სადავო აღარავის არაფერი ექნებოდა, არც სახელმწიფო იზარალებდა და არც ფიზიკური პირი, რომელსაც კანონის დარღვევის გამო გაუთვალისწინებელი, ზოგჯერ მის შესაძლებლობებს აღმატებული თანხის გადახდა უწევს.

და ყველაფერი ეს ხდება იმის გამო, რომ ფიზიკური პირების უმეტესობა არ იცავს კანონმდებლობით დადგენილ წესებს, არასრულად ან საერთოდ არ აღრიცხავს შემოსავლებს, მუშაობს ურეგისტრაციოდ, ყოველნაირად ცდილობს გადასახადისგან თავის არიდებას და ხშირად ამას აკეთებს კიდეც.

შედეგი? როგორც ვთქვით, ხშირად სავალალოა თვით გადამხდელისათვის, რომელსაც მძიმე ფინანსური სანქციები ეკისრება. წლეულს ოპერატიული სამმართველოს მუშაკებმა ათეულობით ასეთი გადასახადს თავარიდებული გამოავლინეს და ბიუჯეტის სასარგებლოდ საკმაოდ სოლიდური თანხები გადაახდევინეს. მაგალითად, ნუგზარ მელაძეს (თბილისი, შარაშიძის ქ. № 5) ერთბაშად 5060 ლარის გადახდა მოუწია, მეხრიბან ალიევას (ქერჩის ქ. № 20) — 3076, ნოდარ ბუნტურს (ნიაღვრის ქ. № 34) — 5450, ირაკლი ბიბილაშვილს — 2400 ლარისა და ასე შემდეგ. მათ რომ კანონი დაეცვათ, ასე ხომ არ დაზარალდებოდნენ?

### დამიბრუნე ქათმები, პუსკუ!

ვიდრე იმას გავარკვევდეთ, ვინ არის პუსკუ, ალბათ აუცილებელი იქნება გაგაცნოთ ოპერატიული სამმართველოს უფროსი ინსპექტორი ზურაბ ქუხილავა. იგი სოხუმელი ლტოლვილია, საგადასახადო სამსახურში შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოვიდა და აქ პრინციპული და წესიერი კაცის სახელი დაიმკვიდრა. მან, როგორც იტყვიან, გადამხდელებთან ურთიერთობის „მდიდარი“ პრაქტიკა დააგროვა.

— იმისათვის, რომ ბიუჯეტმა თანხები არ დაკარგოს, — მეუბნება ბატონი ზურაბი, საგადასახადო სამსახურის მიერ შემოღებულია ზონარგაყრილი, ბეჭედდასმული და



დანომრილი მკაცრი აღრიცხვის ჟურნალები. იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც სამეწარმეო და კომერციულ საქმიანობას ეწევიან, მოვალენი არიან ყოველდღიურად აღრიცხონ ჟურნალში შემოსული საქონელი, ამ საქონლიდან მიღებული შემოსავლები. თუ ისინი ამას დაიცავენ, მაშინ ჩვენ შეგვიძლია ზუსტად დავადგინოთ, რა რაოდენობის თანხებია შემოსული და რამდენად მართებულია ბიუჯეტთან ანგარიშსწორება. მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ გადამხდელთათვის ეს ჟურნალები ფაქტობრივად არ არსებობს. სამაგიეროდ, არსებობს კერძო ჩანაწერები, ზოგჯერ ქაღალდის ნაგლეჯებიც, რომელთა წაკითხვა-გაცნობიერებაში ეშმაკიც კი ფეხებს მოიმტვრევს.

აი ნახეთ, — მიწვდის ინსპექტორი მუყაოს ნაგლეჯებს, სხვადასხვა ზომის ქაღალდებს, ბატიფეხურ ჩანაწერებს, — თუ აქედან რაიმე აზრს გამოიტანთ, ოპერატიული სამმართველოს „პრემიაზე“ წარგადგენთ.

ვეცნობი „დოკუმენტებიდან“ ამონაწერებს. „ქათმის ბარკლები მივეცი ნისიად“, „300 ქათამი გავატანე პუსკუს“ (ხაშურიდან), „400 ლარი ავიღე“ და სხვა. გული მწყდება, რომ პრემიას ვკარგავ, აქედან კაცი მართლაც ვერაფერს გაიგებს. არის კოდური ჩანაწერებიც, მაგრამ ციფრები კილოგრამებს გამოხატავს თუ ცალებს, არავინ უწყის.

*— ეს „პუსკუ“ ვინღა არის? — ვინტერესდები. ეტყობა ხაშურელია, მაგრამ „არსენა“ ხომ არ არის, რომ ყველა იცნობდეს?*

— ჰო, თავს მიქნევს ინსპექტორი — ახლა მაგის დამწერიც ეძებს, ქათმების დაბრუნება უნდა, მაგრამ ფააფუ!

*— მაშინ, დამწერის ვინაობა მაინც გამაცანით?*

— დიდი სიამოვნებით. ამას წინათ წინამძღვრიშვილის ქუჩაზე შპს „ქარვასლის“ ტერიტორიაზე განთავსებულ საცალო-საბითუმო სასაწყობო მეურნეობას რომ ვამოწმებდით, იქ გავიცანი — გიორგი ზაქარეიშვილი. ნასვამი იყო, ეს საწყობი ჩემია და შემოწმების უფლებას არ მოგცემთ. ჩვენ მაინც დავიწყეთ შემოწმება. გიორგის მაგიდის უჯრაში 321 ლარი ნაღდი ფული აღმოაჩნდა. ამაზე გაგვენაწყენდა, დაკეტა საწყობი და წავიდა. 20 წუთის შემდეგ მობრუნდა და განგვიცხადა: უჯრაში 321 კი არა, 7300 ლარი მქონდაო. შარს რომ არ გადავყროდით, აქტი შევადგინეთ და 321 ლარი „ქარვასლის“ დირექტორს ჩავაბარეთ.

თურმე შარს მაინც ვერ ასცდნენ. მეორე დილას გიორგი ზაქარეიშვილმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ვიდრე ჩემი ადვოკატი არ მოვა, ინვენტარიზაციის ჩაბარების უფლებას არ მოგცემთო. ადვოკატი მართლაც მოვიდა, მაგრამ ქათმისა და ქათმის ბარკლების დანაკლისს (თანხით 5808 ლარი), რაც შემოწმებით აღმოჩნდა, ვერაფერი უშველა. თვით ზაქარეიშვილმა კი, ეს დანაკლისი რომ „დაებალანსებინა“, ვინმე ვახტანგ ზესაშვილთან გააფორმა ყალბი ხელშეკრულება (ეტყობა ამიტომ დაკეტა საწყობი და გაიქცა) — ვითომ ის (ზესაშვილი) აძლევს 5250 კილოგრამ ქათმის ბარკალს. შემოწმებით დადგინდა, რომ ეს ყველაფერი ფიქცია იყო.

შემოწმებით სხვაც ბევრი რამ დადგინდა. კერძოდ ის, რომ „ქარვასლას“ იჯარით აქვს გაცემული საწყობები (ერთი მათგანია ზაქარეიშვილის საწყობი), პურის, თაფლაკვერის საცხობები, ამის თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულებები კი არ ჩანს (ყოველ შემთხვევაში, ვერ ნახეს ან არ აჩვენეს). ამას სათავისოდ იყენებს ზაქარეიშვილი და აცხადებს: მე დღეს დავიწყე მუშაობა და არ მესმის აქამდე რა თანხები უნდა გადამეხადაო, 20 ლარი ავანსად შევიტანე და ბიუჯეტს ესეც ეყოფაო.

სხვათაშორის, საწყობის გამგე ბოლომდე პრინციპული ვერ დარჩა, „აღიარა“, რომ საწყობში აღწერის ჩატარების შემდეგ 7300 ლარი უკლებლივ იქ დახვდა, სადაც შეინახა. საერთოდ, ამასთან დაკავშირებით შემმოწმებლებთან პრეტენზიები არცა მქონია და არცა მაქვსო.

სამაგიეროდ, პრეტენზიები აქვთ შემმოწმებლებს, რომლებმაც დაადგინეს, რომ აღნიშნულ საწყობში შეტანილი და სარეალიზაციოდ გასული საქონელი არის აღურიცხავი, არ ხდება შემოსავლების აღნუსხვა და ბიუჯეტთან ანგარიშსწორება. დარღვევები, რომლებიც საწყობში აღმოჩნდა, იმაზე მიგვანიშნებენ, რომ ზაქარეიშვილი კარგახანია ეწევა კომერციულ საქმიანობას, მიღებულ შემოსავლებს კი სახელმწიფოს უმალავს. მას ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯერჯერობით 16.306 ლარის გადახდა დაეკისრა. შემოწმება გრძელდება და არავინ იცის, ბადეს დამატებით კიდევ რა წონის „ღლავი“ მოყვება.

ერთი კი ფაქტია. ის, რაც ამ „ეტიუდში“ აღვწერეთ, ბევრი ჩვენი მეწარმისა თუ „ბიზნესმენისთვის“ ტიპიურია. ოღონდ, თვითონ მოიგონ, ჯიბე ფულით გაივსონ და ათასგვარ მაქინაციასა და უზნეობას იკადრებენ. ამის შედეგია, რომ ბაზრობებიდან, სადაც ქონების მომხვეჭელები დიდძალ ფულს აკეთებენ, ბიუჯეტში მხოლოდ გროშები შედის. საგადასახადო სამსახური დიდ საქმეს გააკეთებს, თუ ხაზინას კუთვნილ თანხებს დაუბრუნებს.

**ოთარ ხუციშვილი.**

**სურათზე:** ოპერატიული სამმართველოს განყოფილების უფროსი აპოლონ გადელია, მოადგილე აკაკი მაქაცარია, უფროსი ინსპექტორი ზურაბ ქუხილავა მორიგ ოპერატიულ ღონისძიებაზე გასვლის წინ; ქაღალდის ნაგლეჯები, რომლებზეც „აღრიცხავენ“ შემოსავლებს; ბაზრობებზე ვაჭრობა დიდია, საბიუჯეტო შემოსავლები — მცირე.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.



***ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲜᲘᲡ რაიონის საგადასახადო ინსპექციამ ქვემო ქართლის ოპერატიულ სამსახურთან ერთად უკანასკნელ ხანს გადასახადის გადაუხდელობის არა ერთი ფაქტი გამოავლინა და დამალული თანხები ბიუჯეტს დაუბრუნა. ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა რაიონის საგადასახადო სამსახურის ხელმძღვანელს ვაჟა ნახუცრიშვილს, რომელიც ამ თანამდებობაზე 1996 წლის ოქტომბერში დაინიშნა. გარდაბნის რაიონი ბიუჯეტის მოცულობით ქვეყანაში ერთ-ერთი უდიდესია. ამის მიუხედავად ბოლო 8 თვის მანძილზე აქ არ ყოფილა შემთხვევა ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლები არ შეესრულებინოთ.***

*— როგორ აღწევთ ამგვარ სტაბილურ შედეგებს?*

— არცთუ იოლად. თავის ქება რა ბედენაა, ამ შედეგების შემოქმედად ჩვენი სამსახურის პირადი შემადგენლობა მიმაჩნია. წარმატებას ვერ მივაღწევდით, მუდამჟამს რომ არ ვგრძნობდეთ სამხარეო, რაიონული ხელმძღვანელობის მხარში დგომას.

ჩვენი მუშაობის მთავარ პრინციპად ავირჩიეთ გადამხდელებთან პარტნიორობა. პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ ურთიერთდაპირისპირება, ჩასაფრების მეთოდის გამოყენება არა თუ აუმჯობესებს, პირიქით, აუარესებს ბიუჯეტის შევსების მდგომარეობას, ხელს უშლის მეწარმეობის განვითარებას, საქმეზე გულს უცრუებს ბიზნესმენებს, უბიძგებს მათ ჩაიდინონ კანონსაწინააღმდეგო ქმედებები, შეამცირონ მოგება, მიმართონ სხვა აკრძალულ ხერხებს, რათა თავი აარიდონ სახელმწიფო ვალის გასტუმრებას.

უზარმაზარი ტერიტორიის მქონე ჩვენი რაიონი, როგორც მოგეხსენებათ, მრავალდარგოვანია, აქ ამჟამად რეგისტრირებულია 456 გადამხდელი, მართალია, ამათგან დღეისათვის ნახევარზე ნაკლები თუა გადახდისუნარიანი, მაგრამ სოფლად რეფორმის გატარების შედეგად გაჩნდა ასობით მოიჯარე და საინიციატივო ჯგუფი, რომელთა შემოსავლების აღრიცხვასა და გადასახადების გადახდაზე კონტროლის გარეშე რაიმე შედეგებზე საუბარი წარმოუდგენელია.

ჩვენ კი მტკიცედ მხოლოდ 34 ინსპექტორი გვყავს. კიდევ 10 სპეციალისტი ხელშეკრულებით მივიღეთ, მიწის გადასახადის ასაკრეფად სოფლის საკრებულოების წარდგინებით 37 საზოგადოებრივი ინსპექტორი იმუშავებს, მაგრამ ჩვენს წინაშე, ხატოვნად რომ ვთქვათ, დიდი ოკეანეა და მახვილი თვალი და ყურია საჭირო, რომ არაფერი გამოგვეპაროს.

საქმის უკეთ წარმართვის მიზნით რაიონი 7 პირობით ზონად დავყავით. თითოეულში 3-4 საკრებულო გაერთიანდა და ამდენივე ინსპექტორი მივამაგრეთ. მათ შრომატევადი მოვალეობა აკისრიათ და მისი შესრულება ცოდნასთან ერთად ერთგულებასაც მოითხოვს.

6 თვეში რაიონმა სახელმწიფო ბიუჯეტში 1.634.400 ლარი ჩარიცხა, რაც გეგმის 101,7 პროცენტს შეადგენს და გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 27.900 ლარით აღემატება.

შეიძლებოდა მეტი შედეგის მიღწევაც, რომ არა ქვეყნის ენერგეტიკულ ბაზაში შექმნილი კრიზისული ვითარება, რასაც ვერ იქნა და ვერ დავაღწიეთ თავი.

*— თქვენ თქვით, რომ გადამხდელებთან ურთიერთობას პარტნიორულ პრინციპებზე აგებთ. ეს როგორ უნდა გავიგოთ?*

— საქმის ნათელსაყოფად ერთ ტიპიურ მაგალითს მოვიშველიებ. გასული წლის ბოლოს ნაზარლოს მეთესლეობის მეურნეობას მიწის გადასახადის სოლიდური თანხა დაუგროვდა, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ ფარავდა. ჩვენ მევისწავლეთ იქ შექმნილი მდგომარეობა და დავრწმუნდით, რომ მეურნეობას შეეძლო ვალის გადახდა, თუ მოწეულ მარცვალს რეალიზაციას გაუკეთებდა. გავიკითხ-გამოვიკითხეთ და შემსყიდველიც ვუპოვეთ — გამარჯვების მეფრინველეობის ფაბრიკის ბაზაზე შექმნილი ერთობლივი საწარმო, რომელმაც შეძენილი მარცვალი ფრინველის საკვებად გამოიყენა, ამით მეურნეობაც მოგებული დარჩა და ბიუჯეტმაც თავისი კუთვნილი თანხა მიიღო.



## პარტნიორული პრინციპით

*— მაგრამ ყოველთვის ყველას პარტნიორი ხდებით?*

— ღმერთმა დაგვიფაროს. თუ ვხედავთ, რომ ვინმე საგადასახადო კანონს არღვევს, იმათ მიმართ კანონიერ სიმკაცრეს ვიჩენთ. ქვემო ქართლის ოპერატიულ საგადასახადო სამსახურთან ერთობლივად გატარებული ღონისძიებით დავადგინეთ, რომ ერთ-ერთი უცხოური მსხვილი სამონტაჟო ფირმა „ტეპლოენერგოპრომი“, რომელიც თბილსრესში მილიონობით ლარის სამუშაოს ასრულებდა, საგადასახადო ინსპექციაში აღრიცხვაზე არ იდგა და გადასახადებსაც არ იხდიდა. მას 1,2 მილიონი ლარის გადახდა დაეკისრა, აქედან 850 ათასი უკვე ჩაირიცხა ბიუჯეტში. გამოვავლინეთ და სასამართლოს გადავეცით 12 ფიზიკური პირი, რომლებიც ურეგისტრაციო სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდნენ და ბიუჯეტში არაფერი შეჰქონდათ. თუმცა, როგორც დავადგინეთ, ნავთობპროდუქტების იმპორტით იყვნენ დასაქმებულნი და არცთუ ცუდი შემოსავალი ჰქონდათ.

*— ქვეყნის პრეზიდენტმა თავის ერთ-ერთ რადიოინტერვიუში აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ ამოუწურავია არსებული რეზერვები. ამის მაგალითია, გნებავთ თქვენი რაიონიც, რომლის 24 სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალი 80 მილიონ ლარს შეადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ ქონების ყოველწლიური ერთპროცენტიანი გადასახადის შეტანის შემთხვევაში ბიუჯეტი 80 ათასი ლარით იქნება გარანტირებული.*

— სრული ჭეშმარიტებაა. სამწუხაროდ, მიუხედავად მრავალი მცდელობისა, ჯერჯერობით ვერ ხერხდება ბიუჯეტში გადასახადების სრული მობილიზება. ამის ობიექტური მიზეზებიც არსებობს და, თუ მათ დავძლევთ, თანდათან ყველაფერი მოგვარდება. რაიონის ერთ-ერთი სს „საქბიოპრეწვი“, მაგალითად, 2-მილიონიან ქონებას ფლობს, მაგრამ წარმოება ვერ გამართა (ელექტროენერგიის არასტაბილური მიწოდება, კრედიტების უქონლობა და სხვ.) და საგადასახადო ინსპექციამი წერილს წერილზე გზავნის, გადასახადების გადავადებას მოითხოვს.

რეზერვები მაინც მრავლად არის. აქ მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ მიღებული შემოსავლებიდან კანონით დადგენილი თანხის გადახდა აუცილებელია, რათა ქვეყანა ფეხზე დადგეს, წელში გაიმართოს. გადახდილი გადასახადი ხომ უკანვე, საზოგადოებას უბრუნდება, მის კეთილდღეობას ხმარდება.

**ამირან ლოლაშვილი.**

## ფაქტი

# კანონს არღვევენ

ᲒᲚᲓᲐᲜᲘᲡ მასივის მეორე მიკრორაიონში მცხოვრები დალი ალახვერდოვა მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე უნივერმაღში შემოსავლების აღურიცხავად, ბიუჯეტთან ანგარიშსწორების გარეშე ახდენდა კონტრაბანდის გზით შემოტანილი ირანული ავეჯის რეალიზაციას. შემოწმების დღეს გამოვლინდა 30 ათასი ლარის ღირებულების საქონელი, მოკვლეული მასალები გადაეცა ჩუღურეთის რაიონის პროკურატურას.

* * *

ᲣᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲝᲓ მუშაობდა მეწარმე მზია არაბული, რომელიც ფ. მოსულიშვილის ქ. № 1-ში გახსნილ „საამქროში“, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების უხეში დარღვევით, შემოსავლების ყოველგვარი აღრიცხვისა და ლიცენზიის გარეშე ამზადებდა და ასაღებდა ფალსიფიცირებულ, გახრწნილ, საკვებად უვარგის ძეხვს. მას დაეკისრა 16,1 ათასი ლარის გადახდა, ხოლო დამადანაშაულებელი მასალები გადაეგზავნა საგამოძიებო ორგანოებს.

* * *

ᲓᲘᲓᲝᲣᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲡ რაიონის სააქციო საზოგადოება „მირაქის“ (დირექტორი გ. ფხალაძე, მთავარი ბუღალტერი ზ. ფიროსმანაშვილი) მუშაკები მარცვლეულის წარმოება-რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების ხელოვნურად შემცირების, ქონების გადასახადის არასწორად გამოანგარიშების, საფინანსო დისციპლინისა და საგადასახადო კანონმდებლობის სხვა უხეში დარღვევების გზით თავს არიდებდნენ ბიუჯეტთან დროულ და სრულ ანგარიშსწორებას. „მირაქს“ დამატებით 20,1 ათასი ლარი გადაახდევინეს.

* * *

ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ დიდი ოდენობით გადასახადისგან თავის არიდების ფაქტზე მხილებულია გლდანის რაიონის მპს „ლიტერის“ პრეზიდენტი მალხაზ სანდოშვილი, რომელმაც აზერბაიჯანიდან შემოტანილი საწვავ-საცხები მასალების რეალიზაციით მიღებული შემოსავლებიდან ბიუჯეტის კუთვნილი 79,4 ათასი ლარი დამალა. მას ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 108,9 ათასი ლარის გადახდა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

* * *

ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ სამართლის პასუხისგებაში არიან მიცემული ქუთაისელი გია კვერნაძე და ზურაბ კიკვაძე, რომლებიც ეწეოდნენ ურეგისტრაციო სამეწარმეო საქმიანობას, საბაჟო რეჟიმის უხეში დარღვევით ახდენდნენ ბულგარეთიდან შემოტანილი ლიქიორის, არყის, ვისკის, ლუდის რეალიზაციას. მათ ბიუჯეტს კუთვნილი 294,1 ათასი ლარი დაუმალეს.

* * *

ᲡᲐᲑᲣᲠᲗᲐᲚᲝᲡ რაიონის მპს „ფერის“ დირექტორი იოსებ მჭედლიშვილი მდინარე მაშავერაზე მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის აშენებით და სარემონტო-სამშენებლო სამუშაოებით მიღებული შემოსავლებიდან სისტემატურად არიდებდა თავს ბიუჯეტთან დროულ ანგარიშსწორებას, არასრულად იხდიდა ქონების, საგზაო ფონდისა და საშემოსავლო გადასახადებს. იგი ბიუჯეტს დამატებით 93 ათას ლარს გადაუხდის.

* * *

ᲙᲐᲡᲞᲘᲡ რაიონის კოოპერატივ „კედლის“ თავმჯდომარემ ზაზა მერაბიშვილმა, გარდა იმისა, რომ სამეწარმეო საქმიანობას შემოსავლების აღურიცხავად ეწეოდა, ორგანიზაციის ბეჭედი გადასცა მასთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფ ნუგზარ ბაინდურაშვილს, რომელმაც საბაჟო ორგანოების გვერდის ავლით რუსეთსა და ბელორუსიაში კანონის დარღვევით 63,9 ათასი ლარის ღვინომასალები გაიტანა. საქმე გადაეცა პროკურატურას.

თეატრალური გაზეთი

# სახიობა

„საქართველოს რესპუბლიკის"
ყოველთვიური დამატება

№7

...დიდია, განუზომელია მნიშვნელობა თეატრისა ყოველი ერისათვის. კულტურა თეატრისა უმაღლესი კულტურაა ერისა. იგი ხარობს, ფრთებს ისხამს მასთან ერთად და ეცემა, კვდება ერის სიკვდილთან ერთად.

სანდრო ახმეტელი.

## სიახლე

# «სესილია»



ამ სახელწოდების ქართული თეატრალური დასი გაჩნდა თბილისში. მართალია, მან თავისი პირველი სპექტაკლი უკვე უჩვენა მაყურებელს, მაგრამ თეატრი ამჟამად მაინც ჩამოყალიბების პროცესშია. ეს დამოუკიდებელი დრამატული თეატრი ჩაიფიქრა ერთ-ერთმა უცხოურმა ფირმამ (რომლის დასახელებაც და ამჟამად უცხოეთში მცხოვრები ქართველი კონსულტანტიც თვით თეატრის ინტერესებიდან გამომდინარე ჯერჯერობით ინკოგნიტოდ რჩებიან).

შეირჩა დასი, რომლის შემადგენლობაშია ქართველი მაყურებლისათვის კარგად ცნობილი ცხრა მსახიობი. ესენი არიან: ნოდარ მგალობლიშვილი, კოტე თოლორაია, გივი ბერიკაშვილი, გივი ჩუგუაშვილი, თემურ კილაძე, ელენე ყიფშიძე, თამარ სხირტლაძე, გურანდა გაბუნია, ნანი ჩიქვინიძე.

თვით სახელწოდება „სესილია", რომელიც დიდი მსახიობის სესილია თაყაიშვილისადმი პატივისცემას გამოხატავს, დასის წევრებს შორის კონკურსის შედეგად შეირჩა, მოიწონეს ბატონ კოტე თოლორაიას აზრი, სწორედ იგი აირჩია დასმა თეატრის გენერალურ დირექტორადაც.

დასმა თავდაპირველად რეჟისორ იური კაკულიას ხსოვნას მიუძღვნა მისეული სპექტაკლის — ოტია იოსელიანის პიესის „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცის" ჩვენება, რომელიც თავის დროზე მან წარმატებით დადგა მარჯანიშვილელთა სცენაზე. ამჯერად მისი აღდგენა ითავა გივი ბერიკაშვილმა. რეჟისორის თანაშემწეობა გასწია დიმიტრი ხვთისიაშვილმა. ამ წარმოდგენისათვის საგანგებოდ მიიწვიეს ორი მსახიობი ქალი, ნინო კობერიძე და ნინო დუმბაძე.

საერთოდ, თეატრის პრინციპი იქნება სხვადასხვა რეჟისორებისა და საჭირო მსახიობების მოწვევა. თეატრი ცდილობს სამომავლოდ თავისი საკუთარი შენობაც ჰქონდეს.

რუსუდან მუხიგულაშვილი.

დავით იაკობაშვილის ფოტო.





## პრემიერა

# თომას მანი — პირველად ქართულ სცენაზე

„მარიო და ჯადოქარი" – რეჟისორ ლევან წულაძის ახალი სცენური ნაწარმოებია. მას დადგმული აქვს სპექტაკლები რუსთაველის, კინომსახიობთა და მოზარდ მაყურებელთა რუსულ თეატრებში. რეჟისორის მნიშვნელოვანი ნამუშევრებია: ფედერიკო გარსია ლორკას „სისხლიანი ქორწილი" (მ. სვირავასთან ერთად), გეორგ ბიუხნერის „ვოიცეკი", ჩარლზ დიკენსის „საშობაო სიზმარი " (ო. ეგაძესთან ერთად), იაროსლავ ჰაშეკის „დედა", იან სებასტიანის „უსახელო ვარსკვლავი", ჰანს ქრისტიან ანდერსენის „ბულბული". ახალი სპექტაკლის მხატვარია შოთა გლურჯიძე, მუსიკალური გამფორმებელი – ზურა გაგლოშვილი, რეჟისორის ასისტენტი – მაია ლომიძე, სპექტაკლის დირექტორი – ვლადიმერ მაკასარაშვილი. სპექტაკლში მონაწილეობენ: კახა თავართქილაძე, ელენე ჭავჭავაძე, მიხეილ ჯოჯუა, გიორგი ნაკაშიძე, ზურაბ შარია, მანანა კაზაკოვა, ეკა ანდრონიკაშვილი, ქეთი ცხაკაია, ნატო ებანოიძე, ირაკლი ჩოლოყაშვილი, გია გოგიშვილი, დუტა სხირტლაძე.

სპექტაკლი დაიდგა გოეთეს ინსტიტუტის ეგიდით.

„თეატრალური სარდაფი" ხელოვნების ერთ-ერთი კერაა, სადაც შემოქმედებით შრომას მოწყურებული ნიჭიერი ახალგაზრდა რეჟისორები და მსახიობები საკუთარი ხელით შექმნილ (პირდაპირი გაგებით) არცთუ კეთილმოწყობილ გარემოში გამოსახვის ახალ ხერხებსა და გზებს ეძიებენ, აგნებენ და ამკვიდრებენ.

თომას მანის სამყარო კარგა ხანია ქართული სულიერების განუყოფელ ნაწილად იქცა. ქართულ სცენაზე კი რეჟისორმა ლევან წულაძემ პირველმა შეასხა ხორცი თომას მანის ნააზრევს, ჯერ კიდევ შარშან. „მარიო და ჯადოქარს", რომელიც რეჟისორს თავად გაუსცენიურებია, ნამდვილი ამბავი უდევს საფუძვლად: „გამოგონილია მხოლოდ ლეტალური დასასრული", წერს ავტორი ერთ-ერთ წერილში, „სინამდვილეში ჯადოქრის კონცის შემდეგ მარიო სასაცილოდ დარცხვენილი გაიქცა და მეორე დღეს, როცა კვლავ მოგვართვა ჩაი, დიდი კმაყოფილებით აღიარებდა ჩიპოლას ოსტატობას. ცხოვრებაში ვნებები ნაკლები სიმძაფრით ხასიათდებოდა, ვიდრე შემდეგ ჩემს ნაწარმოებში... გასროლა კი მხოლოდ ჩემი გამონაგონი როდია, როდესაც საღამოს შესახებ მოვყევი, ჩემმა უფროსმა ქალიშვილმა თქვა: „არ გამიკვირდებოდა, თუ იგი (მარიო) მას (ჯადოქარს) ესროდა". მხოლოდ ამ წამიდან იქცა განცდილი ნოველად, და მის განსახორციელებლად კი მჭირდებოდა ანეკდოტური დეტალები იმ ატმოსფეროს გადმოსაცემად, რომელიც ამბავს წინ უსწრებდა, – სხვაგვარად არ მექნებოდა იმპულსი, მომეთხრო ამის შესახებ".

ასე აქცია ერთმა „გამონაგონმა" ცხოვრებისეული სინამდვილე ლიტერატურულ ქმნილებად. ის განსხვავებანიც, რასაც ნოველასა და ლევან წულაძის სპექტაკლს შორის შენიშნავთ, ის გამონაგონებია, რომლებმაც, ალბათ, რეჟისორის წარმოსახვაში ლიტერატურული სინამდვილე სცენურ სინამდვილედ აქცია. რეჟისორული ინტერპრეტაციით ერთ-ერთ ეპიზოდში თომას მანისეულ გროტესკს ტრაგიზმი ენაცვლება: ნოველაში ჯადოქარი ჭაბუკ მარიოს მონუსხავს და მის სატრფოდ, სილვესტრად წარმოუდგება. მარიოც თავდავიწყებით ჰკოცნის ჩიპოლას, რასაც მაყურებელთა თავაწყვეტილი ხარხარი ახლავს. ხოლო როცა ჯადოქარი თავისი ჯადოსნური მათრახით კვლავ სინამდვილეში დააბრუნებს ჭაბუკს, ტაშსა და სიცილს მარიოს პისტოლეტის გასროლა გაჰკვეთავს. სპექტაკლში კი ჩიპოლა მარიოდ გარდაისახება და სილვესტრას აცდუნებს, რასაც მარიოს შურისძიება მოჰყვება. თუმცა სპექტაკლში არც გროტესკია უგულებელყოფილი: განგმირული ჩიპოლა რამდენიმე წამში კვლავ აღდგება და ახალი ასპარეზისაკენ მიემართება. ასე გამოხატა რეჟისორმა დღესაც რეალურად არსებული ბოროტი ძალის აღზევების საშიშროება – თომას მანთან ხომ ჩიპოლა ფაშიზმის ალეგორიული სახეა.

რუსუდან ლვინეფაძე.

№167, შაბათი, 19 ივლისი, 1997 წელი
ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფიქრები

ადამიანის ცხოვრებაში არ მოიძებნება უბანი, სიტყვა რომ არ იყოს საჭირო. ის ჩვენთანაა მაშინ, როდესაც მას წარმოვთქვამთ და მაშინაც, როდესაც არ წარმოვთქვამთ, ჩვენი ცხოვრება ხომ წარმოთქმული სიტყვის და მდუმარების დაუსრულებელი მონაცვლეობაა! მაგრამ მდუმარე ადამიანი განა უსიტყვოა? უბრალოდ, სიტყვა არ ჟღერს, სანამ მისი წარმოთქმის აუცილებლობა არ გაიღვიძებს. მაშინ ის დაიბადება იმ მდუმარებიდან, წინ რომ უძღოდა და თავისებურად ამზადებდა სხვისთვის გასაგონად მისი წარმოთქმის საჭიროებას. გამოჩენილი რეჟისორი ვსევოლოდ მეიერჰოლდი ამბობდა: „ყველა დრამატურგიულ ნაწარმოებში ორი დიალოგია – ერთი „საგარეოდ აუცილებელი“ ანუ ის სიტყვები, თან რომ ახლავან ქცევას, როგორც მისი ამხსნელი, მეორე – „შინაგანი“, ანუ ის დიალოგი, რომელსაც მაყურებელმა უნდა მიაყურადოს არა სიტყვებში, არამედ პაუზებში, არა ყვირილში, არამედ მდუმარებაში, არა მონოლოგებში, არამედ პლასტიკურ მოძრაობათა მუსიკაში“.

პროზაში უთქმელ სიტყვას მწერალი გვატყობინებს. ის გვეუბნება, რატომ სდუმს გმირი და რას ფიქრობს ამ დროს. დრამატურგიაში მწერლის ამგვარი ჩარევა გამორიცხულია – პიესა და როლი მხოლოდ იმ სიტყვებისაგან შედგება, რომლებიც წარმოითქმის.

ცნებაში – „როლი“ შედის არა მარტო ის, რაც დაწერილია, არამედ ისიც, რაც არაა დაწერილი და იგულისხმება. როლის სიტყვიერი მასალა დიდ მოთხოვნებს უყენებს მსახიობს. დაუწერელი და უხილავი ხშირად დაწერილსა და ხილულს განაპირობებს. ამიტომ როლზე მუშაობის დროს მსახიობი ცდილობს უთქმელის ამოცნობას და განხორციელებას. წარმოთქმული სიტყვა ხან ამჟღავნებს ადამიანის შინა სამყაროს, ხან პირიქით, ფარავს. გააჩნია, როგორ გამოიყენებს მას მსახიობი, რომელ „გასაღებად“ – რომელიც აღებს, თუ რომელიც კეტავს! სიტყვა ხომ ყველაფერში ეხმარება ადამიანს – ტყუილშიც, მართალშიც, ეშმაკობაშიც, სიკეთეშიც, სიბოროტეშიც. ეხმარება იმით, რომ გამოიყენება, ამავე დროს ავლენს პიროვნებას, რომლის სიტყვიერი კარით შედის მსახიობი მომავალი სცენური გმირის შინა სამყაროში და ამავე სიტყვების აჟღერებით გამოავლენს მას ცოცხლად.

ცხოვრებაშიც და სცენაზეც ყოველ ადამიანს აქვს უამრავი წარმოუთქმელი სიტყვა, სადაც ჩაქსოვილია ის, რაც სურს რომ მხოლოდ მას ეკუთვნოდეს. მათ კ. სტანისლავსკი შინაგან მონოლოგს უწოდებდა. ის როლის ტექსტში უნდა იყოს ჩაბუდებული იმისათვის, რომ მსახიობი ჩაწვდეს მოქმედი პირის გამოუთქმელ ფიქრთა მიმდინარეობას და შეძლოს ამ სიღრმიდან მისი ამოზიდვა.

თუ სათქმელ სიტყვათა აღმოხდომის მიზეზები მათ მიღმა მდებარე მდუმარების სიღრმეშია, მდუმარებაც აქტიური ალესილობაა დრამატურგიაშიც და, შესაბამისად, სცენაზეც. განა არ ვგრძნობთ ამას მაღალმხატვრული პიესის კითხვისას? იქ რეპლიკათა შორის მდუმარებაში ხან სევდაა, ხან ტკივილი, ხან იმედი და მოლოდინი...

გაცხოველებული დიალოგიც სიტყვისა და მდუმარების მონაცვლეობაა – როცა ერთი ლაპარაკობს, მეორე დუმს, ეს დუმილი აქტიური მოქმედებაა, ვინაიდან მდუმარე ადამიანის გონებაში ელვის სისწრაფით ცოცხლდებიან მოგონებანი, ასოციაციები, დაეჭვება, მოსაზრება, მოულოდნელი „სვლის“ იდეა და ა.შ. შესაძლოა, სწორედ ახლა, ამ წუთში პარტნიორის გამოხედვამ ან მის მიერ წარმოთქმული სიტყვის რომელიღაც ინტონაციამ მიახვედრა იმას, რაც მანამდე არ ესმოდა. იმ დუმილის წუთში მზადდება გადაწყვეტილება, რომელიც საპასუხოდ წარმოთქმულ სიტყვაში გამოვლინდება. ახლა ეს სიტყვა გამოიწვევს პარტნიორის შესატყვის რეაქციას. ისიც გამსჭვალული იქნებაართქმული აზრებით, ფარული ზრახვით და, თავის მხრივ, ბუნებრივად შეამზადებს მოპასუხის შემდგომ, აგრეთვე სიტყვიერ „სვლას“... და ასე მანამ, სანამ დიალოგი დასრულდებოდეს, ანუ სანამ მებრძოლთაგან რომელიმე გაიმარჯვებდეს. დიალოგის დროს წარმოთქმული სიტყვები რომ შეივსოს იმით, რაც უფიქრიათ ამ დროს მის მონაწილეებს, ოღონდ არ წარმოუთქვამთ, – ჩვენ მივიღებთ ადამიანთა ცოცხალი კავშირების იმ ფერადოვანსა და მრავლისმთქმელ სურათს, რომელიც ასე ბუნებრივად იქმნება ცხოვრებაში და ასე ძნელად მისაღწევია ხელოვნებაში.

დრამატურგიული ჟანრის ცნობილ მკვლევარ ვ. ვოლკენშტეინს ასეთი მაგალითი მოაქვს შექსპირის „კორიოლანოსიდან“: კორიოლანოსმა უღალატა რომს და მის მოწინააღმდეგე ვოლსკების მხედართმთავარს ეახლა. იგი წარმოთქვამს დიდ მონოლოგს, რითაც მომხრეობას სთავაზობს. ავფიდიუსი არ წარმოთქვამს არც ერთ სიტყვას, მაგრამ კორიოლანოსის მონოლოგის დასასრულს გადაეხვევა მას. პიესის მკითხველისათვისაც და სპექტაკლის მაყურებლისთვისაც ყველაფერი ნათელია. საიდან? კორიოლანოსის მონოლოგიდან, რადგან ის იტევს არა მარტო იმას, რასაც ამბობს რომაელი, არამედ იმასაც, რის გამოც სდუმს ვოლსკი – მის უსიტყვო დაეჭვებას დასაწყისში, შემდეგ თანდათან გარდატეხას, ვიდრე აღტაცებამდე იმის გამო, რომ ასეთი ძლიერი მოკავშირე გაუჩნდა.

დრამატურგიული სიტყვა იმდენად ტევადია, რომ ერთის, ამ შემთხვევაში კორიოლანოსის, მონოლოგი ავლენს კორიოლანოსსაც და ავფიდიუსსაც – ის ხომ გრძელდება იმის მიხედვით, თუ რას კითხულობს კორიოლანოსი ავფიდიუსის სახეზე! ეს ბადებს ყოველ შემდგომ მის სიტყვას. პიესის გმირის სახით ცხოვრება მისი ხასიათის მქონე ადამიანის ცხოვრებაა. ყოველ ადამიანს თავისებური ხასიათი აქვს ანუ თავისებური სულიერი აღნაგობა. ამიტომ გარემოს, მოვლენებსა და ფაქტებს ის თავისი თვალით უცქერის, როგორც ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკო ამბობდა – გონების ბრძანება აქვს თავისებური. ეს ბრძანება განაპირობებს სათქმელ სიტყვებსაც და ფიქრში მიმალულ ფარულ განცდას თუ განზრახვას.

ნაწყვეტი ზ. კვერენჩხილაძის მოგონებიდან „ჩემი ანტიგონე“: „... როგორც კი შემოვბრუნდი, დავინახე ისმენეს განწირული სახე, მისი დამფრთხალი თვალები... ჩემს თვალში იგი უფრო დაპატარავდა, რადგან ეხედავდი, რომ ლაპარაკობდა ერთს და ამკარად ფიქრობდა მეორეს. მივდიოდი მისკენ და ვფიქრობდი: წეღან კარგად თვალთმაქცობდი და თავს ირთობდი, ახლა კი დამყოლად და თვინიერად მოგაქვს თავი? – ამ შინაგანმა მონოლოგმა ჩემში დაბადა სწორი, მესატყვისი ინტონაცია. მივუახლოვდი, ხელი პირდაპირ მისი სახისკენ წავიღე, რათა გამეჩუმებინა, მაგრამ უცებ გამახსენდა, რომ მძივი უნდა ჩამომეწყვიტა (ასეთი იყო მ. თუმანიშვილის მიერ შემოთავაზებული მიზანსცენა), მოულოდნელად ვწვდი და მივაძახე.

– მე აღარ გისმენ – და მთელი ჯავრი მძივზე ვიყარე... თეთრი მარგალიტები მთელ სცენაზე გაიბნა...

საცოდავმა ისმენემ მაშინვე გულზე იტაცა ხელი და გაოგნებული დააცქერდა იატაკს. შერჩენილი მარგალიტები კი თითებშუა ებნეოდა და დრო და დრო ხმაურით ვარდებოდა იატაკზე. უცებ გამოფხიზლდა და გამწარებული სწრაფად შეუდგა მძივების მოგროვებას. თითქოს მთელი მისი შემდგომი ცხოვრება ამ მძივებზე ყოფილიყოს დამოკიდებული. დავაცქერდი და ვფიქრობდი: რას ვერჩი ამ საცოდავს. განა დამნაშავეა, რომ მეტი არ შეუძლია? ანდა რატომ უნდა იყოს ისეთივე, როგორც მე ვარ, რატომ? რატომ ვთხოვ იმას, რაც არ ესმის, რისი გაკეთებაც არ შეუძლია? რა აუცილებელია ყველას ესმოდეს ჩემი? და ბოლოს მძივი მე თვითონ მივაწოდე, რადგან შემეცოდა“. ზ. კვერენჩხილაძის ცნობით, რეპეტიციაზე შეთხზული და დამუშავებული ეს ეპიზოდი უცვლელად შევიდა წარმოდგენაში.



# ნათელა ურუშაძე

# უთქმელი სიტყვა

შეიძლება როლი სრულიად უსიტყვო იყოს. უფრო ხშირად ასეთი როლები ეპიზოდურია, სცენაზე არსებობის უმოკლესი ვადის, შეიძლება უსიტყვო როლი მოზრდილიც იყოს, როგორც მაგალითად, ნენეს როლი პოლ ზინდელის პიესაში „გვირილა“. ეს იმას ნიშნავს, რომ ნენეს სცენური ცხოვრება მთლიანად ამ გმირის განმასახიერებელი მსახიობის ნაფიქრი სიტყვებისაგან შედგება.

შეიძლება ასეთი როლი პიესაში არ იყოს, მაგრამ იყოს სპექტაკლში, თანაც ბოლომდე გასდევდეს გმირთა ცხოვრებას, როგორც ესაა კინომსახიობთა თეატრში მიხეილ თუმანიშვილის მიერ დადგმულ თორნთონ უაილდერის „ჩვენ პატარა ქალაქში“. აქ რუსი დამლაგებლის, დუსიას როლის შემსრულებელ ნატო შენგელაიას არა აქვს არც ერთი სათქმელი სიტყვა, როლი დაიბადა პიესაზე სარეპეტიციო მუშაობის პროცესში.

მსახიობის ნაამბობიდან: თითქმის მზად იყო სპექტაკლი, როდესაც მხატვარ არჩილ გამრეკელის როლის შემსრულებელმა ზურაბ ყიფშიძემ შესჩივლა მიხეილ თუმანიშვილს: დუქანში რომ მოვდივარ ნაბახუსევი, ატმოსფეროს ვერ ვგრძნობ, ცარიელია აქაუროբაო. მაშინ რეჟისორმა შესთავაზა ნატო შენგელაიას – დაასველე ტილო და მოუსვი იატაკს, იყავი დუსია დამლაგებელიო. შესრულდა თუ არა ეს დავალება, ზურაბ ყიფშიძე გათავისუფლდა უხერხულობისაგან. მიხეილ თუმანიშვილს კი ისე მოეწონა ნატო შენგელაიას დუსია, რომ სთხოვა ამ გამოგონილი მოქმედი პირის ცხოვრება მთელ სპექტაკლში გაეგრძელებინა. ყველაფრის ნება მისცა, გარდა ერთისა – სათქმელი სიტყვა არ გამოეგონებინა, – ეს მწერლის ხელოვნებააო! მსახიობის ხელოვნება მოქმედებაა. სიტყვიერი იმ შემთხვევაში, თუ ავტორმა გამოიმეტა იგი შენი გმირისთვის. თუ არა – მაშინ მხოლოდ უთქმელი. ჰოდა, ნატო შენგელაიას დუსიაც უთქმელად მეტყველებს, მთელი თავისი არსებით, განსაცვიფრებლად მოკრძალებული, მაგრამ ამავე დროს საოცრად მეტყველი პლასტიკით. ლაპარაკობს მისი სხეული, მისი ხელები, ასე სხვადასხვანაირად რომ ეხებიან საყვარელ არსებას. მისი თვალები! ეს თვალები აუცილებლად ახლოდან უნდა იხილონ – ლამაზი, სათნო, სიკეთის სხივის გამომცემი, სიყვარულით სავსე თვალები! აკი მოქმედებენ კიდეც მაგიურად უბედურ მხატვარზე, რომელიც დუსიას გარდა არავისთვის არც საჭიროა და არც ძვირფასი. ეს როლიც ხომ ბოლოს და ბოლოს, იმისთვის დაიბადა, რომ არჩილ გამრეკელის განმასახიერებელი მსახიობისათვის იყო საჭირო. თავდაპირველად ერთი ეპიზოდისთვის, შემდეგ კი ამ გმირის მთელი სცენური ცხოვრებისათვის. ამის ნათელი საბუთია ბოლო ეპიზოდი, როდესაც საზეიმოდ გამოწყობილი, საბოლოოდ განწირული ნიჭიერი მხატვარი, ხელში ერთადერთი წითელი ვარდით გამოცხადდება სასაფლაოზე და კეთილი, მადლიერებით აღსავსე გრძნობით კარგა ხანს უმზერს ახლაც მის გვერდით მყოფ მდუმარე დუსიას. მერე მოუნდა თავზე ხელი გადაესვა მისთვის, მაგრამ არა, სატრფოს საფლავთან არა... და ხელი ჰაერში შეჩერდა... მერე მხატვარი წავიდა აქედანაც და ამ ქვეყნიდანაც. თან გაიყოლა დუსიას შუქჩამდგარი მზერა... დასასრულს, ისევ სასაფლაოზე, მხოლოდ დუსიამ მოაკითხა არჩილ გამრეკელს, მხოლოდ მან აუნთო სანთელი – დაიბადა კიდევ ერთი სცენური ხატი, სიყვარულის უხმო, უსიტყო ხატი.

რა უცნაური სიტყვათშემოქმედებაა – მსახიობი თხზავს იმას, რის უფლებაც „ლიად“ არა აქვს, რადგან სათქმელი სიტყვის შეთხზვა მწერლის ხელოვნებაა. უთქმელი სიტყვის შეთხზვაა მისი უფლებაც და ვალდებულებაც. მის მიერ განსახიერებული ადამიანის სცენურ ცხოვრებაში კი ეს ორივე განუყოფლად იქნებიან ერთმანეთთან დაკავშირებული.

უთქმელი სიტყვა მსახიობის ფარული შემოქმედებაა, მხოლოდ მისთვის ცნობილი, პარტნიორთა და მაყურებელთათვის საიდუმლო და ამიტომ ამოსაცნობი. თანაც იმდენნაირი, რამდენი მწერლის ინდივიდუალური ხელწერაც უნდა გაითავისოს, რადგან თქმულიც და უთქმელიც მისი პიესის პერსონაჟის კუთვნილება უნდა იყოს. მაშ, როგორ უნდა ფლობდეს იგი სიტყვას!

ჩვეულებრივ, აქტიორულ სკოლას დიდმნიშვნელოვანი მხატვრული სცენური სახეების ნიმუშებით წარმოაჩენენ. ეს ბუნებრივია, რადგან სპექტაკლის მთავარი გმირის ცხოვრება მდიდარია ავტორის მიერ მისთვის შერჩეული ვითარებებით და კონფლიქტებით. აგრეთვე სხვა მოქმედ პირებთან ურთიერთობებითა და კავშირებით. მიხეილ თუმანიშვილის სკოლის შესახებ მსჯელობის დროსაც, რა თქმა უნდა, პირველყოვლისა, მის სპექტაკლებში ხორცშესხმულ ამგვარ სცენურ სახეებს გაიხსენებენ. მაგრამ ამ სკოლის არსი სწორედ ისაა, რომ იგი ნებისმიერი სცენური სახისაგან აუცილებლად ითხოვს უმთავრეს – სახეობრივ ქმედებით მეტყველებას. ამის მშვენიერი ნიმუშია უთქმელი სიტყვებით მეტყველი ნატო შენგელაიას უბრალო დამლაგებელი ქალი დუსია სპექტაკლიდან „ჩვენი პატარა ქალაქი“.



*სურათებზე: ვერიკო ანჯაფარიძე – ნენე („გვირილა“). დუსია – ნატო შენგელაია და არჩილი – ზურაბ ყიფშიძე („ჩვენი პატარა ქალაქი“).*

საქართველოს რესპუბლიკა
№167, შაბათი, 19 ივლისი, 1997 წელი.



## მრწამსი

# დღეები მოლოდინისა...

თითქმის ოთხი ათეული წელია მედეა კუჭუხიძე აქტიურად იღვწის ქართულ თეატრში. აქედან, სამ ათეულ წელზე მეტია იგი მარჯანიშვილის თეატრის რეჟისორია. ამ ხნის მანძილზე მან ბევრი დადგმა განახორციელა — ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული თემატიკით, პრობლემატიკით, ჟანრული კონტრასტებით, სტილისტიკით. შემოქმედის ხედვის ამ შეუზღუდავ თვალსაწიერში იკვეთება რეჟისორის პორტრეტი, მისი მკვეთრი ინდივიდუალობა, მისწრაფებანი, სცენური სამყაროს შეთხზვის მისეული ხელწერა. რა თქმა უნდა, უკომპრომისო გზით სიარული შინაგანი და ფიზიკური ძალების უშურველად გაღებას უკავშირდება, მაგრამ მედეა კუჭუხიძის რეჟისორული მრწამსი სწორედ ესაა — იგი არ კმაყოფილდება ერთხელ უკვე მიღწეულით, გამუდმებით ეძიებს უსასრულოდ საძიებელს, რადგან იცის, რომ შემოქმედებაში თვითკმაყოფილების შეგრძნება დასასრულის მაუწყებელია. ზოგჯერ მას შეუძლია ერთი ხელის მოსმით დაამსხვრიოს რუდუნებით, სულის შებერვით, ტკივილით მოპოვებული და შეკოწიწებული ესა თუ ის მიგნება, მეტაფორა... შემდეგ კვლავ მოუბრუნდეს და ახალი სიცოცხლე შთაბეროს მის მიერვე დაწუნებულ რეჟისორულ ხერხს.



ასეთი ზიგზაგებით სიარულს მედეა კუჭუხიძისათვის, რა თქმა უნდა, გამარჯვების სიხარულიც მოაქვს და იმედგაცრუებაც, რაც სავსებით ბუნებრივია და კანონზომიერი. საკმარისია, მხოლოდ ჩამონათვალი მის მიერ განხორციელებული სპექტაკლებისა, რათა დავრწმუნდეთ, თუ როგორი ვრცელია რეჟისორის ინტერესთა სფერო და რაოდენ მრავალმხრივი შესაძლებლობები:

კ. ჩაპეკის „დედა“, გ. ხუხაშვილის „მთაწმინდის მთვარე“, ვ. კოროსტილევის „მე მჯერა შენი“, ალფრედ დე მიუსეს „სიყვარული სამსახური არ არის“, გ. ჩარკვიანის და რ. გაბრიაძის „ფეოლა“, პ. კაკაბაძის „სამი ასული“, „ტყის ქალები“ და „პორტოპოლოს ტუსაღები“, ნ. ლორთქიფანიძის „ჟამთა სიავე“, ვ. კანდელაკის „სოკრატე“, ლ. თაბუკაშვილის „ძველი ვალსი“, ლ. მალაზონიას „რეფორმატორი“, ლ. ტოლსტოის „ანა კარენინა“, მ. ჩიკამაცუს „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე“, კ. გოცის „ლურჯი ურჩხული“, ტ. უილიამსის „იგუანის ღამე“, ა. აფინოგენოვის „შიში“, ე. შვარცის „თოვლის დედოფალი“, მისივე პიესა „ყბედი თუთიყუში“, — ნაპშაბის „თუთი-ნამეს“ თემაზე, კ. ვოიტოლას „ოქრომჭედლის სახელოსნოს წინ“, ლალი როსებას პიესების ციკლი... როგორი ფართო ამპლიტუდაა!

თითოეულ ამ დადგმაში, რეჟისორისათვის თვით ყველაზე წარუმატებელშიც კი, უხვად არის მახვილგონივრული მიგნებები და ცალკეული აქტიორული მიღწევები. საერთოდ, მედეა კუჯჭუხიძის ნამუშევრებში მსახიობი ყოველთვის საინტერესოდაა წარმოჩინებული, მუდამ განმსაზღვრელი ამოცანა აკისრია მას. ეს გასაგებიცაა, მისი ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება ხომ როლის (და თანაც უჩვეულოს) განსახიერებასთანაა დაკავშირებული. სკოლის დრამწრეს, სადაც მედეა სწავლობდა, ნორჩი თაობის საყვარელი მსახიობი დავით ცხაკაია ხელმძღვანელობდა. ბატონ დავითს მედეა ხშირად გამოჰყავდა მხატვრული კითხვის საღამოებზე, ხოლო ნ. გოგოლის „რევიზორში“, არც მეტი — არც ნაკლები, ოსიპის როლი ათამაშა!

შემდეგ, როდესაც მედეა კუჭუხიძემ რეჟისორის პროფესია აირჩია, რამდენჯერმე კვლავ სცადა ბედი (ამჯერად პროფესიულ სცენაზე) თავისი აქტიორული ნიჭიერება დაემტკიცებინა, რაც მოახერხა კიდეც: ნორა ბერკი (ჯ. სინგის „ბინდი ველზე“, თეატრალური ინსტიტუტი) კამილა (ა. მიუსეს „სიყვარული სახუმარო არ არის“, მარჯანიშვილის თეატრი), მერი მერეი (ა. კრონინის „იუპიტერი იცინის“, საქართველოს ტელევიზია). ამ სახეებში აშკარად გამოსჭვიოდა სცენური სიმართლე, უშუალობა და მიმზიდველობა; მაგრამ მედეას ინტერესთა სფერო რეჟისორული ხელოვნების უძირო, გამოუცნობ და იდუმალებით აღსავსე სამყაროს უკავშირდებოდა, რაც ნიჭთან ერთად მამაკაცურ ძალას, ენერგიას, გამძლეობას მოითხოვს. ერთი შეხედვით სიფრიფანა ქალში ამ თვისებებმა მოჭარბებულად იჩინა თავი.

აქვე მინდა ერთი ეპიზოდი გავიხსენო — ოთხიოდე წლის წინათ, როცა შიმშილს, სიცივეს, ქაოსს, განუკითხაობას ვებრძოდით და ძალაუნებურად ვეგუებოდით, ქალბატონ მედეას ელბაქიძის დაღმართზე შევხვდი, თეატრში მიიჩქაროდა. გაზაფხული იყო და არც თუ ისე ციოდა, მაგრამ მას თბილი ხელთათმანები ჩამოეცვა. ალბათ გაოცება შემატყო და ამოხსნა — პროფესიული დაავადება შევიძინე, სიცივისაგან თითები მომეყინა, მთელი ზამთარი აუტანელ სიცივეში ვატარებდი რეპეტიციებს... თითქოს შიგნით რაღაც ჩამწყდაო, ვერაფერი ვერ ვუპასუხე. განა ეს გმირობა არ არის, საყვარელ საქმეს ჯანმრთელობა და ლამის სიცოცხლე შესწირო?!

მედეა კუჭუხიძე დიდი პედაგოგის მიხეილ თუმანიშვილის მოწაფე იყო და ეს ნათლად იკვეთება მის შემოქმედებაში, განსაკუთრებით პერსონაჟთა დახასიათებისას, როცა უმნიშვნელო დეტალი გააზრებულია და ფსიქოლოგიურად დაზუსტებული. აქ შემთხვევითობას ადგილი არა აქვს, ყველაფერი ლოგიკას ექვემდებარება. გმირები მის სპექტაკლებში თავისუფლად მოქმედებენ, რადგან შემოთავაზებული გარემო ზედმიწევნით მოწესრიგებულია და თამაშის კანონებს არ ეწინააღმდეგება.

მედეა კუჭუხიძის დადგმებში ტექნიკური საშუალებები არ შეიგრძნობა, ჰარმონია და სცენური სიმართლე ერთმანეთთან თანაფარდობაშია. რეჟისორი თითქოს ქსოვს ადამიანური ურთიერთობების რთულ პერიპეტიებს და ეს ხდება ძალდაუტანებლად, ბუნებრივად, რასაც მუდამ ახლავს ემოციური მუხტი.

მედეა კუჭუხიძე ოსტატია. მის საუკეთესო სპექტაკლებს ამაღლების ნიშანი ახლავს — ეს არის სათქმელის მნიშვნელობა, მისი გამოხატულების ხარისხი, განწყობილების ტონალობის უზუსტესი მიკვლევა, შესრულების დახვეწილი მანერა და პოეტურის განზოგადება ტრაგიკული ელფერით.

ნიკო ლორთქიფანიძის „ჟამთა სიავის“ მონუმენტურობა, დაუცხრომელი სულის სიდიადე და ბედისწერის გარდუვალი განაჩენი ისეთი სიძლიერით მოჰქონდა რეჟისორს, როგორც ზოგჯერ მემატიანეს თავის ნაწერებში ფრთიანი ფრაზა გამოერევა ხოლმე.

უფრო ლაღი, ცხოვრებისეული, მიწიერი იყო ვალერიან კანდელაკის „სოკრატე“, სადაც განსჯა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე შეფარული დრამატიზმით იყო მოტანილი, ბოლოს კი, აპოთეოზში, სიცოცხლე იმარჯვებდა სიკვდილზე!

მედეა კუჭუხიძის შემოქმედებით ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი აქვს მიჩენილი მსოფლიო დრამატურგიის შედევრს — მონძაემონ ჩიკამაცუს „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე“. რეჟისორმა უფაქიზეს განცდათა გამით მთრთოლვარე პოემა ააჟღერა სიყვარულზე, შექმნა სპექტაკლი, რომელიც ერთდროულად იაპონურიც იყო და ქართულიც. ეს მხოლოდ ჩემი შეფასება არ არის, მას აღმატებული შეძახილები ხვდა წილად როგორც ჩვენში, ასევე იაპონიაში; ეს იყო ბედნიერი წუთები რეჟისორისათვის და თეატრისთვისაც.

ლალი როსებას „პროვინციული ამბავი“ გახლავთ თეატრალური აღსარება, ჰიმნი პროვინციული მსახიობების ცხოვრებაზე. აქ ადამიანური თავგანწირვა, ჭუჭყი, ტკივილი, პირველი სიყვარული და ყველა თეატრალური ჟანრი ერთადაა თავმოყრილი. თითოეული მონაწილე მსახიობი ბრწყინვალე ანსამბლს ქმნის.

ყველა ჭეშმარიტი ხელოვანის ცხოვრებაში არის წუთები აღმავლობისა და დღეები მოლოდინისა...

**ვაჟა ძიგუა.**



*სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „ანა კარენინა“. ანა — სოფიკო ჭიაურელი, კარენინი — კოტე მახარაძე*

## რეცენზია

# „მე ცოცხალი მკვდარი ვარ!“

ახლახანს თეატრალური ინსტიტუტის სასწავლო თეატრში გაიმართა დავით დოიაშვილის ჯგუფის სადიპლომო სპექტაკლის ჩვენება — „აი, ხე“. ეს ჯგუფი წელიწადნახევარია რაც დოიაშვილთან მუშაობს, ხოლო თავად რეჟისორისათვის ეს პირველი სასწავლო კურსია.

სცენის სიღრმეში მხოლოდ ერთი შიშველი ხე დგას. სპექტაკლის სიუჟეტი მარტივია; თუმც ამდენ ქმედებებში მას ბუნდოვნად აღიქვამს მაყურებელი. სპექტაკლის დასაწყისის თითქმის ათიოდე წუთი გარკვეულად პანტომიმის თეატრს წააგავს. მსახიობები ქმედებებით, მოძრაობებით, მკვეთრი ჟესტიკულაციის გარეშე ქმნიან ამა თუ იმ ატმოსფეროს. ყველანი თეთრ ტანსაცმელში შემოსილან (მხატვარი სიმონ მაჩაბელი), ასაფლავებენ ქალს, რომელიც მერე საიგას დედა აღმოჩნდება. სიცოცხლის ხესთან სამარეს თხრიან! სიკვდილის პირველი ნაბიჯები მოდის. ამ ქმედებათა მიხედვით ატმოსფეროს სრულყოფილი სურათი ვერ შეიქმნა, რადგანაც მსახიობების პლასტიკა უხეშია.

აი, თეჯი (ლელა მეტრეველი) იღვიძებს. უკან სარკის ჩარჩო დგას. სცენაზე აქეთ-იქით თეთრად შემოსილი პერსონაჟები წვანან. თეჯი საამურად იზმორება და ამ პირობითი სამყაროდან გათენებას შეიგრძნობთ. რეჟისორი მიზანსცენებში ცდილობს გმირთა ხასიათების ამოხსნას, თუმც ეს ცდა ხშირად სრულყოფილად ვერ ვლინდება.

გმირთა ჩაცმულობა, გრიმი, მოძრაობები უფრო აღმოსავლურს წააგავს. ამ სპექტაკლში ურთიერთობის დამუშავება და გმირთა ხასიათების ამოხსნა მკვეთრად უარყოფილია. ამ გზით სვლა, ჩემი აზრით, რეჟისორის პრინციპული გადაწყვეტილებაა. იმ მცირეოდენი ტექსტიდან, რომელსაც მსახიობები წარმოთქვამენ, ნათლად ჩანს სასცენო მეტყველების ნაკლოვანებანი. ალბათ, ამიტომაც რეჟისორმა მთელი ყურადღება გადაიტანა ქმედებებზე. სტუდენტებიდან გამოვყოფ ორ მსახიობს — ლელა მეტრეველს და ფიქრია ნიქაბაძეს. ლელა მეტრეველი პლასტიკურია, მსუბუქი, რეჟისორის დასახულ ამოცანას სხვებთან შედარებით უკეთესად ასრულებს. მისი ნაზი სხეულის მოძრაობა, გულუბრყვილო, ხშირად ირონიული გამოხედვა, დასამახსოვრებელია. იგი თითქოს უფრო ახლოსაა რეჟისორის ჩანაფიქრთან.

ფიქრია ნიქაბაძე ემოციურია და ამ ემოციურობის ზომიერად გამოხატვაც შეუძლია. თუ მას შემდგომში სამუშაო ექნება, მისგან კარგ მსახიობს უნდა ველოდოთ. „შენ ბებერი ხარ!“ ეუბნება ექიმი. კიბეზე ჩამომჯდარი თვალცრემლიანი მსახიობი — დალილა უცებ ჩახრის თავს და მისი მოკუნტული სხეულიდან საოცარი ტკივილი გამოსჭვივის.

დავით დოიაშვილის მიზანსცენები არ არის რებუსებით დატვირთული, კომპოზიციურად იგი უფრო მხატვრობასთან არის კავშირში.

ყოველ ეპიზოდში, განსაკუთრებით სპექტაკლის პირველ ნახევარში, სცენის ხან მარცხენა და ხან მარჯვენა კუთხეში დგანან ის მსახიობები, რომლებიც არ მონაწილეობენ მოცემულ ეპიზოდში. მათ ხელში საათები უკავიათ. საათის ტიკტიკს ისინი ბგერებით და თვალების მოძრაობით გამოხატავენ და მაყურებელს განუწყვეტლივ ახსენებენ დროის შეუჩერებლივ დინებას. ამიტომაც ამბობს ერთ-ერთი პერსონაჟი, დროს და ბუნებას ვერ შეაჩერებო...

პროგრამაში ჩამოთვლილია პერსონაჟთა სახელები: თეჯი, დაჩი, დალილა, საიგა. ნათლად ვხედავთ მათი წარმომავლობის აღრევას. უნდა დავასკვნათ, რომ ეს დაუდევრობით კი არ მოსვლია რეჟისორს, არამედ ამით იგნორირებულია კონკრეტული მოქმედების ადგილი.

სჯა-ბაასს სიკვდილ-სიცოცხლის შესახებ, იმის გამუდმებულ შეხსენებას, რომ დრო მიდის, სიცოცხლის აბსურდულობისაკენ მივყავართ. ყოველი ჩვენი „უბრალო“ ცხოვრებისეული ურთიერთობანი არის დროის მოკვლა და სიკვდილთან მიახლოება. თეჯის უყვარს მეზობელი. ამ სიყვარულის შესახებ იცის ოჯახმა, მთელმა დასახლებამ. ქმარი კლავს თეჯის. თეჯის მიჯნურიც ეწირება. ფიზიკურ სიკვდილს აქ არაპირდაპირი მნიშვნელობა ენიჭება. სიკვდილით რეჟისორმა შეყვარებულ წყვილს თავისუფლება მიანიჭა. ისინი აღარ ხვდებიან ფარულად და სასიყვარულო თამაშებით დაუფარავად განასახიერებენ სიყვარულის თავისუფლებას. რეჟისორის მიზანსცენებში კი იგრძნობა სასიყვარულო ქმედებების არა ეროტიკული, არამედ ესთეტიკური ხედვა. დედისთვის, ქმრისთვის, მეზობლებისთვის უკვე ჩვეულებრივი მოვლენაა მათი საქციელი. მიჯნურებმა ხომ თავად მოწყვიტეს სიცოცხლის ფოთლები. ამ წყვილით მოხიბლული მოსახლეობაც მათ გზას ირჩევს და მიჯნურთა სამყაროში გადაინაცვლებენ, სადაც უკვე გაურკვეველია, რომელია უფრო ცხადი, აქაური თუ იქაური ცხოვრება. ერთი კი აშკარაა, ისინი ბედნიერები არიან. პროფესორი (მაია მხარაძე), რომელიც დარაჯობს ამ ხეს და მთელ ბორცვს, აიძულებდა სიცოცხლის მოფრთხილებას, მარტო რჩება, ისიც მოწყვეტს თავისი სიცოცხლის ხეს, ფოთოლს და კვდება. მაგრამ მისი სიკვდილი ფიზიოლოგიურიცაა და სულიერიც. ამ სიკვდილში ის მარტოა. დანარჩენები კი სიცოცხლეს განაგრძობენ. რასაკვირველია, რეჟისორისა და ავტორის მიერ სიკვდილ-სიცოცხლის ასეთი გააზრება პირობითია, რადგანაც მას უნდა ეთქვა დღევანდელობის მთავარი სათქმელი — „ჩვენ ცოცხალი მკვდრები ვართ“.

რეჟისორი დავით დოიაშვილი ყველა სპექტაკლში ცდილობს სრულყოფის მიღწევას. ამავე დროს ყველა მის სპექტაკლში, მიუხედავად იმისა, მიაღწია თუ არა მიზანს, მკვეთრად იხსნება რეჟისორ-ავტორის მთავარი სათქმელი, რომელიც ჩემთვის ყოველთვის თანადროულია. იგი არასოდეს არ არის დიდაქტიკური და არც ცხოვრების გარკვეულ მოდელს წარმოადგენს. რეჟისორი, როგორც ჭეშმარიტი შემოქმედი, ნათლად გრძნობს დროს, იგი მთელი არსებით შეიგრძნობს საზოგადოების წუხილს, სპექტაკლში „აი, ხე!“, რომელსაც შეიძლება ყველა თეატრალური კანონის პროტესტიც დავარქვათ, ჩანს დღევანდელი საზოგადოების წუხილი, რომელიც ყოველდღიურობა' სცდება და განზოგადებას აღწევს. დრო მიდის, ჩვენი წუთები ითვლება, უამრავი ნიჭიერი ადამიანი ხელფეხშეკრული ზის და ელის. ისინი აკაკუნებენ, მაგრამ ყველა კარი მათთვის ჩარაზულია. ილუპება ზნეობა, ილუპება შემოქმედება. ამიტომაც რეჟისორმა ზუსტად გამოხატა სათქმელი — სპექტაკლში ფიზიკურ სიკვდილს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია ადამიანები ხელფეხშეკრულები არ იყვნენ, რათა სულიერად არ განადგურდნენ, ცოცხალ მკვდრებს არ დაემსგავსონ.

**მანანა ტურიაშვილი.**

საქართველოს რესპუბლიკა
№167. შაბათი. 19 ივლისი. 1997 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## არდავიწყება



# მესიზმრებოდა ჩემი თეატრი

ბავშვობიდანვე შეესისხლხორცა სცენას თავისი მამის, — ავლაბრის სცენისმოყვარეთა სპექტაკლების აქტიური მონაწილის იოსებ გიორგის ძე ლაფაჩისა და არაქსიანის წყალობით. ერთ დღეს, 8 წლის ნინოს სპექტაკლ „დარისპანის გასაჭირში" მშვენივრად შეუსრულებია როლი. მამის უწინასწარმეტყველებიათ მამისათვის:

— შენი ქალიშვილი მსახიობი გამოვაო.

თეატრის სიყვარული თანდათან ღვივდებოდა მოზარდის სულში... თოთხმეტი წლისამ სასწაული იხილა რუსთაველის თეატრის სცენაზე — თამარ ჭავჭავაძის ლაურენსია („ცხვრის წყარო"):

— „სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში ეს მშვენიერი გოგონა, მხიარული კისკისით რომ შემოვარდებოდა სცენაზე თავის მეგობრებთან ერთად...

შემდეგ ხშირად დავდიოდი თეატრში. ჩემდა საბედნიეროდ, ყველა იმ პიესაში, რომლებიც მე ვნახე, იგი მთავარი გმირი ქალების როლებს ასრულებდა. ქალბატონმა თამარმა მომაჯადოვა ბრწყინვალე გარეგნობით, ზღვა ტემპერამენტით, ღრმა შინაგანი გრძნობით, ულამაზესი ხმით და გულში ჩამწვდომი მეტყველებით, რომელსაც ყველა რეგისტრი ხავერდოვანი ჰქონდა, ისეთი გულშიჩამწვდომი, რომ ღამეებს სულის შფოთვაში ვატარებდი. რამდენჯერ მინატრია, ასეთი ხმა მქონდეს-მეთქი... სწორედ ამან გადაწყვიტა ჩემი ბედი, სწორედ აქედან დამებადა უსაზღვრო სურვილი, გავმხდარიყავი მსახიობი" — ეს ნინო ლაფაჩის ნათქვამია.

1927 წელს, როდესაც რუსთაველის თეატრში (სტუდიის შემდეგ) ჩამოყალიბდა ექსპერიმენტული სახელოსნო, იგი გამოცდაზე მისულა. კომისიაში ყოფილან სანდრო ახმეტელი, უშანგი ჩხეიძე, თამარ ჭავჭავაძე, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, ია ქანთარია, მიხეილ ლორთქიფანიძე და სხვები. ვასაძეს უკითხავს, რა გაქვსო მომზადებული გამოცდისათვის;

— „ამ დროს ქალბატონი თამარი დავინახე, მე თუმცა მომზადებული ვიყავი, დავიბენი და ვუპასუხე, — არაფერი-მეთქი. მან გაკვირვებით შემომხედა და მითხრა, მოემზადეთ და ისევ მობრძანდითო".

გაივლის სულ ცოტა ხანი და ნიჭიერი სტუდიელი უეცრად თეატრის ფოიეში შეხვდება თავის სათაყვანებელ კერპს:

— ერთ ადგილას გავშეშდი და მივაჩერდი. თამარმა გამიღიმა და მკითხა, — სტუდიელი ხარო? მე კი ვიდექი და აღტაცებული შევყურებდი... ახლაც ნათლად მახსოვს მისი ოდნავ მიბნედილი ულამაზესი შავი თვალები" — წერდა მოგონების წერილში უკვე ხანდაზმული მსახიობი ნინო ლაფაჩი.

უცნაურია დრო და გარემოება. აბა, რას იფიქრებდა მაშინ, რომ გაივლიდა ორიოდე წელი და 1930 წელს, რუსთაველის თეატრის სცენაზე, თამარ ჭავჭავაძის შემდეგ თავად შეასრულებდა ტატიანას როლს ლავრენიევის პიესაში „რღვევა".

ბედნიერი გამოდგა ნინო ლაფაჩის ცხოვრებაში ეს დღე. ამ დროიდან მოკიდებული იწყება მისი აღმასვლა თეატრში. ბუნებით მომადლებული ნიჭით და თავდაუზოგავი შრომით თანდათან ივსებოდა მისი სასცენო ბიოგრაფია იშვიათი მომხიბვლელობითა და შთაგონებით, ღრმა შინაგანი განცდით შესრულებული დაუვიწყარი სახეებით, ახლა თვითონ ხდება ახალგაზრდების კერპი:

— „მე ვეკუთვნი იმ თაობას, იმ მაყურებელს, რომელიც ბევრჯერ აღტაცებულა ქალბატონი ნინოს ხილვით სცენაზე. მე შეყვარებული ვიყავი მასში" — წერს ქალბატონი მედეა ჩახავა ნინო ლაფაჩისადმი მიძღვნილ წერილში.

„ჯერ კიდევ სკოლის მოწაფე ფეხდაფეხ დავყვებოდი ხოლმე ქუჩაში, — განაგრძობს მსახიობი, — შევციცინებდი, შევხაროდი. ამის გამო სკოლიდან სახლში მოსვლა ხშირად დამგვიანებია და ერთადერთი გასამართლებელი მიზეზი იყო, თუ ვიტყოდი, ნინო ლაფაჩი შემხვდა ქუჩაში და იმას დავყვებოდი-მეთქი. დედას სიამოვნებით ეღიმებოდა, მამას კი თვალები აუციმციმდებოდა: „დანაშაულს" ადვილად მპატიობდნენ, რადგან თვითონაც — ქალბატონ ნინოს თაყვანისმცემლებს, ესმოდათ ჩემი გატაცების მიზეზი.

მართლაც, რა მოხდენილი იყო, ლაზათიანი, ჩამოსხმული ტანფეხით... და, რაც მთავარია, საოცრად სცენური, მომადლებული ნიჭის მსახიობს თანდაყოლილი კეთილშობილება, არისტოკრატობა, სხეულის შეუდარებელი ფორმები დიდი ინდივიდუალობით მოსავდა".

მაგრამ შეუძლებელია ნინო ლაფაჩზე საუბარი, თუ არ გავიხსენეთ მისი შემოქმედებითი ცხოვრების თავანკარა სათავე — სანდრო ახმეტელის თეატრი, სადაც სრულიად ახალგაზრდამ შემოდგა ფეხი. რა სათუთად მოიგონებს რამდენიმე ათეული წლების შემდეგ იმ ბედნიერ ხანას უკვე ხანდაზმული მსახიობი:

— „იგი (ს. ახმეტელი-ც.ხ) მთელი დღე თეატრში იყო და მასთან ერთად ჩვენც, ღამის 3-4 საათამდე გვიგრძელდებოდა ხოლმე რეპეტიციები. ვერ წარმოვიდგენდი ჩვენი თავი თეატრის და თეატრი ახმეტელის გარეშე. მოგვიანებით, როდესაც საშა უკვე აღარ იყო, ხშირად, ძალიან ხშირად მესიზმრებოდა ხოლმე... რეპეტიცია იწყებოდა... შემოდის ახმეტელი... მესიზმრებოდა ხოლმე ჩემი ცხოვრების ყველაზე მშვენიერი და ბედნიერი წლები".

სწორედ სანდრო ახმეტელის ბრწყინვალე სკოლაგამოვლილი ავიდა იგი სამსახიობო ხელოვნების მწვერვალზე. წლების მანძილზე იპყრობდა მაყურებელთა გულებს მის მიერ დიდი სიმართლითა და გულწრფელობით, მძაფრი ემოციური განწყობილებით განსახიერებული როლებით. მათი რიცხვი სამოცამდე აღწევს.

როგორც მსახიობის და, ქალბატონი ელენე ლაფაჩი გადმოგვცემს, იოკასტეს როლზე ხუთი მსახიობი იყო დანიშნული, მაგრამ აკაკი ხორავა მხოლოდ ქ-ნ ნინოსთან თამაშობდა ოიდიპოსის როლს.

რუსთაველის თეატრი, ხალხით გაჭედილი მაყურებელთა დარბაზი სულგანაბული ადევნებს თვალს სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატის" წარმოდგენას. „დრამატული ლეგენდა" (სუმბათაშვილის თქმით) კულმინაციას აღწევს. სპექტაკლის ერთ-ერთმა მთავარმა პერსონაჟმა რუქაიამ გზა გაუხსნა თავის ავხორც ზრახვებს. მან ულალატა ერეკლეს გრძნობებს, გასცა მეფე. ამ სცენის შემყურე ერთ-ერთ მაყურებელს ნერვებმა უმტყუნა და პარტერიდან ბლოკნოტი ესროლა ჰარამხანის მხევალს. ბედად ბლოკნოტის მაგარი ყუა ასცდა რუქაიას როლის უბადლო შემსრულებელს, იმხანად უკვე აღიარებულ მსახიობს ნინო ლაფაჩს...

ეს დღე ერთ-ერთი უბედნიერესი იყო ლაფაჩის ცხოვრებაში, რომელსაც დიდი ღელვით და სიხარულით იხსენებდა:

— „მახსოვს, როდესაც ფოიეში გამოვედი, ანანიას როლის შემსრულებელმა ქართული სცენის კორიფემ აკაკი ვასაძემ ჩემთვის დაუვიწყარი სიტყვები მითხრა:

— აი, ეს არის შენი დიდი გამარჯვება!

ჩემს სიხარულს ისიც აორკეცებდა, რომ ეს მომენტი დიდი ამაგის დაფასებაც იყო ამ სწორუპოვარი ხელოვანისა, რადგან მას ცოტა წვლილი როდი მიუძღოდა ჩემს დაოსტატებაში. ბედმა მარგუნა ძვირფასი ხვედრი, სწორედ უშუალოდ მისი ხელმძღვანელობით ჩავწვდომოდი სასცენო ხელოვნების საიდუმლოებას. ჩემი ცხოვრების გზაზე ასეთი დიდი თეატრალი სხვა არც შემხვედრია, რომელშიც ასე იქნებოდა შერწყმული პედაგოგის, მსახიობის, რეჟისორის ხელოვნება (ნინო ლაფაჩის ამ მონათხრობთან დაკავშირებით, ნიშნეულია ის ფაქტიც, რომ 1926 წელს, სტუდიის დახურვის შემდეგ, ახლად დაარსებული ექსპერიმენტულ სახელოსნოში აკაკი ვასაძეს დაევალა მსახიობის ოსტატობისა და სასცენო მეტყველების მასწავლებლობა). იგი ნამდვილად გამორჩეული პიროვნება იყო, როგორც მოქალაქე, ადამიანი. იშვიათად განსწავლული გახლდათ, მოაზროვნეც, რაც უდავოდ იგრძნობა მის ნაწერებშიც, თუნდაც ბოლო დროს გამოცემულ მის მშვენიერ წიგნში „მოგონებები, ფიქრები".

— „მახსოვს, რა მღელვარებით ავლევდი იმ კიბეებს, სარეპეტიციო ოთახისაკენ რომ მიუყავდი. რა სიხარულით იყო აღსავსე" ყოველი დღე თეატრში. როგორი შემოქმედებითი ცეცხლი ენთო რეპეტიციებზე, სცენაზე!..

დილიდანვე ყველაფერი უჩვეულოდ იწყებოდა. ახლაც თვალწინ მიდგას მოლოდინით დამუხტული სარეპეტიციო ოთახი. დიახ, ყველანი ველოდით, თითქოს ყოველდღიურს, ჩვენთვის ნაცნობს და ჩვეულებრივს, მაგრამ არა, ეს ნამდვილად არ იყო ჩვეულებრივი. ახლაც თვალწინ წარმომიდგება ის მუდამ დაუვიწყარი, უძვირფასესი წუთები — აი, უეცრად სწრაფად იღება სარეპეტიციო ოთახის მძიმე კარი და ვაჟკაცური, ამაყი, რაღაც სხვანაირი განუმეორებელი, მისებური მტკიცე ნაბიჯებით შემოდის საშუალოზე მაღალი ტანის კაცი. დიდი, შავი საოცრად მეტყველი თვალებით ერთბაშად მოგვავლებს მზერას და სულ მალე ოთახი ივსება ქართული, რაღაც გამჭოლი, სულში ჩამწვდომი მუსიკით. იწყება სანდრო ახმეტელის რეპეტიცია, — ვიტყოდი, დღესასწაული. თეატრში, უშუალოდ აქ იბადებოდა მიზანსცენები, რომელსაც რეჟისორი მუსიკაზე აგებდა. ამიტომ მუსიკა რეპეტიციის დასაწყისშივე მზად უნდა ყოფილიყო და ასეც იყო.

— მე მაშინ მასობრივ სცენებში ვიყავი დაკავებული, — იგონებდა ქალბატონი ნინო, — ზოგჯერ მხოლოდ ორი-სამი სიტყვა გვქონდა სათქმელი, მაგრამ ესეც ერთ-ერთ მკვეთრ, აუცილებელ ფერად აჩნდებოდა მთელს სპექტაკლს. მასობრივ სცენებზე აგებული სპექტაკლი ძალიან ლამაზი და მუსიკალური იყო. მახსოვს, როგორი მოწონებით ხვდებოდა მაყურებელთა დარბაზი „ლამარას" პირველ მოქმედებას, როდესაც ქალები დოქებით ხელში გადავივლიდით საკმაოდ დიდი მოცულობის სცენას ძახილით — „ლამარა! ლამარა!" ეს მიზანსცენა ისე იყო აგებული, ისეთი მუსიკალური იყო, ხე უნდა ყოფილიყავი, რომ ისე არ გაგევლო სცენაზე, როგორც ამას რეჟისორის ჩანაფიქრი გავალებდა".

სცენური სიმართლით და მსახიობის მიერ განსახიერებული სახის იშვიათი გარდასახვის უნარით გამოირჩეოდა ნინო ლაფაჩის მიერ შესრულებული როლები ტატიანა (ბ. ლავრენიევი — „რღვევა"), ნანო (ს. შანშიაშვილი — „არსენა"), ბიანკა (უ. შექსპირი — „ოტელო"), ფაცია (შ. დადიანი — „გუშინდელნი"), ვალიდა (გ. წერეთელი — „პირველი ნაბიჯი"), ნინო (მ. მრევლიშვილი — „ნიკოლოზ ბარათაშვილი"), რეგანა (უ. შექსპირი — „მეფე ლირი"), ნინო (ი. მოსაშვილი — „მისი ვარსკვლავი"), იოკასტე („ოიდიპოს მეფე"), რუქაია (სუმბათაშვილი — იუჟინი „ღალატი"), ჰერტრუდა (უ. შექსპირი — „ჰამლეტი"), იოლანტა (ჯ. ფლეტჩერი — „ესპანელი მღვდელი"), კომისარი (ვს. ვიშნევსკი — „ოპტიმისტური ტრაგედია").

თვით ამ როლების დასახელება უკვე მკაფიოდ ცხადყოფს, თუ რა შესაძლებლობების, რა დიდი ტემპერამენტისა და განცდის, რა დიდი სულიერი კულტურის მსახიობი, ხელოვანი ჰყავდა რუსთაველის სახელობის თეატრს ქალბატონ ნინო ლაფაჩის სახით. მისი დიდი ვნებით შექმნილმა სახეებმა ფართო აღიარება და საყოველთაო სიყვარული მოუპოვეს მსახიობს არა მხოლოდ სამშობლოში, მის ფარგლებს გარეთაც.

უკანასკნელად ჰერტრუდას როლი განასახიერა რუსთაველის თეატრის სცენაზე შექსპირის „ჰამლეტში". თეატრმცოდნე ნინო შვანგირაძე ასეთ შეფასებას აძლევდა ლაფაჩის ამ როლს.

„ჰერტრუდას განსახიერებისას ნ. ლაფაჩმა შეინარჩუნა ტრაგედიის მთელი რომანტიკული ზეაწეულობა, ფაქიზად და გრაციოზულად წარმოსახა ადამიანის ვნება და წამება, გვიჩვენა, რომ მისი ჰერტრუდას ტრაგიკულ გზას ქალურ ვნებათა ქარიშხალი და მისთვის ერთადერთი წმიდათაწმინდა ჰამლეტი წარმართავს."

„ რაც ერთხელ ცხოველად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის" — დიდი პოეტის ამ სიტყვებს ხშირად შემახსენებდა ქალბატონ ნინო ლაფაჩთან შეხვედრა, მისი სევდით შეფერილი ნაუბარები, გარდასულ დღეთა დიდი ღელვით გახსენება, ის ტკბილმწარე მოგონებები"...

ნეტარ მოგონებად მაინც სანდრო ახმეტელის პერიოდი დარჩა:

მახსოვს, როდესაც როლში შეიჭრებოდა, პიჯაკს გაიხდიდა და გადააგდებდა. თვითონ არ იცოდა მოქმედების ჩვენება. იგი გიხსნიდა სიტყვებით, თვალებით, მთელი არსებით და ეს ახსნილი არ შეიძლებოდა სავსებით არ შეგეგრძნო, არ შეგესისხლხორცებინა. თუ რაიმე არ მოეწონებოდა მსახიობის თამაშში, თმას დაუწყებდა წვალებას, წინ გადმოიწევდა და თითზე იგრეხდა.

„აღფრთოვანების ზეიმი", „არტისტული ნერვების სიმფონია", „სცენის ეგზომ სისავსე ორკესტრიდან-კულისებამდე" — ეს ფრაზები არაერთხელ თქმულა სანდრო ახმეტელის თეატრზე და ნინო ლაფაჩის აღტაცებულ მონათხრობშიც ხშირად ცნაურდება ამ დაუვიწყარ შთაბეჭდილებათა გამოძახილი და რწმუნდები, მართლაც რაოდენ ძვირფასი, სანუკვარი იყო დიდი მსახიობისთვის იმ დაუვიწყარ დღეთა გახსნება.

**ციური ხეთერელი.**



სურათზე: ნინო ლაფაჩი; სცენა „ჰამლეტიდან". ნ. ლაფაჩი — ჰერტრუდა, ნ. ჩხეიძე — ჰამლეტი.

## იუბილე



ვასილ კიკნაძე

# მსახიობის გზა

თეატრთან ათასგვარი მისავლელი გზებია. ყოველ მსახიობს თავისი გზა აქვს. ეს არის ძნელად სავალი, წინააღმდეგობებით აღსავსე გზა. ზოგჯერ ისეც მოხდება, რომ მსახიობი სხვა სფეროში იხარჯება, თუნდაც ეს „სხვა“ ისევ თეატრისათვის იყოს გამიზნული, მაგრამ მაინც „სხვაა“, რადგან უშუალოდ მის შემოქმედებას აკლდება. აქ არის თავისებური მსხვერპლშეწირვა და ასეთ მსხვერპლს იღებენ მსახიობი-დირექტორები.

ვისაც თეატრის შინაგანი სამყაროს უფსკრულში ჩაუხედავს, სადაც ჯოჯოხეთი და სამოთხე ერთად არის, — არ შეიძლება არ შეჰრთეს. მხოლოდ ერთეულები, რაღაც უცნაური სიყვარულის ძალით მოისწრაფვიან ამ უჩვეულო სინათლისა და სიბნელისაკენ, რათა მონური ერთგულებით ემსახურონ თეატრს. ასეთი ადამიანები არიან მსახიობები, რომელთაც ბედმა დირექტორის მოვალეობის შესრულებაც არგუნა.

ეს არის მოვალეობისა და საქმის სიყვარულით აღსავსე „ბედნიერი ტანჯვის“ გზა.

სწორედ ასეთი გზას გაჰყვა ლევან ღლონტი.

ადვილი არ არის თოთხმეტ წელზე მეტ ხანს ემსახურო თეატრს, როგორც დირექტორი. ეს სამოღვაწეო ასპარეზია, საქვეყნო საქმეა, რომელიც ბევრ განსაკუთრებულ თვისებებთან არის დაკავშირებული. მსახიობმა ღლონტმა უკეთ იცის, რა სტკივა ხელოვანს, რა შუქჩრდილებში ტრიალებს მისი ცხოვრება.

ყველაზე რთული მაინც ადამიანებთან ურთიერთობის ნიჭია, ისიც ხელოვანთან ურთიერთობისა. რამდენი რამ უნდა გაითვალისწინო, უნდა მოთოკო შენი ნერვები, დაიცხრო ადამიანური ამბიციები, გახდე მათი ბედის თანაზიარი!... ასეთია ლევან ღლონტი.

ცხოვრებამ ათეული წლობით დამაკავშირა ბათუმთან. იგი ჩემი სისხლი და ხორცია, ჩემი ცხოვრების ნაწილია. ყოველთვის სიხარულით მივისწრაფვი ხოლმე იქ, სადაც არ წაშლილა მრავალ ბედნიერ დღეთა ნაკვალევი. ბათუმის თეატრზე, დიდი ილიას სახელს რომ ატარებს, ქართული თეატრის ისტორიაში ბევრი ბრწყინვალე ფურცელი ჩაიწერა, ზოგიერთ ფურცელს მეც ვწერდი ხოლმე, როცა თეატრის თაობათა გვერდით მივდიოდი. აქ ვიკრიბებოდით, ვკამათობდით, ერთმანეთს ვავსებდით და ვზრდიდით. მახსოვს, როგორი ორგანიზებულობით, როგორი ტაქტითა და გულითადობით მონაწილეობდა ლევანი ამ პროცესში. ის ათი წელი (1978-1988 წ.წ), როცა იგი თეატრის დირექტორად იყო, ბევრი ასეთი შემოქმედებითი თანაზიარობის დღეებით იყო შთაგონებული.

როცა მთელი საქართველო ქაოსმა და განუკითხაობამ მოიცვა, მისმა ერთ-ერთმა უმშვენიერესმა მხარემ, აჭარამ, საოცარი სულიერი წონასწორობა შეინარჩუნა და არ დარღვეულა მისი სტაბილური ცხოვრება. ეს ისტორიული ფაქტიც არის და ისტორიული გაკვეთილიც. ამიტომ განსაკუთრებულია ნგრევის ფონზე ახალი დიდი კულტურის კერის — ოპერის თეატრის შექმნა. ქართველი ხალხის მარადიული ფასეულობებისადმი ასლან აბაშიძის მხარდაჭერამ გამოაცოცხლა ქართული ეროვნული კულტურის ცხოვრება. ამ ფონზე მეტი მასშტაბი შეიძინა ლევან ღლონტის მოღვაწეობამაც და ოპერის თეატრსაც დასდო თავისი ღვაწლი.

საქართველოში რა გამოლევს ნიჭიერ მსახიობს. მაგრამ საზოგადო მოღვაწე-მსახიობები ცოტა გვყავს. ლევანის სამოღვაწეო ასპარეზი მარტო თეატრი არ იყო. ათი წელი საქართველოს თეატრალური საზოგადოების აჭარის განყოფილების თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა. წლობით ხელმძღვანელობდა კულტურის ცენტრს. უანგაროდ და უშურველად აწყობდა სახალხო ზეიმებს, ატარებდა შეხვედრებს, საღამოებს, სიხარულს ანიჭებდა ადამიანებს. მუდამ ხალხის შუაგულში ტრიალებდა, მათი შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენას ახმარდა დიდ დროსა და ენერგიას. სულ უფრო და უფრო შორდებოდა თავის სპორტულ გატაცებებს (იგი ხომ დინამოს გუნდში და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობდა). ღრმად იძირებოდა თეატრალურ სამყაროში, რომელსაც მან მთელი ცხოვრება უძღვნა.

ლევან ღლონტს თეატრში ასზე მეტი როლი აქვს შესრულებული. მილიონი ადამიანის სიკვდილი — ციფრია, ერთისა კი - ტრაგედიაო. ასი როლიც ციფრია, მაგრამ ყოველი როლი ბედნიერი და უბედური ადამიანის მთელი ცხოვრებაა. თავისი ადგილი ჰპოვა ყოველმა მათგანმა ლევანის სულისა და სხეულის არტისტულ მრავალსახიერებაში.

მე ვამბობ „თავისი“ — ეს იმას ნიშნავს, რომ მისი გმირები ინდივიდუალური, სიახლით სავსე ადამიანები იყვნენ. კარგად მახსოვს ბევრი მათგანი. პარტერიდან დაძაბულად მიდევნებია თვალი მათი ცხოვრების გზისათვის.

ხშირად მაგონდება „ტოპაზის სახლი“. იგი იმ დროს მოევლინა სცენას, როცა ჩვენი საზოგადოება შეშფოთებული იყო უპატიოსნების აღზევებით. ოფიციალურად ძნელი იყო ამაზე ლაპარაკი, ლევან ღლონტის ტოპაზის სიტყვებით ვიოხებდით გულს. ხალხის წუხილს, ხალხის სათქმელს გამოხატავდა ლევანის გმირი. ეს იყო ხელოვანისა და მაყურებლის ფიქრთა და გრძნობათა საოცარი ერთიანობის წუთები.

ასეთი წუთებისათვის ღირს შემოქმედებითი ტანჯვა!...

მარტო ტოპაზი არ იყო ჩვენი სულის თანაზიარი გმირი. თუმცა გონებიდან ახლაც არ მშორდება, ყურში ჩამესმის მისი სიტყვები — თუ ეს საზოგადოება არ შეიცვალა, სანთლით საძებარი იქნება პატიოსანი კაცი!..

თანადროულად არ ჟღერს ღლსაც?..

სიბრძნე ყოველთვის თანამედროვეა. ლევან ღლონტის შესრულებას მუდამ ახლავს გულწრფელობა, თანადროულობის გრძნობა. სიცოცხლით სავსე იყო მისი ზურიკელა („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“), წლობით რომ ამშვენებდა ქართულ სცენას. სულ სხვა ბედის ადამიანთა სულიერი ძერები ნამდვილი ოსტატობით გამოხატა მსახიობმა. ეს იყო ალ. სამსონიას პიესის „ზღვა და სიყვარულის“ გმირის ელგუჯას სახე.

თითქოს შორს წასული ახლობლის დაბრუნებას გავს დღეს ა. სამსონიას ელგუჯას გახსენება. „ზღვა და სიყვარული“, „ვაჩი ვაჩეიშვილი“ — უფრო აღრინდელი დადგმაა, „ჩემი შვილი სიმონა“ — რაღაც განსხვავებულ სითბოს, ფაქიზ იუმორსა და ცხოვრების ხალისს სძენდა თეატრს. ორი მათგანი კი ლევან ღლონტის ბიოგრაფიის ნაწილი გახდა.

ლ. ღლონტის გმირები შინაგანად ინტელიგენტები არიან. ყოველთვის იგრძნობა, რომ თავად მსახიობია ინტელიგენტი და მისი სულის ორეულებიც აღბეჭდილნი არიან ამ თვისებებით. მსახიობის შესრულებაში მუდამ იგრძნობა რაღაც შინაგანი ძალა, რომელიც ყოველთვის იბრძვის. ეს ბრძოლა არის მიზანსწრაფული, აზრიანი. მსახიობი ნაკლებად ენდობა იმპროვიზაციულ „აფეთქებებს“, იგი ფიქრიანად მიჰყვება სცენური ქმედების ლოგიკას. ხომ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მინდია (ვაჟას „ალუდა ქეთელაური“) და ზაზა ნაკაშიძე (ნ. დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა“), ცოტნე და ვაჟა (გ. ხუხაშვილის „მოსამართლე“), ან თამაზ იაშვილი (გ. ფანჯიკიძის „თვალი პატიოსანი“) და როდრიგო (შექსპირის „ოტელო“), მაგრამ მათ აერთიანებთ შინაგან ბუნებათა გახსნილობა და აზრიანობა. ყოველთვის არ არის ერთნაირი მხატვრული ეფექტი, მაგრამ, როგორიც უნდა იყოს სცენურ გმირთა ბედი, ისინი მაინც გამოირჩევიან საზრიანობით. განა ჩვენს ადამიანურ ფიქრებსა და განცდებს არ ეხმიანებიან მჩერბინა (ნ. დუმბაძის „ნუ გეშინია, დედა“) და ნიუტონი (დიურენმატის „ფიზიკოსები“), ლევან ხიდაშელი (გ. ფანჯიკიძის „მეშვიდე ცა“) და ვალიკო იაშვილი( ა. გეწაძის „წმინდანები ჯოჯოხეთში“ ). ყოველი მათგანი ცალკე სამყაროა, თითქოს არც მაინცდამაინც ბევრი რამ აქვთ საერთო, მაგრამ ერთად თანაარსებობენ ისინი მსახიობის სულში. ყოველ სახეს თავისი ნათელი და ბნელი საწყისი აქვს, თავისი სიკეთე და სიავე. მათ სცენურ ცხოვრებაში სხვადასხვა როლის თამაში ხვდათ წილად, მაგრამ სცენაზე აღბეჭდილნი არიან მსახიობის კეთილშობილური ბუნებით. ლევან ღლონტი მუდამ მათი კეთილი საწყისის გამომხატველია. ამას იგი სცენაზე აკეთებს საზგასმით და დაჟინებით. რაგინდ უარყოფითიც უნდა იყოს მისი გმირი, მსახიობი ყოველთვის ეძებს თბილ ტონებს, ნათელ საწყისებს, რათა გამოხატოს რთული ცხოვრების განკარგვის იმედი. ეს არის მისი, როგორც ხელოვანის პოზიცია.

(დასასრული მე-11 გვ.)

## გამოცემა

# უკვდავება

მართლაც ფასდაუდებელი და განუზომელია ჩვენი დროის ლეგენდარული ტრაგიკოსი მსახიობის აკაკი ხორავას ღვაწლი და მნიშვნელობა საქართველოსათვის. მისმა მძლავრმა ტალანტმა არამარტო ქართველი მაყურებელი აზიარა ტრაგედიის უმაღლეს ხელოვნებას, არამედ მთელ ქვეყნიერებას ამცნო თავისი ერის თვითმყოფადობისა და თეატრალური ნიჭის ამბავი.

წლეულს ოცდახუთი წელიწადი შესრულდა მისი გარდაცვალებიდან. ამ ხნის განმავლობაში აკაკი ხორავას ხსოვნის უკვდავყოფისათვის ბევრი რამ გაკეთდა. მის სახელს ატარებს სენაკის სახელმწიფო დრამატული თეატრი, თბილისის მსახიობის სახლი, არსებობს მისი სახელობის ქუჩა, სტიპენდია, მისი ქანდაკებები დგას თბილისსა და სენაკში.

დიდი მსახიობის ხსოვნას ამიერიდან კიდევ ერთი ძვირფასი ძეგლი მიემატა მისდამი მიძღვნილი კრებულის სახით, რომელიც ახლახანს გამოსცა აკაკი ხორავას საზოგადოებამ. ეს წიგნი, რომლის შემდგენელი, შესავალი წერილისა და კომენტარების ავტორი არის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი ეთერ გუგუშვილი, კარგა ხანია მზად იყო გამოსაცემად, მაგრამ საკმაოდ დაგვიანდა მისი წიგნად ხილვა, მსახიობის 100 წლის საიუბილეოდ აღნიშნული კრებულის დაბეჭდვა, სპონსორის — ქალაქ ფოთის მერიის დამსახურებაა.

ეთერ გუგუშვილი შესავალ ნაწილში ვრცლად მიმოიხილავს და აანალიზებს აკაკი ხორავას შემოქმედების ძირითად საკითხებს, ასევე გვაცნობს მის მრავალფეროვან საზოგადოებრივ მოღვაწეობას, გვიამბობს მის პიროვნულ თვისებებზე: „როდესაც დავფიქრდები, თუ რა იყო ბოლოს და ბოლოს ამ კაცის ყველაზე დამახასიათებელი პიროვნული თვისება, თავისთავად იბადება პასუხი — თავმდაბლობა და უბრალოება. ძალზე გულისხმიერი და სათუთი იყო ადამიანების მიმართ. ყოველთვის მზად იყო დახმარება აღმოეჩინა მათთვის, გაემხნევებინა, დარდი შეემსუბუქებინა“.

კრებული შეიცავს შემდეგ განყოფილებებს — წერილები, მოგონებები აკაკი ხორავას შესახებ, წერილები აკაკი ხორავასადმი, აკაკი ხორავას პირადი წერილები, გამოხმაურებები, დეპეშები, მილოცვები. ახლავს პირთა საძიებლები, მდიდარი ფოტომასალა, შემოქმედების ქრონოლოგია — როლებისა და თეატრალურ ინსტიტუტში დადგმული სპექტაკლების სია.

თანამედროვეთა წერილები და მოგონებები კარგად ასახავს გენიალური მსახიობის სამყაროს, იმ ატმოსფეროს, სადაც მას ცხოვრება და მოღვაწეობა უხდებოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია აკაკი ვასაძის, გიორგი გეგეჭკორის, ნადია შალუტაშვილის, გიგა ლორთქიფანიძის, ზურაბ ანჯაფარიძის, ბორის წიფურიას, ელენე საყვარელიძის, ზაზა ბაწელაშვილის, სოსო ხაინდრავას და სხვების მოგონებები. აკაკი ხორავას უკვდავ შემოქმედებას ეძღვნება გრიგოლ ბოიაჯიევის, ნოდარ გურაბანიძის, ვასილ კიკნაძის, პაატა იაკაშვილის და სხვათა წერილები.

აკაკი ხორავას პირად და მისდამი მიწერილ წერილებში ჩვენ თვალწინ ცოცხლდება მთელი ეპოქა, ის ადამიანები, ვისთანაც იყო დაკავშირებული აკაკი ხორავას




პროფესიული და ადამიანური ურთიერთობა. სტალინიდან დაწყებულს, ვის რა პროფესიისა და რეგალიების ხალხს არ შეხვდებით აქ. ვინ არ მოუხიბლავს მის უკიდეგანო, ზეგარდმო ნიჭის ძალას, მის ადამიანურ სითბოს.

„დიახ, აკაკი ხორავას სიყვარული, მისი პოპულარობა სცილდებოდა მსახიობის სიყვარულსა და პოპულარობას. ეს იყო კაცი-ლეგენდა, რომელმაც მსახიობის ხელოვნება უდიდეს სიმაღლეზე აიყვანა. აკაკი ხორავა იყო ადამიანი, რომელიც ბრწყინვალედ წარმოადგენდა თავის ერს ყველგან, იგი იყო თავისი ხალხის საუკეთესო თვისებების განსახიერება და ამდენად — მისი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი“, — წერს გიგა ლორთქიფანიძე.

აკაკი ხორავას სცენური ქმნილებები დიად მონუმენტებად დარჩა თავის თანამედროვეთა მეხსიერებაში, მათ მიერ ნანახ-განცდილი და სიტყვით გადმოცემული კი დღევანდელ მაყურებელსაც კრძალვასა და სიამაყეს განაცდევინებს.

ხორავა ქართველი ერის უსაყვარლეს მსახიობად, დიდებად და უკვდავებად დარჩება მარად! თუ რატომ, ამის პასუხს გამოჩენილი რეჟისორის დიმიტრი ალექსიძის სიტყვებში ვიპოვეთ, რომელიც წინამდებარე კრებულშია დაბეჭდილი: „აკაკი ხორავა თავისი გმირულ-რომანტიკული შემოქმედებით ყველაზე ახლოს დგას ქართველი ხალხის თეატრალური ხელოვნების იდეალებთან. ეს იმ გზის გაგრძელებაა, რომელმაც პოეზიაში „ვეფხისტყაოსანი“, „მერანი“, „ალუდა ქეთელაური“ და „ვეფხისა და მოყმის“ ბალადა შეჰქმნა!“

გიორგი ლალიაშვილი.

საქართველოს რესპუბლიკა
№167, შაბათი, 19 ივლისი, 1997 წელი
ეროვნული ბიბლიოთეკა

## მაყურებელი

# თვალები...

„წადით, წადით თეატრში,
იცოცხლეთ და მოკვდით
იქ, თუ შეგიძლიათ"...

ბ. ბელინსკი

ცნობილია დიდი რეჟისორის კ.ს. სტანისლავსკის სიტყვები შესახებ იმისა, რომ თეატრი იწყება საკიდიდან... საკიდიდან კი, მაგრამ თეატრთან, ხელოვნებასთან შესახვედრად, უპირველესად, ადამიანები, მაყურებლები მიდიან და იმის და მიხედვით, როგორია მკითხველი, მაყურებელი, მსმენელი, დგინდება, როგორ მოხდა ის სასწაულებრივი „შეხვედრები", ურომლისოდაც ხელოვნება არ არსებობს, თუ არა... ხომ ასეა, სალოცავად ეკლესიაში მისული მორწმუნე შინაგანად მზადაა ღმერთთან, სულიერებასთან შესახვედრად. ხელოვნებაც ხომ სულიერებასთან არის კავშირში, ე.ი. წიგნის წასაკითხად, გამოფენაზე, კონცერტზე, ან თეატრში წასასვლელად ადამიანი შინაგანად, სულიერად, თავისი ინტელექტით მზად უნდა იყოს, მზად, რათა მოხდეს ის სასწაული, რასაც კათარზისს, სულიერ განწმენდას უწოდებენ.

ახლა ხშირად გაიგონებთ, ჩემი აზრით, უმართებულო აზრს, ვითომც ხელოვნება არასოდეს, არავის არაფერს არ ასწავლიდა, რომ იგი არც უნივერსიტეტია და არც კათედრა, რომ საუკუნეების მანძილზე ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებმაც კი არავის არაფერი არ ასწავლეს, ადამიანი დარჩა ისეთივე „შავ-თეთრი", ბოროტი და კეთილი, როგორიც იყო...

დარჩა კი ისეთივე?! იქნება რომ არ ყოფილიყო სოფოკლე, დანტე, პეტრარკა, მიქელანჯელო, ბეთჰოვენი, რემბრანდტი, შოპენი, შექსპირი, რუსთაველი, პუშკინი, გალაკტიონი და მრავალი სხვა, იგი უარესი ყოფილიყო?! ხელოვნება, რასაკვირველია, მენტორი, მოსაწყენი დამრიგებელი მასწავლებელი როდია, მაგრამ, როგორც ჩვენს დიდ აკაკის უთქვამს, არც თეატრი იყო „საფუნდრუკო ადგილი", ხოლო ილია ჭავჭავაძის თქმით ზნეობისა და ეროვნული შეგნების დამფუძნებელი და აღმზრდელი... ხელოვნების ნაწარმოებთან, თეატრთან შეხვედრის დროს ჩვენ აუცილებლად ეხედავთ და ვარჩევთ კარგსა და ცუდს, ბოროტსა და კეთილს და აუცილებლად ვამყარებთ ჩვენს დამოკიდებულებას, ვარჩევთ ჩვენს ადგილს დაპირისპირებაში,ავტორებთან ერთად გვიყვარს ან გვძულს ის, რასაც აღვიქვამთ. შემთხვევით ხომ არ მოხდა თეატრის ისტორიაში ცნობილი ფაქტი, როდესაც ავი კაცის როლის ბრწყინვალე შემსრულებელი ზედმეტად ემოციურმა მაყურებელმა სცენაზევე მოკლა! ჩვენი დამოკიდებულება ხომ შემსრულებლებზეც გადაგვაქვს. ყოველთვის ჩვენს ადგილს განვსაზღვრავთ არსებულ დაპირისპირებაში და აი, მაშინ თავზე მოხვეულად კი არა, ჩვენი განცდისა და აზრის საფუძველზე იბადება ის, რაც ჩვენთვის დომინანტად იქცევა ცხოვრებაში.

ხელოვნება კაცს აადამიანურებს, ვგულისხმობ, ჭეშმარიტ ხელოვნებას, რომელიც სულიერ სიმტკიცეს მატებს ადამიანს, ეხმარება ცხოვრების სირთულეების დაძლევაში, აღვიძებს მასში ყოველივე ნათელსა და კეთილს...

განა არ გინახავთ დიდი მხატვრის ნაწარმოებების წინაშე თვალცრემლიანი მაყურებლები, მე მინახავს რემბრანდტის საიუბილეო გამოფენაზე, რაფაელისა და ლეონარდოს მიერ შექმნილი შედევრების წინაშე სახეშეცვლილი ადამიანები. მე თვითონ გამიჭირდა ლუვრში მონა ლიზასთან განშორება და ის, რაც განვიცადე, სამუდამოდ დამრჩა ემოციურ მეხსიერებაში...

ან განა იმათაც კი, ვინც ნოტები არ იცის და კლასიკური მუსიკა არ მოუსმენიათ არ ატყვევებთ ბახისა და ბეთჰოვენის, შოპენის, რახმანინოვის, ჩაიკოვსკის ნაწარმოებები?! თეატრში, გამოფენაზე, კონცერტზე მისული ადამიანი სასწაულს უნდა მოელოდეს, უნდა მზად იყოს ამისათვის ისევე, როგორც დიდი წიგნის კითხვისას!

დღეს ყველაფერს ფასი დაადეს, მხოლოდ დიად ნაწარმოებებზე ამბობენ – ფასდაუდებელიაო, დიახ, ნამდვილი, დიდი შემოქმედება არ იყიდება. განა შეიძლება ვთქვათ, – რამდენი ღირს გალაკტიონი, ილია, ვაჟა, უშანგი, ზაქარია ფალიაშვილის, გნებავთ, ოპიზრების ხელოვნება?! მას ფასი არ აღევს, იგი მხოლოდ პატივისცემას, ხალხის სიყვარულს იმსახურებს და მთელს კაცობრიობას ეკუთვნის...

დიახ, თეატრშიაც ასეა, ყოველდღიურად თეატრში ფარდა იხსნება და ყოველდღე, თეატრში მაყურებელთა დარბაზი ელის სასწაულთან შეხვედრას, რადგან თეატრი, ნამდვილი თეატრი, ყოველთვის სასწაულს უდრის!..

ცნობილია, რომ თეატრი კოლექტიური ხელოვნებაა, მას ქმნიან დრამატურგი, რეჟისორი, მსახიობი, მხატვარი, კომპოზიტორი და სხვა და სხვა... როდესაც სპექტაკლებს ვარჩევთ, მეტნაკლებად ყველას მიუზღვევთ ხოლმე თავის წვლილს, მაგრამ **სპექტაკლის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი — მაყურებელი გვავიწყდება**. უმაყურებლოდ კი თეატრი ისევე არ არსებობს, როგორც უმკითხველოდ ლიტერატურა, დამთვალიერებთა და მსმენელთა გარეშე გამოფენა და კონცერტი.

ცნობილი ფაქტია, რომ როდესაც დიდ დრამატურგს ჩეხოვს მის პატივსაცემად სამხატვრო თეატრის ცარიელ დარბაზში სპეციალურად უჩვენეს გახმაურებული „თოლია", სპექტაკლი ვერ „გაცოცხლდა", ვერ მოახდინა შთაბეჭდილება. ცარიელ დარბაზში სპექტაკლი ვერ დაიბადება, ვერ შედგება და ამიტომაც ყოველ საღამოს, იმისდა მიხედვით, როგორია მაყურებელი, ისეთია სპექტაკლიც. ერთი და იგივე წარმოდგენა ყოველ საღამოს სხვანაირად ჟღერს, ამას მსახიობებიც ამტკიცებენ. ერთხელ დიდ ტრაგიკოს ერნესტო როსის ჰკითხეს, როგორ, საიდან იბადება მის მიერ ოტელოს როლის შესრულების დროს ის განმგმირავი კივილი, რომელსაც არაადამიანური ფიზიკური ძალა და გულმკერდი სჭირდება, მსახიობმა მშვიდად უპასუხა და მიუთითა დარბაზზე – „მე კი არა, ისინი კივიანო".

დიახ, მაყურებელი ახდენს უდიდეს გავლენას სპექტაკლზე, მსახიობზე, თუ დაკვირვებიხართ როდისმე, როგორ აღიქვამს მაყურებელი იმას, რაც ფიცარნაგზე ხდება... ალბათ, გეხსომებათ დარბაზი, რომელშიც მიუხედავად დიდი აუდიტორიისა, სამარისებური სიჩუმეა, ანდა თავშეკავებული სიცილითა და ტაშით რომ ინგრევა კედლები... აი, აქ, თეატრში ხდება სხვადასხვა ადამიანების, გემოვნების, შეხედულებების, ეროვნების გაერთიანება, ერთ მთლიან ორგანიზმად ქცევა. ჩვენ არ გვესმოდა დიდი ბერძენი ტრაგიკოსი ქალის ასპასია პაპატანასიუს ენა, მაგრამ ამის მიუხედავად ერთნი ვიყავით, გაგვაერთიანა დიდი ხელოვნების სასწაულმა... თეატრში მაყურებელი გავლით, შემთხვევით როდი უნდა მოდიოდეს, თეატრი დიდი საზოგადო დაწესებულებაა და ამიტომაც ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში, როდესაც თეატრში მისი მოღვაწე გარდაიცვლება, თეატრის ფასადზე სახელმწიფო დროშას დაბლა ხრიან. გლოვა, ამრიგად, ყველას, მთელ ხალხს აერთიანებს...

სპექტაკლის მსვლელობის დროს ჩვენ ყველანი სცენას ვუყურებთ, გიცდიათ კი უკან მოხედვა? რამდენ საინტერესო რამეს დაინახვთ, რამდენი ადამიანის ინდივიდუალურობა წარმოჩნდება თქვენს წინაშე. უკვე ვთქვი, დარბაზში სხვადასხვა ხასიათისა და ინტელექტის ადამიანები სხედან, მათი ქცევაც და რეაგირებაც სხვადასხვაგვარია. – ზოგს სიცილი, გართობა უნდა, ზოგი დაფიქრებულია, მისი ხელი ამ დროს დაძაბულად მუშაობს, ზოგი ღელავს, ნუგბარის ქაღალდებს აშრიალებს, ზოგი კი სულგანაბული ცდილობს არაფერი დაკარგოს, არაფერი გამოეპაროს.

ტელევიზიამ რამდენადმე შეცვალა მაყურებლის როლი, ჩვენ დავკარგეთ ინტერესი იმისადმი, რასაც ცისფერ ეკრანზე ვუყურებთ. ფილმის ჩვენების დროს ოთახიდან გავდივართ, შემოვდივართ, ტელეფონით ვლაპარაკობთ, ერთი სიტყვით ეს არის „ხელოვნება სახლში მორთმევით". ხელოვნებას კი პატივი უნდა სცე, არ შეიძლება, ყველაზე დაძაბულ მომენტში რეკლამამ ქალის ტუალეტის ინტიმურ ნივთებს დაუწყოს ქება, არ შეიძლება გოეთე და რუსთაველი საკითხავად ბინძურ ადგილებში წაიღონ. დარბაზში ხდება ერთი სასწაული – ადამიანები, ყველანი, მდიდრები და ღარიბები, ჭკვიანი და სულელი უნებლიედ იქცევიან ისეთებად, როგორებიც არიან. თითქოს ნიღაბს იხსნიან და საოცრად უმწეო, გულგახსნილი და დაუცველი ხდებიან – ზოგი იცინის, ზოგი ტირის... მივუბრუნდეთ, როგორია მათი თვალები... ამბობენ, რომ თვალები ადამიანის სულის სარკეაო, რომ ნახოთ რა საინტერესოა ეს თვალები, სხვადასხვა ფერის, გამომეტყველების, მაგრამ ერთი წერტილისაკენ მიმართულნი, მგორალი, ან მოცინარი, მაგრამ ერთიანი. არსებობს ელიტური ხელოვნება, არსებობს მელოდრამატული სურათებიც, ეს ასეა, მაგრამ დიდი ხელოვნება იმიტომაა დიდი, რომ იგი ერთნაირად იპყრობს ყველას, იმორჩილებს, სულში სწვდება, სულს შეანძრევს, ამაშია დიდი ხელოვნების ძალა და ჩვენი ბედნიერება!

ვფიქრობთ, რომ თითქოს ახალი არაფერი ვთქვი, მაგრამ ერთი კია, მინდა შევახსენო ადამიანებს სულიერი განძეულის პატივისცემა, თეატრის სიყვარული და პატივისცემა, იმის პატივისცემა, რომ ყოველ საღამოს ავადმყოფი თუ ჯანმრთელი, შეიძლება უბედურიც, მსახიობი გამოდის სცენაზე და ქმნის იმ სასწაულს, რომელსაც ხელოვნება ჰქვია, გვაერთიანებს და იმ შუქს ბადებს ჩვენს თვალებში, რომლის მშვენიერება განუმეორებელია. უყურეთ მათ თვალებში, მათთან ერთად იტირეთ, და იცინეთ, ჩახედეთ ხშირ-ხშირად ერთმანეთს თვალებში და გაიზიარეთ ერთმანეთის სიხარული, ან ტკივილი, თვალები, მაყურებლის თვალები, ეს თავისებური უტყუარი რეცენზიაა ყოველ სპექტაკლზე, ამ თვალებშია ის, რაც აღგვამაღლებს ხოლმე და ღმერთებთან გვაკავშირებს.

**ნადია შალუტაშვილი.**

## ღვაწლი

# უჩინარი გმირი



45 წელი ქართული ოპერის თეატრში! არა, მკითხველს ნუ ეგონება რომელიმე ხანდაზმულ პრემიერზე ეწერდეთ.

მართალია, სცენიდანაც საკმაო ხანს უმღერია, ერთხელ არჩეულ გზის სიყვარულით შთაგონებული, კულისებსაც ვერ მოსცილებია, მაგრამ ის, რაც თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ყოველდღე მის ცხოვრებას ავსებდა, და, როგორც მიაჩნდა, აზრს აძლევდა – ოპერის თეატრი, მისი კოლექტივი – საკუთარი სახლის განცდით მოჰყვება დღევანდლამდე. საკუთარ სახლში კი იდიასახლისებ, წვეულებაზე იმღერებ, გაჭირვების ჟამს ყველაფერს დაივიწყებ და მის გადასარჩენად სიცოცხლესაც კი საფრთხეში ჩააგდებ.

ასე მოხდა მაშინაც, როცა ოპერის თეატრის შენობა ხანძარმა დაწვა, როცა ერის განძი იღუპებოდა, თინათინ იოსებაძემ გმირობა ჩაიდინა.

მაშინ ის უკვე აღარ მღეროდა, თეატრის სანოტო ბიბლიოთეკის გამგედ მუშაობდა (თექვსმეტი წელი ვიმსახურე, – თავმდაბლად იტყვის გვიან ქალბატონი თინათინი).

ხანძარმა შთანთქა სცენასთან ახლოს მოთავსებული საორკესტრო სანოტო ბიბლიოთეკა, საბედნიეროდ, გადარჩა დანარჩენი სანოტო მასალა,რომლის სათავესო პირველ იარუსთან იყო მოთავსებული.

და, რაც მთავარია, უშუალოდ ხანძარს გადაურჩა მესამე სანოტო ბიბლიოთეკა, ეს იყო არქივი, სადაც ინახებოდა უნიკალური ოპერების პარტიტურები, კლავირები, საორკესტრო პარტიები, ძველი, ახალი რეპერტუარის ჩანაწერები. ამ სიმდიდრის გარშემო თითქმის ყველაფერი დაიწვა და სცენის ქვეშ მოთავსებულ ამ საუნჯეს სწრაფად სჭირდებოდა შველა, არადა, იქ ჩამსვლელს საფრთხე ემუქრებოდა, ყოველ წამს იყო ჩანგრევის საშიშროება.

თინათინ იოსებაძე კატეგორიულად მოითხოვდა არქივში ჩასვლის ნებართვას, მაგრამ ოპერის დირექცია უარზე იყო.

– არქივში დაცული საგანძურის ბედი არ მასვენებდა. არ დავემორჩილე აკრძალვას, ორ თანამოაზრე მუშასთან ერთად თოკით ჩავეშვი ბიბლიოთეკაში, 15 დღის განმავლობაში დილიდან საღამომდე ვმუშაობდი, ვაწყობდი და ვკრავდი გადარჩენილ საუნჯეს, რომელიც ნაწილ-ნაწილ თოკებზე გამობმული აჰქონდათ მუშებს...

ქალბატონი თინათინი მეტს აღარ ამბობს, გაგრძელება კი ასეთია: ამ თავგანწირვით ფრიად მნიშვნელოვანი ქონება გადაურჩა ხელოვნებას, მის საყვარელ თეატრს.

დღეს, როცა ოპერის თეატრის ისტორიასა და აწმყოზე ესაუბრობთ, საყოველთაოდ ცნობილ ხელოვნებთან ერთად უნდა გავიხსენოთ ისიც, თინათინ იოსებაძე, უჩინარი და წყნარი მუშაკი. მასაც ამშვენებს მოარული სახელი – „თეატრის გმირი".

დღეს, პირველი იარუსის მარცხენა მხარეზე, სპექტაკლებისას შეამჩნევთ მას, ამჟამად იგი კაპელდინერის როლში გვევლინება, შეხედავთ თუ არა, იგრძნობთ (მისი პაბიტუსიდან ნათლად ჩანს), რომ წლების წინათ ისიც მღეროდა, მღეროდა თავდავიწყებით.

აი, ქალბატონი თინათინის გზაც: როგორ ჩამოიმარცვლა სამამულო ომის საშინელებით დამძიმებული წლები: პატარა თიჩა სკოლიდან პირდაპირ მეოთხე მუსიკალურ სასწავლებელში მიდიოდა. მას იქ ელოდებოდა საყვარელი პედაგოგი პროფესორი ილოლა ალექსანდრეს ასული შულგინა, რომელიც განსაკუთრებით იყო კმაყოფილი შეგირდის ხმის მონაცემებით, სწორედ მისი რეკომენდაციით გაიხსნა დებიუტანტისათვის მუსიკალური კომედიის თეატრის კარი, აქ კი პირველი პარტიები უმღერია „არშინ-მალალანში", „მზის დაბნელება საქართველოში", „მარიცაში".

1951 წელს ოპერის თეატრში მივიდა, სამხატვრო საბჭოს უნდა შეეფასებინა მისი შესაძლებლობანი. „იმ დღეს სხვებთან ერთად დიდი დავით ანდღულაძეც მისმენდა", – იგონებს ახლა ქალბატონი თინათინი.

შეფასება დადებითი იყო.

მომღერალი მეორე პარტიებს მღეროდა.

შემდეგ, ოჯახური პირობების გამო, გამოეთხოვა სცენას. დაქვრივებულ ძმას სამი მცირეწლოვანი ვაჟი გაუზარდა, უარი თქვა პირად ცხოვრებაზე... მაგრამ თეატრს მაინც ვერ მოშორდა, უთეატროდ არ შეეძლო და ასე შემოაღნა ეს ნახევარი საუკუნეც, რომლის განმავლობაშიც სოლისტიც ერქვა, ბიბლიოთეკის გამგეც, გუნდის მომღერალიც და კაპელდინერიც.

და, თუმცა, პირველი ხმების საუფლოდან ვარსკვლავები არ მოუწყვეტია, ქვეყნისა და ხელოვნების სიყვარულით ცოცხლობს.

**გივი შეყილაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეიქმნა „პაატა ბურჭულაძის ფონდი“

ჩვენი სახელოვანი მომღერალი პაატა ბურჭულაძე მსოფლიოში აღიარებული „შეუდარებელი ბანი“, როგორც მას უწოდებენ გამოჩენილი სპეციალისტები, კვლავ ახალი თაოსნობის ავტორად მოგვევლინა. მკითხველებს, ვოკალისტის უამრავ თაყვანისმცემლებს შევახსენებთ, რომ პაატა ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც თავის სათაყვანებელ სამშობლოს დახმარების ხელი გამოუწოდა და საკუთარი საქველმოქმედო აქციები მთლიანად საქართველოს მიუძღვნა.

სწორედ მან დაიწყო გაჭირვებულ თანამოძმეებზე ზრუნვა, ობოლ ბავშვებს არაერთხელ გამოუგზავნა მედიკამენტები, მრავალ ახალგაზრდას დაეხმარა, გზაზე დააყენა... მან მნიშვნელოვანი რაოდენობის ვალუტა ჩარიცხა ეროვნული საჭიროებისათვის, 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალის ფონდში, ხელმოკლე ოჯახთა დახმარების ფონდში... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ პაატა ბურჭულაძის სიკეთისმთესველი ცხოვრების წესის ნუსხა საკმაოდ ვრცელია. თავად არ უყვარს ამაზე ლაპარაკი და არც ჩვენ შევაწყენთ თავს მკითხველს, რადგან, როგორც მომღერალი ამბობს ხოლმე „სიკეთე უხმაუროდ უნდა აკეთოო“, სრული ჭეშმარიტებაა. ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა თბილისში მდგომარეობა ისე დაძაბული იყო, რომ აქ ჩამოსვლას ხელოვნების მოღვაწენი ერიდებოდნენ, სწორედ მაშინ მოაწყო პაატა ბურჭულაძემ საქველმოქმედო გალა-კონცერტი მსოფლიოს საოპერო ხელოვნების ვარსკვლავთა მონაწილეობით. მან ისეთი ოპტიმისტური „ნოტით“ დამუხტა თავისი კოლეგები, რომ ისინი უყოყმანოდ ეწვივნენ თბილისს. მაშინ შთამბეჭდავად გაისმა მსოფლიოში ერთ-ერთი ცნობილი გერმანელი რეჟისორის იოჰანეს შაფის სიტყვები: „ჩემი ქართველი მეგობარია პაატა ბურჭულაძე და მიმაჩნია, რომ, მაშასადამე ყველა ქართველი ჩემი მეგობარია. მან ერთმა ღირსეულმა ქართველმა შესძლო შეეყვარებინა საქართველო ჩემთვის“. ეს ღირსეული შეფასება კომენტარს არ საჭიროებს, ამით ყველაფერი ნათქვამია, ეს სიტყვები ჩვენ სიამაყით გვავსებს...

და, აი, მომღერლის კიდევ ერთი ინიციატივა: მან თბილისში დააფუძნა „პაატა ბურჭულაძის ფონდი“.

საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს მუსიკალური საზოგადოების თავმჯდომარემ ქალბატონმა მანანა ახმეტელმა განაცხადა:

– ჩვენთვის საამაყოა, რომ საქართველოს მუსიკალური საზოგადოების თავმჯდომარეა მსოფლიოში სახელგანთქმული მუსიკოსი, დიდი ქართველი მომღერალი პაატა ბურჭულაძე. იგი, როგორც ჭეშმარიტი პატრიოტი, ზრუნავს ამ უაღრესად მნიშვნელოვანი შემოქმედებითი კერის კეთილდღეობისათვის. თავისი ბოლო ჩამოსვლის დროს ბატონმა პაატამ სერიოზული გეგმები დასახა და დიდი დახმარებაც აღმოუჩინა საქართველოს მუსიკალურ საზოგადოებას.

შეიქმნა „პაატა ბურჭულაძის ფონდი“, რომელსაც საინტერესო პერსპექტივები აქვს. მე დამევალა ამ ფონდის თავმჯდომარეობა. გენერალური დირექტორია ბატონი თემურ ბააკაშვილი. როგორც წესდებაშია ნათქვამი: „პაატა ბურჭულაძის ფონდის“ საქმიანობის ძირითადი მიზანია ფინანსური საფუძველი შეუქმნას საქართველოს მუსიკალურ საზოგადოებას, რათა მან განახორციელოს მნიშვნელოვანი შემოქმედებითი პროგრამები და პროექტები, ხელი შეუწყოს ქართული მუსიკალური კულტურის წინსვლას, მისი მიღწევების პოპულარიზაციას, ეროვნული ტრადიციების განვითარებას“.

„პაატა ბურჭულაძის ფონდის“ წევრები შეიძლება იყვნენ საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქენი და იურიდიული პირები, რომლებიც ითანამშრომლებენ ფონდთან, მონაწილეობას მიიღებენ მის საქმიანობაში.

ამოუწურავი შემოქმედებითი ფანტაზია აქვს პაატას – შესანიშნავ მომღერალს, ღირსეულ მამულიშვილს და მოქალაქეს. ამიტომ უყვართ იგი ჩვენში და საზღვარგარეთაც. მისი გულწრფელობით, სიკეთით, ადამიანობით, შრომისმოყვარეობით, ღვთაებრივი ნიჭითა და უზადო ოსტატობით.

ეს კი არამარტო მომღერლის, ჩვენი ნამდვილი ბედნიერებაც არის, რადგან, როცა ერს ასეთი შვილი ჰყავს, მას ამაყად შეუძლია გაუსწოროს თვალი ნებისმიერ ქვეყანას.

**მერი გაბრიაძე,**
საქინფორმის კორ.

# მსახიობის გზა

ლევან ღლონტის გმირთა სამყარო არ არის საზღვრული. აქ შეხვდებით სხვადასხვა საუკუნის ადამიანებს, მას თანამედროვეობიდან გადავყავართ წარსულში, ქართული სამყაროდან უცხოურში. მათგან არ შეიძლება არ გამოვყო ორი სრულიად სხვადასხვა ეპოქისა და სოციალური წრის ადამიანთა სახეები. ესენია დიდი ილიას გაბრო („გლახის ნაამბობი“) და გურამ ფანჯიკიძის ლევან ხიდაშელის სახე („მშვიდი ცა“). სოციალური უკუღმართობის მსხვერპლის, გაბროს სახეში იგრძნობოდა, თუ როგორ ირღვეოდა მეგობრობისა და თანასწორობის პრინციპები. სოციალური კონფლიქტები არყევდნენ ადამიანთა სულებს. კლასობრივი დიფერენციაცია ანგრევდა ზნეობრივ ნორმებს, ანადგურებდა ქართველთა ერთიანობის მარადიულ იდეალებს. დიდი ილიას საგკივარი ფსიქოლოგიური სიღრმით ცოცხლდებოდა სცენაზე. სულ სხვა არტისტიზმით იყო განასახიერებული ლევან ხიდაშელის სახე. იგი იკითხებოდა, როგორც ახალი ტიპის გამოჩენა. კომუნისტურ საზოგადოებას მოევლინა ახალი მებრძოლი, საქმიანი, შემტევი, თავისი პრინციპების დამამკვიდრებელი გმირი. ეს იყო დაღებითი გმირის დოგმების რღვევის მაუწყებელი პირველი სიგნალი. მახსოვს, როგორი ცხარე კამათი გაიმართა მისი გამოჩენის გამო. გ. ფანჯიკიძე, როგორც მუდამ ახლის მაძიებელი მწერალი, გაბედულად ანგრევდა მხატვრულ აზროვნებაში დამკვიდრებულ სტერეოტიპებს. მსახიობმა ზუსტად იგრძნო ეს სიახლე.

ლევან ღლონტი მრავალმხრივი ხელოვანია. მას ჰგიჯს სცემენ თეატრში, როგორც ერთგულს, თეატრისათვის თავდადებულ ადამიანს.

იგი უფრთხილდება თეატრს, როგორც თავისი სიცოცხლის განუყოფელ ნაწილს. თეატრში ათენებს და აღამებს. მისთვის ძვირფასია სამყარო, რომელშიც იგი ცხოვრობს, სადაც ერთმანეთს ერწყმის რეალობა და ილუზია. ამ სამყაროში ძნელად შედიან, მაგრამ თუ ერთხელ ეზიარე მას, ვერასოდეს ვერ დაშორდები. ეს არის სიკვდილსიცოცხლესავით მარადიული ჯადოსნური სამყარო, რომელსაც თეატრი ჰქვია.

დასასრული.
დასაწყისი იხ. მე-9 გვ.

**ვასილ კიკნაძე.**

# თელავში უკვე პრემიერაა!

„მე თქვენ ყველას სახეზე გიცნობთ“ – მილ საიმონის ამ პიესის მის მიერვე გადმოქართულებული ვარიანტი განახორციელა სცენაზე, თელავში, ძველ ფუძეზე დაბრუნებულმა რეჟისორმა ალექსანდრე ქანთარიამ.

თელაველებისათვის, რომლებიც დანატრებული იყვნენ თავის თეატრში სიარულს, ეს ნამდვილ ზეიმს მოასწავებს!

სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები ზურაბ ანთელავა, ნინო კურტანიძე, თემურ ხუნაშვილი, ვანო იანტბელიძე, ვენერა ფეიქრიშვილი, ნაზი არავიაშვილი. მხატვარია ლევან როსტომაშვილი.



სესილია თაყაიშვილი.



იპოლიტე ხვიჩია.



ნინო რამიშვილი.



ნანული სარაჯიშვილი.

მხატვარი
ბელა დურგლიშვილი.

# ღიმილიანი ეპიზოდები

## გახსენება კაკო კვანტალიანზე

„მაია წყნეთელის“ გადაღებებზე ვართ, ზამთარია, გადაღება უფრო ხშირად სტუდიაში მიმდინარეობს. მთელი პეიზაჟი ეკლესიის irgvliv რომ გინახავთ, სულ პირველ სტუდიაშია გადაღებული.

გამოცხადდა შესვენება. ნაბადში გავეხვიეთ და დეკორაციებში აქეთ-იქეთ მივსხედით. ლამის 2 საათია. ახალგაზრდებმა წინადადება შემოიტანეს, ევახშმათ. სუფრაც მალე გაშალეს. მივუსხედით, მაგრამ ბატონი კაკო კვანტალიანი ძირს, მიწაზე, ბალახებში წევს და თვლემს. გოგონები ჩურჩულებენ, ვთხოვოთო. მისვლას ვერავინ ბედავს. ისევ მე ავდექი და მივედი მასთან, ჩავცუცქდი, ხელზე ხელი გადაუსვი და წყნარად ვეუბნები: — ბატონო კაკო, გოგონებმა სუფრა გაშალეს და მობრძანდით, ცოტა წავიხემსოთ!

კაკომ იდაყვზე წამოიწია, გადახედა სუფრას, საოცრად დაიჭყანა და ჩაილაპარაკა: — ეგ მე არ მეყოფა და მაგათ რაღა ეშველებათ? — ნაბადი წაიფარა და თვალები დახუჭა.

მაშინ გამახსენდა, თელავში, ციცქიშვილების ოჯახში რომ მიიწვიეს დასი და წამოსვლისას, საშა მეწულიშვილმა მაგიდაზე ბარათი დატოვა: „კაკო კვანტალიანის მიერ დარბეული ოჯახი“... სუფრაზე 50 მოხარშული კვერცხი მოუტანიათ, არავის ხელი არ უხლია, სხვა საუზმით იყვნენ გართულნი. კაკოს ორმოცდაათივე მიურთმევია და მერე უკითხავს: „აღარა გაქვთ?...“

**დოდო ზურაბიშვილი.**

# ასიტეჟის ეროვნული ცენტრი

საქართველოში შეიქმნა საბავშვო და ახალგაზრდული თეატრების საერთაშორისო ასოციაციის – ასიტეჟის ეროვნული ცენტრი. ეს მსოფლიო ორგანიზაცია დაარსდა 1964 წელს და ამჟამად 60-მდე ქვეყნის ეროვნულ ცენტრს აერთიანებს. ასოციაციის მიზანია საბავშვო თეატრის მხარდაჭერა და ეროვნულ ცენტრებს შორის საერთაშორისო კონტაქტების განვითარება. საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირში 1 ივლისს გამართულ დამფუძნებელ ყრილობას ესწრებოდა 8 ორგანიზაციის დელეგაცია, რომლებსაც ურთიერთობა აქვთ საქართველოს საბავშვო და ახალგაზრდულ თეატრებთან.

საქართველოს ასიტეჟის პრეზიდენტად აირჩიეს ნიკა ჯანდიერი – თბილისის საბავშვო და ახალგაზრდული რუსული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ვიცე-პრეზიდენტები არიან – ქეთევან ხარშილაძე – თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის მთავარი რეჟისორი და ლონგულ მურუსიძე – რუსთაველის საბავშვო თეატრის მთავარი რეჟისორი.

საკუთარი ინფორმაცია.

სარედაქციო კოლეგია:
გურამ გოგიაშვილი, ნანა ღვინეფაძე (რედაქტორი), რუსუდან მუხიგულაშვილი, გიორგი ლალიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო დღესასწაულები

# ლაშარს მოვიდა ლაშქარი...

გასულ შაბათს, თიანეთში მასპინძლებს ვერ მონახავდა კაცი – მთელი დაბა გახიზნულიყო იერის ხეობაში, სადაც მთიელები თავის ყველაზე დიდ დღესასწაულს – „ლაშარობას“ ზეიმობდნენ.

მწერლებით დახუნძლული „უაზი“ გაჭირვებით მიბობღავდა კახეთის ყველაზე ამაგდარი მდინარის – იერის ქვიან კალაპოტში, რადგან ამასწინანდელ ღვარცოფს გზა მთლიანად წაელეკა.

ამ დროს არაფერი შეედრება იერის ატეხილ ჭალებს. თიანეთში სწორედ ამ გზით გადმოდიოდა ხოლმე დიდი ვაჟა... მდინარის მარცხენა მხარეს, სოფელ არტანის თავში, ლაშარის გორის პატარ-პატარა მდელოებზე, თავ-თავის საგვარეულო ნიშებთან ოჯახებით მოსულიყვნენ არა მარტო თიანელი, არამედ ყვარლელი, ახმეტელი, თელაველი, დუშელი ფშაველები და ხევსურები.

ხევისბერები ამწყალობდნენ თავის მრევლს. ილევნთებოდა უამრავი სანთელი, მლოცველნი კი ღმერთს ავედრებდნენ სამშობლოს, ნათესავ-მოკეთეებს, ოჯახებს. გარემოს ეფინებოდა გამხიარულებულ სტუმარ-მასპინძელთა სიმღერა და გარმონის ხმა.

ლაშარობაზე ყოველთვის იმართება ხოლმე შეჯიბრება ცხენოსნობაში, ჭიდაობაში – სპორტის ისეთ სახეობებში, რომლებიც განსაკუთრებით მიესადაგება მთიელი კაცის ლაღ ბუნებას. ტრადიციას არც ამჯერად უღალატეს.

დედაქალაქიდან ჩასულ სტუმრებს, მწერლებსა და ხელოვნების მოღვაწეებს გულითადად შეეგება თიანეთის გამგებელი ელბერდ მიდელაური. თანამოკალმეებს გულღია მასპინძლობა გაუწიეს აქაურმა მწერლებმა, პოეტებმა და ჟურნალისტებმა ჯიბო ლომაშვილმა, გიორგი ციგაურმა, ხეთისო არჩემაშვილმა, თემურ ცალუღელაშვილმა და სხვებმა.

დიდხანს, დიდხანს გუგუნებდა იერის ხეობა.

და ვინ იცის, ლაშარის გორზე იქნებ სწორედ იმ დღეს შედგა ფეხი ლუხუმმა.

ღმერთმა ინებოს!

ელგუჯა ლებანიძე.

# აფრასიონი

ჩემმა გულითადმა მეგობარმა, ქვეყნის დამსახურებულმა ჟურნალისტმა აფრასიონ ჯომიდავამ ამ დღეებში 70 წლისთავის იუბილე იზეიმა. კაცმა რომ თქვას, ამას ზეიმსაც ვერ დავარქმევდი. გაზეთის რედაქციაში, სადაც აფრასიონმა მთელი 35 წელიწადი იღვაწა, საწერ მაგიდაზე ნაუცბათევად გაშლილ სუფრას სულ 4-5 კაცი თუ ვუსხედით. იყო უცხოური ძეხვი, მეგრული სულგუნი, შოთი პური, ქარვისფერი ღვინო და კეთილი სურვილები.

და რაც მთავარია – იყო სიხარული, აფრასიონის გულწრფელობით გამოწვეული სიხარული, რომელსაც მისი მეგობრები დღემდე არ ვღირსებივართ. ბუნებრივია, ვიდრე იუბილარი საიუბილეო 70-ს მიაღწევდა, მან მრგვალი თარიღების მთელი სერია (40-50-60) განვლო, მაგრამ ამის თაობაზე სიტყვა არასდროს დასცდენია. მიზეზი ყოველთვის მოეძებნებოდა: ზოგჯერ ფული არ ჰქონდა, ზოგჯერ ასაკს მალავდა, ზოგჯერ თავმდაბლობა უშლიდა ხელს და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

ახლა რაღას მოიმიზეზებდა. შვილები დაბინავებულ-დაოჯახებული ჰყავს, სიდედრ-სიმამრი – საიქიოს გასტუმრებული. თვითონ სამ რედაქციაში მუშაობს, ცალკე ლექციებს კითხულობს (ეს მთავრობა ყველაზე მეტად გამოადგა) და ცხოვრებ-ქონება, რომ იტყვიან, თავზე გადასდის.

ჰოდა, მეტი რა გზა ჰქონდა, ადგა და გადაიხადა იუბილე, რომელსაც, არც მეტი, არც ნაკლები, იუბილარის ტრაგედია მოჰყვა. არ იკითხავთ რატომ? ჩვეულებრივი, ქართული მენტალიტეტი აღზევდა. საიუბილეო სტატიებში, რომლებიც 5-6 გაზეთში მაინც გამოქვეყნდა, ჟურნალისტებმა მოგონილი აფრასიონი ქება-დიდებით ისე გაბერეს, რომ ნამდვილი აფრასიონი დაკარგეს.

ეტყობა იუბილარმა ეს საშიშროება ადრევე იყნოსა და თავისი უპრეტენზიო, მოკრძალებული ცხოვრების ამსახველი დოკუმენტური ნარკვევი (საკუთარი ხელით დაწერილი) ჟურნალ-გაზეთებს ადრევე ჩამოურიგა. კი ჩამოურიგა, მაგრამ შიგ ვინ ჩაიხედა? არავინ და გაჩნდა გაუგებრობები, რომლებმაც აფრასიონი დიდ უხერხულობაში ჩააყენა.

უბრალო ფაქტი. იმის გამო, რომ ახალგაზრდა აფრასიონი ფაშიზმთან ბრძოლის პერიოდში სამეგრელოს ერთ-ერთ რაიონში კომკავშირის რაიკომის მდივნად მუშაობდა, ჯარში არ გაიწვიეს (ქვეყნის პატრიოტი, ენერგიული კადრები ხომ ზურგშიც საჭირო იყო). საიუბილეო სტატიის ერთ-ერთმა ავტორმა ამ ისტორიულ რეალობას გვერდი აუარა და ჯერ კიდევ გამოუცდელი, ცხოვრება-უწრთობი აფრასიონი იმ დროის გმირად დახატა – წინასწარ განჭვრიტა, რომ ბოროტების იმპერია იმსხვრეოდა და ჯარში წასვლა ფეხებზე დაიკიდაო.

მეორე სტატიის ავტორმა ესეც არ იკმარა და თვით საბჭოთა კავშირის დანგრევაც პირადად აფრასიონის დამსახურებას მიაწერა – მან თავის წერილებში პარტია და მთავრობა იმდენი აქო, იმდენი, რომ ქებით სული ამოხადაო. გაგონილა ასეთი უსამართლობა! თავის დროზე კომპარტია რომელ ჟურნალისტს არ უქია (კაი ბიჭი იყავი და ნუ აქებდი), მაგრამ ქვეყნის დანგრევა არ დაუბრალებიათ.

ამას კიდევ აიტანდა კაცი, მაგრამ რას უზამ იმ წერილებს, რომლებსაც იუბილარი ახლა ყოფილი საბჭოეთის რესპუბლიკებიდან იღებს? თურმე პენსიონერები ერთ ამბავში არიან: რატომ დაგვღუპე, რა უფლება გქონდა, რომ საბჭოთა კავშირი დაანგრიეო. ახლა კეთილი ინებე და აღადგინე, ყოველ შემთხვევაში, თუ ამას ვერ მოახერხებ, პენსიები მაინც გაგვიზარდეო.

ჰოდა, იუბილარი არის ერთ გაწამაწიაში: ვერც საბჭოთა კავშირი აღუდგენია (ამერიკის ერიდება) და ვერც პენსიები გაუზრდია (სახსრები არა აქვს). ესეც არ იყოს, ღმერთმა დაიფაროს და იმპერიამ თავი ისევ რომ წამოყოს (ამის მცდელობა არის), გორბაჩოვის მაგივრად პასუხი აფრასიონმა რატომ უნდა აგოს?

ამ დავიდარაბას ყველანი გადავრჩებოდით, სტატიების ავტორებს იუბილარის მიერ შემდგარი გზამკვლევისგან რომ არ გადაეხვიათ. არადა, მასში რამდენი ფაქტი და მაგალითია ისეთი, რომლებიც აფრასიონის ჭეშმარიტ პიროვნებას გახსნიდა. თუნდაც ის რად ღირს, ერთ-ერთ რედაქციაში მუშაობისას ჟურნალისტებზე გასაცემი „ქიგულის“ ბედი რომ ანდეს. საიდან აღარ დაურეკეს, ქრთამიც შეაძლიეს, მაგრამ აფრასიონის პატიოსნება ვერ გატეხეს. მართალია, მანქანა დაიკარგა (ვერავინ გაიყვანა), მაგრამ ზნეობამ ხომ იზეიმა?

ანდა ასეთი შტრიხი. აფრასიონს უყვარს, ავადმყოფურად უყვარს წესრიგი და სისუფთავე. მას სამუშაო მაგიდა, უჯრები ერთთავად გაწმენდილ-გაკრიალებული აქვს, შარვლისა და პიჯაკის ჯიბეებსაც კი, თუ მოიცალა, დღეში რამდენჯერმე გადმოატრიალებს და გაიფერთხავს. ამან უფულობა იცისო, თურმე ხშირად უსაყვედურებს მეუღლე, მაგრამ თავისას მაინც არ იშლის (კაცია და გუნება).

აბა მითხარით, ასეთი კაცი იმპერიას დაანგრევდა?

მე პირადად მჯერა, რომ ვერ დაანგრევდა, მაგრამ აფრასიონი მაინც უკმაყოფილოა, იმის ჯავრი კლავს, ეს გაუგებრობა ისტორიასაც არ შემორჩესო. ეს რომ არ მოხდეს, საკუთარ თავზე თვითონვე წერს მონოგრაფიას, რომელსაც მომავალში მაინც რომ აღარ გააყალბონ (რა ვიცით, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ), ნოტარიუსით დაამოწმებს. რა საჭიროა მიწერები, ამბობს იგი, ყველა რიგითი მოკვდავის გმირად წარმოჩენა. მე ჩემი უბრალოებით, კაცურკაცობით, იმდენი მაქვს გაკეთებული, მეც მეყოფა და ჩემს შთამომავლობასაცო.

მართალია აფრასიონი. ყველაზე დიდი გმირობა ის არის, როცა გმირობას გაბრალებენ და ამის უფლებას არავის აძლევ.

ფირუზა კახეთელიძე.

## თბილისის სასწავლო-ეკონომიკური ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას ქართული და რუსული სექტორების შემდეგ სპეციალობებზე:

1. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები და საბაჟო საქმე;
2. ფინანსები და კრედიტი (საგადასახადო საქმე, საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი);
3. მაკროეკონომიკა (მართვა, პროგნოზირება)
4. მარკეტინგი

სწავლა ფასიანია, ხანგრძლივობა 4 წელი. საბუთების მიღება ყოველდღე 28 ივლისამდე (I ნაკადისათვის) და 10 სექტემბრამდე (II ნაკადისათვის) 10-დან 15 საათამდე.

მისამართი: თბილისი, ზანდუკელის (ყოფ. ჯავახიშვილის) ქ. 16

ტელ. 93-28-40, 98-48-15. ეკონომიკისა და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შენობა. მეტრო „რუსთაველთან“.

## სახელმწიფო მმართველობის ქართულ-ამერიკული ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს ინსტიტუტის დეკანის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

– მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი;
– ინგლისური ენის ცოდნა აუცილებელია.

მსურველმა განცხადება შემოიტანოს დირექტორის სახელზე.

კონკურსის ვადაა ერთი თვე გამოცხადების დღიდან.

მისამართი: თბილისი, კოსტავას ქ. № 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, VI კორპუსი. ტელ: 93-14-66

## შვილად აყვანის აღრიცხვაზე მყოფ მოქალაქეთა საყურადღებოდ

გთხოვთ მიმდინარე წლის 30 ივლისისათვის მიაკითხოთ იმ განათლების განყოფილებას, სადაც იმყოფებით აღრიცხვაზე, გაეცნოთ შვილად ასაყვან ბავშვთა სიას, მათ მონაცემებს და თქვენი თანხმობა ან უარი დაადასტუროთ წერილობით.



მეუღლე მარიამი, შვილები მარინა, მანანა, და ნინა, სიძეები მირზა ლიპარიშვილი, ჯუნა მაისურაძე, შვილიშვილები ზაზა, გივი, ცოლისძმა გიორგი მიქელაძე, ქვისლი არჩილ დემეტრაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჩიტო ილიას ძე ინასარიძე

პანაშვიდი 20, 21 VII, 4 სთ. ზემო ვეძისის ქუჩა 33/1 (საბურთალოს რ-ნი); დაკრძალვა 22 VII, 12 სთ – თეთრიწყაროს რ-ნი სოფელ დიდ თონეთში.

მეუღლე აკაკი დავითის ძე კოტრიკაძე, შვილები და შვილიშვილები დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დარეჯან გიორგის ასული თავაძე

პანაშვიდი 20, 21 VII, 5 სთ. გამოსვენება 22 VII, 3 სთ. ლეონიძის 7/2.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ გოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

ნომრის მორიგე რედაქტორი
აბესალომ იედლაშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.

სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.